პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პრ. ტელეფ. 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.

ტელეფონები (რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58)

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ—65 კ, დანარჩენებისათვის ქალაქში—85 კ, ქალაქ გარეშე—95 კ.

განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო -5 მან. დოკუმენტების დაკარგვა—50 კაპ.

ექსპედიციის ტელეფ. 5—48

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერდს

შაბათი 25 ოქტომბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 245 (1100)

დღიური

— საფრანგეთის მემარცხენე პრესა [illegible] დაწყვეტილებას საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

— სტამბოლში ხელახლა გაიხსნა [illegible] ლები.

— იტალიაში მოხდა შეტაკება კომუნისტებს და ფაშისტებს შორის.

— პარიზში გარდაიცვალა კადეტების ბელადთაგანი მილიონერი რიაბუშინსკი.

— ბელგიის ჯარი შეუდგა რურის ოლქის ნაწილობრივ დაცლას.

„კომუნისტი"
წლის ბოლომდი ღირს 1 მ. 60 კ.
ხელის მოწერის პირობები დაწვრილებით იხილე
☞ მეხუთე გვერდზე ☜

რეაქციის ახალი ტალღა ევროპაში

ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტად საგულისხმო ამბებს აქვს ადგილი. ეს ერთი ხანია „ყურებს გვიყრუებენ" პოლიტიკოსები „ზომიერი" ბურჟუაზიის და სოციალ-შეთანხმებელთა ბანაკიდან, რომ ევროპაში თითქო დაიწყო რაღაც ახალი ხანა, „პაციფისტურ-დემოკრატიული ხანა", რომლის დამახასიათებელ ნიშნებათ სთვლიან კლასთა შორის ზავს ქვეყნის შიგნით და მშვიდობიან, მეგობრულ ურთიერთობას სახელმწიფოთა შორის.

გარეგნულად ეს გამოიხატა ზოგიერთ ქვეყნებში ძალა-უფლების გადასვლაში წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიების ხელში.

„პაციფისტურ-დემოკრატიულ ეპოქის" სანიმუშო გამოხატულება მოგვცა ინგლისმა „მუშათა" პარტიის მთავრობის სახით. მაკდონალდი ყველაზე უფრო თვალსაჩინო მოციქულია ამ რეჟიმის.

საფრანგეთიც არ ჩამორჩა უკან. აქ ნაციონალური ბლოკი დამარცხდა და ძალა-უფლებას ე. წ. მემარცხენე ბლოკი დაეპატრონა. პუანკარე ერრიომ შესცვალა.

გერმანიაში სულ ბოლო დრომდე შუათანა პარტიების კოალიცია ედგა ხელისუფლებას სათავეში.

დღეს კი ჩვენ ვხედავთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცვლილებებს ევროპაში. კონსერვატორების და ლიბერალების გაერთიანებულმა იერიშმა მაკდონალდი ჩამოაგდო.

საფრანგეთში რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი მილიერანი თავს უყრის ყველა რეაქციონურ ჯგუფებს და ემზადება „მემარცხენე" ბლოკის წინააღმდეგ იერიშის მისატანად.

გერმანიაში რეიხსტაგი დათხოვნილ იქნა და უკიდურესი მემარჯვენენი, ნაციონალისტები ხელს იშვერენ ძალა-უფლებისაკენ. მათ წამოაყენეს საარჩევნო ლოზუნგად—ბრძოლა ნოემბრის იდეების წინააღმდეგ (გერმანიაში 1918 წ. ნოემბერში მომხდარ რევოლიუციის შედეგების წინააღმდეგ).

აგრეთვე დღეს გაეცნობა მკითხველი, რომ მარქსის მთავრობამ გამოსცა ბრძანება ყველა 62 კომუნისტ დეპუტატის დაპატიმრების შესახებ. საერთოდ რეიხსტაგის დათხოვნის შემდეგ დაიწყო სასტიკი რეპრესიები გერმანიის კომპარტიის წინააღმდეგ.

ერთი სიტყვით, ევროპაში რეაქციის ტალღა კვლავ აგორდა, ბურჟუაზია მკაცრ შეტევაზე გადავიდა არა მარტო რევოლიუციონურ ძალების, არამედ „პაციფისტურ-დემოკრატიულ" ჯგუფების წინააღმდეგაც.

რით აიხსნება ეს გარემოება?—მთელი ბურჟუაზია დღეს იმდენად განმტკიცებულად სთვლის თავის მდგომარეობას, რომ მას უკვე საჭიროდ აღარ მიაჩნია თამაში დემოკრატიზმით და პაციფიზმით.

გაჭირვების დროს, როცა საფრთხე მოელოდა კაპიტალისტურ წყობილების საფუძვლებს მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის გამო, ბურჟუაზიამ დროებით გადასცა ძალა-უფლება „დემოკრატიულ„სოციალისტურ" ელემენტებს, რომელნიც თავის დანიშნულებას იმაში ხედავენ, რომ დემოკრატიული სიტყვიერებით, რეფორმების დაპირებებით მოადუნონ მუშათა კლასის ენერგია, პროლეტარიატს ჩამოაცილონ მისთვის სოციალურად ახლობელი ჯგუფები და შეიტანონ დეზორგანიზაცია მშრომელთა მასსაში.

ბურჟუაზიას ახლო პერიოდისათვის დამთავრებულად მიაჩნია ეს როლი წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიების მხრით და ის სცდილობს ძალა-უფლება სდაეუფლოს განუზიარებლად.

აღსანიშნავია, რომ „დემოკრატიულ-პაციფისტური" პარტიები, როცა ისინი ექცევიან ძალა-უფლებას სათავეში, თავისი პოლიტიკით ხელს უწყობენ საკუთარ დამარცხებას.

მათ გამოიჩინეს სრული უძლურება და შემოქმედებითი უუნარიანობა. ყოველ შემთხვევაში ფართე მასსის საქმეს ისინი არ აკეთებენ. მაკდონალდს არავითარი ცვლილებები არ შეუტანია ინგლისის შინაურ ცხოვრებაში, მუშათა მდგომარეობა ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა მის დროს, ხოლო კოლონიების დამონებაში ის კერზონის ღირსეული მემკვიდრე აღმოჩნდა.

ერრიოც აგრძელებს პუანკარეს პოლიტიკას.

მარქსის უხერხემალო მთავრობამ ხომ სახელი გაითქვა გერმანიის დამცირებით, მის გადაცემით ინგლის-ამერიკის კაპიტალის განკარგულებაში.

ყველაფერმა ამან სახელი გაუტეხა „შუათანა პარტიებს" ფართე მასსის თვალში და ამიტომაც ბურჟუაზიულ რეაქციას შესაძლებლად მიაჩნია მისი დამარცხება.

არის კიდევ სხვა მიზეზები, თუ რატომ ილაშქრებს ამჟამად ასე მკაცრად ბურჟუაზია „პაციფისტურ-დემოკრატიულ" რეჟიმის წინააღმდეგ. ერთმა ინგლისელ ლორდმა ამას წინედ განაცხადა: „თუ ჩვენ მოვითმენთ სოციალისტურ ძაღლს, მას მალე კომუნისტური კუდი გამოებმებაო". კონსერვატორებს და ლიბერალებს ბოლოს და ბოლოს ეშინიანთ მუშათა კლასის გარევოლიუციონერების და დროზე უნდათ ამას ბოლო მოუღონ თავისი „მუშტით".

გერმანიაში, მარკის კურსის შედარებითი განმტკიცების ნიადაგზე ბურჟუაზია ლამობს უმრავლესობის შექმნას რეიხსტაგში. სოციალ-დემოკრატიასაც იმედი აქვს მუშათა კლასის რევოლიუციურ ნებისყოფის მოდუნების და თავის ხმების გამრავლებისა კომუნისტების ხარჯზე.

როგორ დამთავრდება არჩევნები ინგლისში, ან გერმანიაში,—ამის გათვალწინება ამჟამად ძნელია, მაგრამ მიმდინარე პერიოდიდან ერთი გაკვეთილი ამ თავითვე მკაფიოდ მოჩანს მუშათა კლასისათვის, სახელდობრ ის გაკვეთილი, რომ ე. წ. დემოკრატიულ-პაციფისტური პერიოდის „თეორია" გამოგონილია მისი მოსატყუებლად, მისთვის რევოლიუციონურ-კლასობრივი გზის ასაბნევად. ამ ილიუზიიდან განთავისუფლება იქნება დასაწყისი მუშათა კლასის აშკარა რევოლიუციონური ბრძოლისა ბურჟუაზიული წყობილების და მისი პარლამენტარიზმის დასანგრევად.

მენშევიკური გამოსვლების შედეგები და გაკვეთილები*)

1. როგორ ამზადებდნენ „პარიტეტჩიკები" გამოსვლებს?

დღეს, როდესაც ჩვენ საკმაოთ ვრცელი მასალა მივიღეთ ყველა მაზრებიდან და რაიონებიდან, სადაც ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ გამოსვლებს, ან რომელთაც ცოტად თუ ბევრათ შეეხო ეს გამოსვლები, როდესაც სპეციალურმა კომისიებმა წარმოადგინეს ადგილობრივი კვლევა-ძიების შედეგები და აგრეთვე ხელთა გვქვს საგანგებო კომისიის ცნობები და „პარიტეტულ კომიტეტის" წევრთა ჩვენებანი,—საშუალება მოგვეცა ობიექტიურათ წარმოვიდგინოთ აგვისტოს ბოლო რიცხვებში მომხდარი ამბები, გაუკეთოთ მათ ანალიზი, გავარკვიოთ მათი აზრი და მნიშვნელობა, გამოვიყვანოთ აქედან პრაქტიკული დასკვნები და გამოვიმუშავოთ ის ღონისძიებანი, რომელიც საჭიროა მომავალი მუშაობისათვის საქართველოში.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: საქმის ვითარების დეტალურად გაცნობის შემდეგ, არავითარი ეჭვი არ შეგვიძლია ვიქონიოთ იმაში, რომ შეიარაღებული გამოსვლები შედეგად მოჰყვა არა ჩვენი პარტიის პოლიტიკას და ისინი გამოწვეულნი მყვნენ არა მშრომელი ხალხის მასიური უკმაყოფილებით ჩვენში, არამედ ნაკარნახევი და მოწყობილი იმპერიალისტებისა და მათი დამხმარე 2 ინტერნაციონალის დირექტივით და ბრძანებით.

ეს გამოსვლები სრულიად აუცილებელი იყო, ვინაიდან. ჯერ ერთი—ასეთი იყო სურვილი მენშევიკების საზღვარ-გარეთელ ცენტრისა, რომელიც მოითხოვდა გამოსვლებს, რათაც არ უნდა დამჯდარიყო ეს, მიუხედავად ყოველგვარი მსხვერპლისა,—ევროპაში განგაშის ასატეხად და საბჭოთა ხელისუფლებისათვის გართულების გამოსაწვევად საერთაშორისო მასშტაბით; მეორეც—ასეთი იყო სურვილი საქართველოს კონტრ-რევოლიუციისა, რომელიც შესდგება, უმთავრესად, მენშევიკებისა და ნაციონალ-დემოკრატებისაგან.

მენშევიკური პარტია, რომელიც 25 წლის განმავლობაში აწარმოებდა მუშაობას ასე თუ ისე მუშათა და გლეხთა მასებში, ხოლო რომელმაც დღეს დაჰკარგა მთელი მუშათა და გლეხთა მასსა და გადაგვარდა თავის სოციალურ-კლასიურ შემადგენლობით—დაგორდა ძალაუნებურათ ავანტიურების გზით და, რა თქმა უნდა, უბრძოლველათ არ ჩამოვიდოდა პოლიტიკურ სცენიდან. ის მხოლოდ ეძებდა შესაფერ მომენტს ამ ბრძოლისათვის. ნაციონალ-დემოკრატები კი, რომლებიც შესდგებიან თავად-აზნაურებისა, მემამულეებისა, ვაჭრებისა და ოფიცრობისაგან საბჭოთა წესწყობილების შეურიგებელი მტრები არიან.

ხოლო თავად-აზნაურობა შეადგენს მცხოვრებთა 5—6 პროცენტს,—მაშასადამე არა ნაკლებ 100—120 ათასისა, და თუ ამას მიუმატებთ ათეულ ათას ვაჭარს—მივიღებთ პატარა საქართველოსათვის საკმაოდ დიდ რიცხვს.

ყველა ეს ელემენტები წარმოადგენენ ასანთ მასალას ამგვარ გამოსვლებისათვის როგორც დღეს, ისე მომავალში. ამ ხალხს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს არ დაუსინჯავს თავისი ძალები (თუ არ ჩავსთვლით ჩოლოყაშვილის ბანდიტურ თავდასხმებს) და ეხლა მას სურდა ეცადა ბედი გადაეწყვიტა „დავა იარაღით".

ეჭვს გარეშეა, რომ ადრე თუ გვიან კონტრ-რევოლიუციის შეიარაღებულ გამოსვლებს ადგილი უნდა ჰქონებოდა საქართველოშიაც (ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ამიერ-კავკასიის სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში—აზერბეიჯანში და სომხეთში) და თუ ეს გამოსვლები მოხდა ეხლა,—ეს აიხსნება იმით, რომ მათ უფარდებდენ რომელიმე საერთაშორისო კონფერენციას ან „ერთა ლიგის" სხდომებს. ასეც მოხდა.

საზღვარ-გარეთ მენშევიკების მუშაობა გაძლიერებული ტემპით სწარმოებდა, განსაკუთრებით უკანასკნელ თვეებში. „პარიტეტულ კომიტეტის" წევრის ჯავახიშვილის ჩვენებიდან ვრწმუნდებით, რომ საზღვარ-გარეთ მთელი მუშაობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან სწარმოებდა ჟორდანიას მთავრობის მიერ, ხოლო საქართველოში პარიტეტულ კომიტეტის დაარსების შემდეგ (ეს მოხდა 1922 წელში)—ე. წ. საზღვარგარეთელ ბიუროს მიერ, რომელიც მოეწყო ყოფ. მთავრობასთან პარიტეტულ საფუძვლებზე ყველა ანტი-საბჭოთა პარტიების შემადგენლობით. როგორც ყოფილ მთავრობის, ისე საზღვარგარეთელ ბიუროს მთელი მუშაობა სწარმოებდა უცხოელ მთავრობებს შორის საქართველოს საკითხის პოპულიარიზაციისათვის და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში საზოგადოებრივ აზრის შექმნისათვის საქართველოს „დემოკრატიულ" მთავრობის სასარგებლოდ.

მაკდონალდის მთავრობის შედგენის ცოტა ხნის წინად იუწყებოდენ, რომ მე-2-ე ინტერნაციონალმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად მე-2-ე ინტერნაციონალში შემავალი პარტიები კისრულობდენ—თუ რომელიმე ხელისუფლების სათავეში ჩადგებოდენ (მათ ასეთმა ბედმა გაუღიმა,—დროებით მოექცენ ისინი ხელისუფლების სათავეში), მიეღოთ ზომები საქართველოს ყოფ. მთავრობის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლათ და სხვ.

ხოლო ასეთი ზომები მიღებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში მოხდებოდა რაიმე აჯანყება.

იმავე ჯავახიშვილის ჩვენების თანახმად, პარიტეტულ კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე საზღვარ-გარეთიდან ჩამოსულმა ხომერიკმა განაცხადა, რომ თუ საქართველოში მოვახერხებთ აჯანყებას და მალე არ დავმარცხდებით, იმედი გვაქვს დიპლომატიურ ჩარევისა და ფულით დახმარების დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოების და კერძოთ საფრანგეთის „ზოგიერთ საზოგადოებრივ წრეების" მხრივო და ეს ფულები მართლაც იგზავნებოდა უკანასკნელ ხანებშიაც; თურმე აჯანყების მოსაწყობად მიღებული იყო ათი ათასი ლირა აგვისტოში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მენშევიკებმა გადასწყვიტეს შექმნათ „ერთიანი ეროვნული ფრონტი", რადგან თავიანთი ძალების იმედი არ ქონდათ. და როგორც იასონ ჯავახიშვილი ამბობს, საქართველოს ტერიტორიაზე არალეგალურათ მომქმედ პოლიტიკურ პარტიების: მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატების, ფედერალისტების, ესერების და სხივლების (დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატები) შორის 22 წლის დასაწყისში დაიწყო მოლაპარაკება რომელიც დიდხანს გაგრძელდა. მოლაპარაკება ეხებოდა ისეთ ორგანოს შექმნას, რომელიც შეათანხმებდა სხვადასხვა პარტიების მოქმედებას, რადგან ყველა პარტიები ემსახურებოდენ ერთსა და იმავე მიზანს: საქართველოს „დამოუკიდებლობის" აღდგენას.

მოლაპარაკება გაჭიანურდა ზოგიერთების დაპატიმრების გამო და იმის წყალობით, რომ მენშევიკები და ნაც.-დემოკრატები სულ სხვადასხვა თვალსაზრისზე იდგენ. მენშევიკები მოითხოვდენ, თუ საბჭოთა ხელისუფლება დაეცემოდა; როგორც ყოფ. მთავრობის, ისე დამფუძნებელ კრების სრულ რესტავრაციას, ნაციონალ-დემოკრატები კი—დამფუძნებელ კრების მოწვევას და მთავრობის შექმნას სოციალისტებსა და არასოციალისტებისაგან პარიტეტული პრინციპის მიხედვით.

ბოლოს, თურმე, 22 წ. აგვისტოში ეს პარტიები „შეთანხმდენ" იმის შესახებ თუ რა იქნებოდა, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება აღარ იქნებოდა. მათ ხელი მოაწერეს 5 მუხლისაგან შემდგარ „ლამაზ" შეთანხმებას:

„1. პარტიები ერთდებიან იმისათვის, რათა საერთო ძალებით იბრძოლონ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

2. იმ შემთხვევაში, თუ აღდგენილი იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა, მოწვეული იქნება დამფუძნებელი კრება, რომელსაც ჩააბარებენ ანგარიშებს თავიანთი მოღვაწეობის შესახებ როგორც საზღვარგარეთ მყოფი მთავრობა, ისე ის მთავრობაც, რომელიც შედგენილი იქნება გარდამავალ მომენტში.

3. დამფუძნებელი კრების სხდომაზე ირჩევენ ახალ მთავრობას კოალიციონური პრინციპის მიხედვით, ამასთანავე არც ერთ პარტიას უფლება არ აქვს დაიკავოს ადგილების ერთ მესამედზე მეტი.

4. ირჩევენ პარიტეტულ კომისიას იმ ძველი მთავრობის მოღვაწეობის განსახილველათ, რომელმაც ქვეყანა დაღუპამდი მიიყვანა.

5. ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან, პარიტეტულ საფუძვლებზე არჩეული უნდა იქნეს კომიტეტი, რომელსაც უნდა ეწოდოს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი".

ხელშეკრულება ხელმოწერილი იყო და ამ დროიდან სწორედ ორი წლის განმავლობაში (1922 წ. აგვისტო—1924 წ. აგვისტო) „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" აწარმოებდა მუშაობას, რომლის მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და შემდეგ კოალიციის შექმნა.

იქ კი, საზღვარგარეთ, ყოფილი მთავრობის უმუშევრათ დარჩენილი და მოხეტიალე მინისტრები გაცხარებულ მუშაობას აწარმოებდენ. განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდენ მენშევიკები ინგლისზე და საფრანგეთზე (გერმანიის სოციალ - დემოკრატებმა, თურმე, ისინი უმოწყალოთ გასცეს) ბისკვიტის პრემიერის მაკდონალდის სახით, რომელიც ეხლა დაეცა თავისი ბისკვიტის კაბინეტით და პატივცემულ ერრიოს სახით, რომელსაც აგრეთვე ჩქარა აერევა საქმეები.

ევროპის „საზოგადოებრივი აზრის" მიმხრობის მიზნით მენშევიკებმა პარიზში, ლონდონში და ჟენევაში მოაწყვეს საქართველოს დამხმარე კომიტეტები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდენ იქაური რეაქციონური ძალები.

ჩხეიძე ჟენევაში გამოვიდა მოხსენებით საქართველოს შესახებ, სადაც, სხვათა შორის, ურჩევდა ინგლისს სესხი არ მიეცა ბოლშევიკებისათვის, რადგან ეს სესხი მიხმარდებოდა წითელ არმიის გაძლიერებას. (ანგარიში მისი მოხსენების შესახებ დაბეჭდილია ჟენევის ყოველდღიურ გაზეთში „ტრავაი"—„შრომა").

ივნისში ჩხენკელი და წერეთელი რაღაც მოლაპარაკებას აწარმოებდენ დიუმერგთან და ერრიოსთან, ამასთანავე ჩხენკელი დიდის ზეიმით იქნა მიღებული დიუმერგის მიერ, როგორც საქართველოს ოფიციალური ელჩი.

რენოდელი წერეთელს სწერდა (ეს წერილი ჩვენ ხელში ჩაგვივარდა და ამ ჟამათ საქართველოს საგანგებო კომისიაში ინახება), რომ საფრანგეთის სოციალისტები შეეცდებიან ჩაერიონ საქართველოს საქმეებში იმ შემთხვევაში, თუ სოციალ-დემოკრატები გაიმარჯვებენ და მაშინაც თუ ისინი დამარცხდებიან.

აი ამ წერილის ტექსტი:

„გთხოვთ გადასცეთ ქართველ მეგობრებს, რომ ჩემთვის გამოგზავნილმა წერილმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ოჰ, ნეტავ შემეძლოს უთხრა მათ, რომ ჩემი და ჩემი პარტიის გამარჯვება არჩევნებში მომასწავებელი იქნება მათი ტანჯვის დასასრულის. რასაკვირველია, ყველაფერი ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ საფრანგეთის ტრიბუნის სიმაღლიდან ხმამაღლა გავკიცხოთ მჩაგვრელები.

მე იმედი მაქვს, რომ ნამდვილი რუსეთის ცნობა, რომელიც მოხდება აუცილებელი შენიშვნებით ისეთი პრობლემების შესახებ, როგორიც არის საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი, საშუალებას მოგვცემს ჩვენ ჩავერიოთ ამ საქმეებში.

გადაეცით ჩემი სალამი და მადლობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცეკას. უთხარით მათ, რომ მე ვრჩები მათ ერთხელ მეგობრათ როგორც გამარჯვებაში, ისე დამარცხებაში...

პიერ რენოდელი."

და, მართლაც, კეთილშობილმა რენოდელმა შეასრულა თავისი სიტყვა.

როდესაც მენშევიკები დაამარცხეს და მათ საშინელი უბედურება დაატყდათ თავს, რენოდელმა აღძრა საკითხი სამედიატორო სასამართლოსა, პლებისციტისა და სხვა სისულელეების შესახებ...

დაბოლოს, ბენია ჩხიკვიშვილის დაპატიმრების დროს მას უნახეს ნოე ჟორდანიას სადირექტივო წერილი, რომელშიაც ის გარკვევით აძლევს წინადადებას აქტიურ მენშევიკებს, მოაწყონ აჯანყება; ამ წერილში მოცემულია აჯანყების „სტრატეგიული" გეგმაც, რომლის მიხედვით აუცილებელია კავკასიის უღელტეხილის „მოწყვეტა" რუსეთისაგან და კავშირის დამყარება ჩრდილოეთ კავკასიასთან და აზერბაიჯანთან.

ამ დირექტივას ასრულებდა ადგილობრივი პარიტეტული კომიტეტი, რომლის წარმომადგენლებიც დადიოდენ აზერბაიჯანში, ჩეჩნეთში და დაღესტანში და კავშირს ამყარებდენ იქაურ კონტრ-რევოლიუციონერებთან. მაგრამ ყველაფერი ეს უხეიროთ დამთავრდა და მრავალი „მეთაურები" დაპატიმრებული იქნენ.

ამავე დროს კი საჭირო იყო დაჩქარება, რომ ხელიდან არ გაეშვათ მოხერხებული საერთაშორისო ამბები, და ადგილობრივმა პარიტეტულმა კომიტეტმაც გადასწყვიტა გამოსვლა მარტო საქართველოში; მათ არ დაუცადეს „აზერბაიჯანს" და „ჩრდილოეთ კავკასიას", როგორც ამას ურჩევდა მათ თავის წერილში ნოე ჟორდანია.

აქედან აშკარაა, რომ აჯანყების ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო უცხოეთი, რომელიც ანხორციელებდა თავის გეგმებს ქართველი მენშევიკების და ნაციონალ-დემოკრატების საშუალებით; ეს უკანასკნელები კი, როგორც აღვნიშნეთ შესდგებიან თავად-აზნაურულ და კულაკურ ელემენტებისა და ვაჭრებისაგან.

მაგრამ არა მარტო ამ უმთავრესმა ელემენტებმა მიიღეს მონაწილეობა გამოსვლებში, არამედ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ორი-სამი მაზრის მოტყუებულმა სულ მცირე ნაწილმაც გლეხობისა და სოფლის ინტელიგენციისა. და ეს გარემოება აიძულებს პარტიას ყურადღება მიაქციოს ჩვენი მუშაობის სუსტ მხარეებს, ბოლომდი გამოამჟღავნოს ყველა შეცდომები და დეფექტები, რომელთა გამოყენებაც შეიძლებოდა და რომლებიც გამოიყენეს კონტრ-რევოლიუციონერებმა და დაუყონებლივ მიიღოს ზომები ყველა შეცდომების და ნაკლულევანებათა გამოსასწორებლად.

ამ შეცდომის აღნიშვნას ჩვენ შეუდგებით შემდეგ წერილებში. მაგრამ, სანამ ამას დავიწყებდეთ, საჭიროა გამოვარკვიოთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ბუნებრივათ იბადება: რამდენათ მოსალოდნელი ან მოულოდნელი იყო ეს ამბები ჩვენთვის.

მ. კახიანი.

---

*) ზემოაღნიშნული სათაურით ჩვენ ვიწყებთ დღეიდან ამხ. მ. კახიანის წერილების მეორე სერიის გამოქვეყნებას. ეს წერილები გამოხატავენ პარტიისა და მით ჩვენი გაზეთის შეხედულებას აღძრულ საკითხებზე, რომელთაგან ზოგს ეხება თავის წერილებში ს. დევდარიანიც.

რედაქცია.

რა სტკივა საქართველოს

II

ეროვნული უნდობლობის ნიადაგზე

კომუნისტური პარტიის მერვე ყრილობაზე ლენინი ეკამათებოდა ბუხარინს ეროვნულ საკითხში.

—„მე მარტო მშრომელ ხალხისთვის მინდა ვიცნო თვითგამორკვევის უფლება"—ასე ამბობს ბუხარინი. „თქვენ, მაშასადამე, გინდათ იცნოთ? ის, რაც სინამდვილეში არსად არ არის, რაც, რუსეთის გარდა, არც ერთ ქვეყანაში არ მიწეულა—ეს სასაცილოა. ავიღოთ ფინლიანდიის, დემოკრატიული ქვეყანაა, უფრო განვითარებულია, უფრო კულტურულია, ვიდრე ჩვენ ვართ. იქ ხდება პროლეტარიატის გამოყოფა, გამოსხვავება, ხდება ეს თავისებურად უფრო გაწვალებით, ვიდრე ჩვენში ხდებოდა... მაგრამ რაკი ჩვენ ვიცანით უფლება ეროვნული თვითგამორკვევის, იქ გაადვილდა პროცესი პროლეტარიატის გამოცალკევების. მე კარგად მახსოვს სურათი. როცა ცნობის ქაღალდს (грамоту) ვაძლევდით სვინხუვუდს, ფინლიანდიის ბურჟუაზიის წარმომადგენელს, რომელმაც ჯალათის როლი შეასრულა. ის თავაზიანად მართმევდა ხელს ჩვენ ერთმანეთის მოსაწონ სიტყვებს ვამბობდით, ვაქებდით ერთმანეთს. ეს არ ვარგოდა. მაგრამ ასე უნდა მექნა, რადგან მაშინ ფინლიანდიის ბურჟუაზია მშრომელ ხალხს ატყუებდა,—მოსკალები შოვინისტები, ველიკორუსები ფინლიანდიელების დახრჩობას აპირებენო. ასე უნდა მექნა... ეროვნული თვითგამორკვევა არაო და მხოლოთ მშრომელი ხალხის თვითგამორკვევაო, ეს არ არის სწორი გზა. ასე კითხვის დაყენება ანგარიშში არ უწევს იმ გარემოებას, რომ ერის შიგნით მძიმეთ, წვალებით და მიხვრა-მოხვრით მიდის დანაწილების პროცესი... თითოეულ ერს უნდა იქნეს თვითგამორკვევის უფლება, ეს გააადვილებს მშრომელ ხალხის თვითგამორკვევას... ჩვენ რომ ვსთქვათ, ფინლიანდიის ერს არ ვცნობთ, ვცნობთ მარტო ფინლიანდიის მშრომელ ხალხსო—ეს იქნება ქარაფშუტობა (пустяковейнейшей вещью)... სხვა ერების მშრომელი ხალხი არ ენდობა დიდ რუსებს (великороссы), როგორც შემავიწროებელ ერს (как нации кулацкой и давящей) ეს ფაქტია. ფინლიანდიის წარმომადგენელი მოგიყვა, ჩვენებური ბურჟუაზია, რომელსაც ქირივით სძულდა დიდრუსები, ახლა გაიძახის,—„გერმანელები დიდი მხეცები იყვნენ, მოკავშირე სახელმწიფოებიც დიდი მხეცები იყვნენ, ისევ ბოლშევიკები გვირჩევნიაო". ეს არის ჩვენი უდიდესი გამარჯვება ფინლიანდიის ბურჟუაზიაზე. ეს სულაც არ შეგვიშლის ხელს, რომ ვებრძოლოთ ამ ბურჟუაზიას, როგორც კლასიურ მოწინააღმდეგეს, მიზანშეწონილი საშუალებებით. ეროვნულ საკითხში არ შეიძლება ისე მსჯელობა, რომ, რათაც უნდა დაგვიჯდეს, სამეურნეო მთლიანობა შექმნათ. საჭიროა, რასაკვირველია, უნდა შევქმნათ, მაგრამ ამას მივაღწევთ ქადაგებით (проповедью), აგიტაციით, ნებაყოფლობითი კავშირით... დიდი სიფრთხილე გვჭირდება ამ საქმეში, მეტადრე ჩვენ დიდრუსობას, რომელმაც ყველა ერებში დაიმსახურა საშინელი სიძულვილი. ახლა შევეჩვიეთ საქმის გამოსწორებას ამ მხრივ, მაგრამ ძალიან ბევრი გვაკლია ჯერ... ჩვენ უნდა ვუთხრათ სხვა ერებს, რომ ჩვენ ვართ ბოლომდის ინტერნაციონალისტები და გვინდა თავისუფალი კავშირი ყველა ერების მუშა-გლეხობის"*)

გრძელი ამონაწერია და კიდევ უფრო გრძელი ამონაწერი შეიძლება იმის დასაფასებლათ, რომ ლენინი მეტის მეტი სიფრთხილით ეკიდებოდა ეროვნულ საკითხს. საქართველოზედაც ითქმის თითქმის ყველაფერი ის, რასაც ლენინი ამბობს ფინლიანდიაზე. თუ ერს ფრთხილათ არ მოექეცი, თუ ერის თვითგამორკვევა არ იცანი, მარტო მშრომელი ხალხის თვითგამორკვევაზე ილაპარაკე, უთუოდ შეაფერხებ მშრომელი ხალხის თვითგამორკვევას.

ეს შეფერხება მოხდა სწორეთ საქართველოში. აქ სხვა ერებთან შედარებით უფრო ფესვგამდგარი იყო ინტერნაციონალიზმი. მერე ისე გაიდგა ფესვი ნაციონალიზმმა, რომ არც ერთ ერს არ მოსწრებია ამისთანა. ბოლშევიკების შემოსვლამდისაც და მერე კიდევ უფრო, ქართველებში, ხშირათ გაიგონებდით,—ვინც ქართველი არ არის ყველა საქართველოს მტერიაო.

ლენინი ამბობს იმ სიტყვაში, საიდანაც მოვიყვანე ზემოთ ამონაწერები:—ჩამოფხიკეთ ცოტა ზოგიერთი კომუნისტი და იმაში აღმოაჩენთ დიდრუსის შოვინისტსო. მე ვიტყოდი, რომ ზოგიერთ და არა მარტო ზოგიერთ ქართველ მუშაში, გლეხში, სხვა წრეებს რომ თავი დავანებოთ, ჩამოუფხეკავათაც დაინახავთ ქართველ შოვინისტს. ქართველს უყვარდა რუსეთი, რუსეთის კულტურა, ქართველმა ინტელიგენციამ თავის საუკეთესო ძალები შეალია რუსეთის რევოლიუციას.

რამ შეცვალა წინანდელი სიყვარული ახლანდელ სიძულვილათ.

მე ვსთქვი ნაძალადევში მუშების კრებაზე, და იქ დამსწრე ხელმძღვანელი კომუნისტები დამეთანხმნენ, რომ სულ სხვა მნიშვნელობა ექნებოდა შინაურ გადატრიალებას საქართველოში და გადატრიალების შემდეგ რუსეთის ჯარის შემოსვლას. საქართველოს სტკივა ის, რაც მოხდა 1921 წელს. ყველას არ შეუძლია ფართე საერთაშორისო პერსპექტივების გათვალისწინება. უდიდესი შეგნებაა საჭირო იმის გამოსაანგარიშებლათ, რომ ეს საჭირო იყო მსოფლიო რევოლიუციისთვის. ამისთანა შეგნებას საქართველოში ვერ ექნებოდა ნიადაგი. საქართველო უფრო გლეხობის ქვეყანაა, ვიდრე ჩამოყალიბებული მუშათა კლასის. აქაურ მშრომელ ხალხს არ შეიძლო ასეთი შორსმხედველობა. ამიტომ უფრო მოიკიდა აქ ფეხი ეროვნულმა კარჩაკეტილობამ, ეროვნულმა უნდობლობამ, შეურიგებლობამ.

როცა 1921 წლის დამდეგს აქ კომუნისტები გზას იკაფავდნენ ძალაუფლებისკენ, ისინი ხელმძღვანელობდნენ ბუხარინის და არა ლენინის პრინციპით. ისინი მაშინ აღიარებდნენ მარტო ქართველი მშრომელი ხალხის თვითგამორკვევას. გამართლდა ლენინის ნათქვამი,—როცა ერის თვითგამორკვევას არ სცნობ, მაშინ არც მშრომელი ხალხის თვითგამორკვევა გამოგივა, მაშინ ხელს შეუშლი ამ თვითგამორკვევას, შეაფერხებ მუშათა კლასის ჩამოყალიბებასო.

საქართველოს მშრომელ ხალხში დაიჩრდილა კლასობრივი თვითშეგნება, წინ წამოიჭრა ეროვნული მომენტი. მახსოვს, არალეგალურ მუშაობის დროს, ერთ ძველ მუშას გაეტანე რეზოლიუცია პროფესიონალური კავშირების კრებაზე გამოსაქვეყნებლად. ეს კრება მოწვეული იყო 24—26 მაისში მომხდარ ამბების გამო 1922 წელს. რეზოლიუცია ამბობდა: ქართველი ერი იბრძვის დამოუკიდებლობისთვის, მაგრამ ეს ბრძოლა სრულიათ არ ეწინააღმდეგება რუსეთის და სხვა მეზობელ ერების მუშა-გლეხობის ინტერესებს. კრებაზე გამოსულიყვნენ ვილაცები, ელაპარაკათ ქართული მენშევიკების შოვინისტური მიდრეკილების შესახებ. სიტყვა ერგო მერე იმ მუშას. რეზოლიუცია თურმე ხელში ეკავა, არ კითხულობდა, ისე აფრიალებდა აღელვებული გაიძახოდა,—მე ქართველი ვარ, მხოლოდ ქართველიო.

აი ეს მხოლოდ ქართველობა გაიზარდა ქართველი ხალხის შეგნებაში, მშრომელ წრეებშიაც. ამოითხარა ეროვნული უნდობლობის უფსკრული. შეურიგებლობის, დაპირდაპირების სარჩულზე განვითარდა ის „პოლიტიკა", რომელიც დამთავრდა უკანასკნელი ამბებით.

მოსკოვში საკავშირო აღმასრულებელი კომიტეტის კრებაზე ჩიჩერინს უთქვამს ახლა ამ ამბების შესახებ,—ეს საზღვარგარეთის კაპიტალისტებმა, ევროპის სახელმწიფოებმა მოაწყვესო. აქაურ პრესაშიაც ეს აზრი იყო გატარებული, გარედან მოწყობილიაო,—ამბობდნენ.

ნაძალადევის კრებაზე ჩემ მოხსენებაში მე შეცდომათ მი იჩნიე ეს აზრი. არ შეიძლება იმის თქმა, რომ გარედან ვინმე ხელს უწყობს საქართველოს აჯანყებას. ამისთანა ლაპარაკით ტყუილი იმედი ეძლევათ აჯანყების იდეოლოგებს. თუ იქიდან გვიწყობენ, რა გვიჭირს, კიდევ მოვაწყობთო იტყვიან და განაგრძობენ იმავე „პოლიტიკას".

არა, იქიდან არავინ არის ხელშემწყობი. უნდათ კი, რომ საქართველო ფოთარობდეს, შფოთავდეს, მაგრამ კაპეიკსაც არ დახარჯავენ დასახმარებლათ.

ამაზე მეტი გამართლება რაღა იქნება ჩემი აზრის: „ზარია ვისტოკაში" [illegible] ერთი ვიღაც ინგლისელის ნაამბობი საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ. აქ ყოფილა იმ დღეებში ის ინგლისელი, დაბრუნებულა სახლში და მუშათა პარტიის ორგანოში („Daily Herald") მოუთავსებია თავისი შთაბეჭდილებები. არაფერი არ მომხდარა საქართველოში, ნიშანწყალიც ვერ შევამჩნიე მოძრაობის, მეთაურებს გაუსწორდა ძალაუფლება, ორიოდ-სამიოდე გლეხს, მოტყუილებით ჩათრეულს კი აპატია შეცდომაო.

ინგლისის მუშათა პარტია, მაკდონალდი დიდი მეგობარია იმ საქართველოსი, რომელსაც ნ. ჟორდანია „წარმოადგენს" საზღვარ გარეთ. როგორ მოათავსა ამისთანა წერილი თავის ორგანოში მუშათა პარტიამ. რაც უნდა მართალი იყოს იმ ინგლისელის ნაამბობი, მუშათა პარტიის ორგანო არ მოათავსებდა თავის ფურცლებზე ის რომ მართლა ეხმარებოდეს ნ. ჟორდანიას, ასე საქვეყნოთ არ გაამბიაბურებდა ნ. ჟორდანიას ცნობებს საქართველოს აჯანყების შესახებ.

არა, დავუჯეროთ ლენინს,—არ შეიძლება არ იცნო ის, რაც არისო,—ლენინი ამბობს იმავე სიტყვაში.

არ შეიძლება არ იცნო, რომ საქართველოში უკანასკნელი ამბები არ არის საზღვარ-გარეთიდან მოწყობილი. ფულიც კი არ მოსვლიათ იქიდან იმდენი, რომ ტყვია მაინც ეყიდათ საყოფი. გურიაში, თურმე, ცარიელი თოფები ეკავათ,—რა მეშველება, ორი ტყვიის მეტი არა მაქვს, მარტო ერთი ტყვია დამრჩაო, გაიძახოდენ აქა-იქ.

სერგო ორჯონიკიძეს ნაგომარში გლეხებისთვის ეკითხა კრებაზე: რაშია საქმე, რათ გამოხვედით ასეო,—მოგვატყუეს ბატონო, გვეუბნებოდენ ევროპიდან ჯარი მოდისო,—უთხრეს თურმე გლეხებმა.

— შეიძლება გინდოდათ თქვენ, მოსულიყვენ ევროპიდან, რომ არ გნდომებოდათ არც დაიჯერებდითო,—უთქვამს მათთვის სერგო ორჯონიკიძეს.

— ეს მართალია, თუ გინდა, მაშინ ყველაფერს დააჯერებ.

ნუ აძლევს მმართველი პარტია, ძალაუფლება არალეგალურ წრეებს საზღვარ-გარეთის იმედებს. მარქსის სიტყვები,—ფაქტი უნდა აიღო ისე, როგორც არის, მიუმატებლათ და გამოუკლებლათო, ლენინის სიტყვები,—არ შეიძლება არ იცნო ის, რაც არისო—უდიდესი პოლიტიკური სიბრძნეა.

ნურაფერს გამოვაკლებთ, ნურც მიუმატებთ რამეს ფაქტს, ვიცნოთ ის, რაც არის, და ვთქვათ პირდაპირ, რომ საქართველოში მომხდარ ამბებს ნიადაგი ჰქონდათ შიგნით, შინაურ პირობებშიც. სოციალ-დემოკრატიან პარიტეტულ კომიტეტს არ აჯანყებდენ მარტო იმიტომ, რომ უცხოელ კაპიტალისტებს სჭირდებათ ბაქოს ნავთი, ან ჭიათურის შავი ქვა.

რა ნიადაგია ეს, რა შინაური პირობებია?

ეს არის გულის ჯავრი ეროვნული უნდობლობის ნიადაგზე... არის, რა თქმა უნდა, უკმაყოფილობა ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული, მაგრამ გულის ჯავრის მაგიერათ რომ ცივი ანგარიში იყოს, „აჯანყების" პოლიტიკას არ ექნება გასავალი.

ცივი პოლიტიკური ანგარიშით ადვილია იმის მიხვედრა, რომ უკმაყოფილობას ვერ მოსპობს დღევანდელი ძალაუფლების ჩამოგდება. გლეხს აძვია, მაგალითად, ეკონომიური გაჭირვება. მერე რომელი ძალაუფლება მოაცილებს თავიდან ამ გაჭირვებას. ვინ მოუვლის ისე, რომ სულ არაფერი არ აკლდეს. უფრო მაძღრათ იქნება ჩვენი გლეხი და უკეთ ჩაცმულ-დახურული, რომ საზღვარ-გარეთიდან ჩარევამ ააფორიაქოს აქაურობა და მუდმივი შეხლა-შემოხლა გამოიწვიოს აქ სხვადასხვა ერებში?

უჭირს გლეხს და სხვა წრეებსაც არა მარტო ეკონომიურათ. მაგრამ ცივი პოლიტიკური ანგარიში ადვილად მიახვედრებს კაცს, რომ სხვა ძალაუფლება დღევანდელი ძალაუფლების ჩამოგდების შემდეგ ვერ მისცემს უკეთეს პირობებს.

— განა ნ. ჟორდანიას დროს ამისთანა დევნა იყოო, მეკითხებოდა ვიღაცა ნაძალადევის კრებაზე.

ამისთანა არ იყო და იმიტომ აჯობეს კიდეც ბოლშევიკებმაო,—ამბობენ ხოლმე ხშირად. ეხლა რომ დაბრუნდეს ნ. ჟორდანიას მთავრობა, უთუოდ იტყვის, მეტათ დევნაა, მეტი რეპრესიებია საჭირო, რომ აწი მაინც არ მოგვერიონო.

ტყეს როცა სჭრიან, ნაფოტი სცვივდებაო, რუსული თქმულებაა... როცა ძალ-უფლების შერჩენას ისახავ მიზნათ, პოლიტიკური გაჭირვების სუსხი ბრალიანსაც მოხვდება და უბრალოსაც.

გულის ჯავრი უნდა გაიდევნოს პოლიტიკიდან. ამის თქმა ახლა უფრო ძნელია, ვიდრე ექვსი თვის წინეთ, როცა მე პირველათ გამოვედი შერიგების კილოთი. მაგრამ მე სიძნელეს არ გავექცევი და სანამდის გავაგრძელებდე ამ წერილებს, კიდევ ვიტყვი, რაც ნაძალადევის კრებაზე ვსთქვი: გმირობა არ არის ის, რომ განზე ბუტიაობდე და გულზე სკდებოდე, არც ის, რომ თავის შეკვლა ბრძოლა გეგონოს.

ს. დევდარიანი.

---

*) Полное собр. соч. т. XIX, 228, 231, 232, 234—235.

ნისლოვან კუნძულზე

ნისლოვან კუნძულზე—დიდ ბრიტანეთში—ომის შემდეგ მნიშვნელოვან პოლიტიკურ კომბინაციებს ვხვდებით. ეს ქვეყანა კრედიტორიდან დებიტორათ იქცა, მსოფლიო პოლიტიკის მესვეურიდან მხოლოდ ევროპის პოლიტიკის ერთი ძალის ადგილი დაიჭირა.

ამბობდენ—ყოველ სახელმწიფოს აქვს განსაკუთრებული ობიექტიური მიზანიო. რომისათვის ასეთი მიზანთა დაპყრობა გერმანეთისათვის თავისუფლების სამეფოს განხორციელება (ფიხტე), რუსეთისათვის აზიის ხალხთა კოლონიზაცია და მათში კულტურის შეტანა, ხოლო დიდი ბრიტანეთისათვის პოლიტიკური თავისუფლებაო.

ამ მოსაზრების შემცდარობა იმ თავითვე ნათელია. „პოლიტიკური თავისუფლების" ქვეყანა ყველაზე მეტად და ყველაზე ადრე გამოდის პოლიტიკური მონობის საქმით მსოფლიოს ჩამორჩენილ ხალხთა მიმართ.

ნისლოვანი კუნძულის ვითარება, მისი პოლიტიკური ფიზიონომია მაინც თავისებურია. კ. მარქსი ამ კუნძულის პროლეტარიატის ცხოვრების ანა



იუზი—„მშვიდობიანობის ანგელოზი"

ლიზით მიდიოდა თავის „კაპიტალის" წერის დროს, მაგრამ დღესაც ეს პროლეტარიატი არ სდგას სოციალიზმის ნიადაგზე.

ჩვენ ალბად აქ მოგვაგონდება ფ. ენგელსის ნაცნობი ფრაზა ინგლისის პროლეტარიატის შესახებ, სადაც ვერაფერი საიმედო აზრია გამოთქმული რევოლიუციონერთათვის.

რაშია საქმე? სად მარხია ნისლოვანი კუნძულის პროლეტარიატის რეფორმიზმის საფუძვლები?

ამაზედ პასუხს მოგვცემს ამ კუნძულის ეკონომიკის გათვალისწინება.

ჩვენ ვიცით, რომ ახალ საუკუნეებში ევროპის ხალხთა განვითარებამ მისცა შინაარსი საკაცობრიო კულტურის პროგრესს. ევროპის ხელი მისწვდა ყველა ქვეყნის ყოველი სახის ნედლ მასალას და მისივე ნაწარმოებმა დაფარა ყველა ქვეყნის ყოველი ბაზარი.

ევროპას გააჩნდა მხოლოდ ნახშირი, უფრო ცოტა რკინა და კიდევ ნაკლები თუთია და ტყვია, მაგრამ მან შესძლო მთელი მსოფლიო სამრეწველო სადავეების თავის ხელში შეკრება. ევროპა ღებულობდა ბამბას და მატყლს ოკეანეს გაღმა ქვეყნებიდან და აწვდიდა მთელ მსოფლიოს მანუფაქტურას ამ მასალების გადამუშავებით. ევროპას არ ჰქონდა თავის მცხოვრებთა გამოსაკვები სურსათიც კი. ამიტომ ის ხორცსა და პურს ღებულობდა და ღებულობს ამერიკიდან, ავსტრალიიდან, აფრიკიდან და ინდოეთიდან.

ევროპის ეკონომიური აღორძინებიდან გამომდინარეობდა მისი პოლიტიკური და კულტურული ჰეგემონია მთელ მსოფლიოში. აზიის კულტურა ისტორიკოსთა და არქეოლოგთა საგნად იქცა, ევროპის კულტურამ დაიპყრო მთელი მსოფლიოს ყურადღება. მან მოიპოვა საერთაშორისო ასპარეზი.

ჩვენ ვიცით, რომ ინგლისი—ეს ნისლოვანი კუნძული,—რომელიც არც მცხოვრებთა დიდი რაოდენობითაა შესანიშნავი და არც ტერიტორიის სივრცით, სათავეში ედგა ევროპის ეკონომიურ ცხოვრებას. აქედან—ის იყო მთელი მსოფლიოს ეკონომიკის ჰეგემონი და პოლიტიკის ტონის მიმცემი.

ამ გარემოებიდან გამომდინარეობს ინგლისის მუშათა კლასისათვის მნიშვნელოვანი და თავისებური პირობები. რამდენადაც წარმოების განვითარება წინ მიდიოდა, იმდენად სამუშაო ენერგია, მუშა-ხელის მოთხოვნილება დიდი იყო. აქედან—მცირე იყო უმუშევრობა, დიდი იყო ხელფასის დონე. რამდენადაც დიდი ბრიტანეთის ნაციონალური ბურჟუაზია მსოფლიოს ბატონობდა, იმდენად ის ვაჭრობიდან მიღებული მოგების ხარჯზე ამცირებდა წარმოების პროცესში მოგების დონეს და ჰქმნიდა პირობებს პროლეტარიატის რეფორმისტული სულისკვეთებისათვის.

ამით აიხსნება ის უცნაური გარემოება, რომ ინგლისის მუშათა კლასი დიდხნობით დარჩა ბურჟუაზიული პარტიების გავლენის ქვეშ. იგი ხან კონსერვატორებს ამაგრებდა თავის ხმებით და ხან ლიბერალებს. მუშათა მოძრაობა, ტრედ-იუნიონები შეჩვია, შეეზარდა კაპიტალისტურ წყობილებას, რეფორმების ანგარიშს, მცირე მონაპოვრით დაკმაყოფილებას.

ამის გამო ინგლისის პროლეტარიატში თავი იჩინა ბურჟუაზიულმა სულისკვეთებამ, ინგლისურ სოციალიზმში კაპიტალისტურმა ტენდენციებმა, მუშათა პარტია გვიან აღმოცენდა და ისიც არა მუშური იერით.

ინგლისელი პროლეტარი არც ფრანგი თანამოძმის მაღალ იდეებს ატარებს, არც გერმანელის მუშის ზოგჯერ უმოქმედო ოცნებებს, არც იტალიის პროლეტარის მხურვალე, მაგრამ უანგარიშო ტემპერამენტს. მით უფრო, ის არ ატარებს რუსეთის მუშის რევოლიუციონურ სულისკვეთებას. მუშის, პროლეტარის ასეთი ტიპი წარმოშვა ინგლისის ეკონომიურმა ჰეგემონობამ მსოფლიო ბაზარზე, მისმა განსაკუთრებულმა ხელსაყრელმა ქონებრივმა პირობებმა. ამიტომ ჯერ კიდევ არ ირღვევა ინგლისში „სოციალური ზავი", ჯერ კიდევ არ სჩანს სამოქალაქო ომის აჩრდილები.

საკითხავია—დიდხნობით შერჩება ინგლისს ასეთი მდგომარეობა?

შეიძლება მივიღოთ სახელმძღვანელოთ, რომ რამდენათაც ინგლისის ეკონომიური ჰეგემონობა ძირს დაიწევს, იმდენად მაღლა აიწევს ინგლისში მუშათა მოძრაობა.

ინგლისში მუშათა მოძრაობის პირველ პერიოდათ შეიძლება ჩავთვალოთ მე-19 საუკუნის პირველი ათეული წლები, როდესაც მუშები ვერ ერკვეოდენ სამრეწველო რევოლიუციის მნიშვნელობაში და იბრძოდენ კაპიტალისტური ფორმების წინააღმდეგ უფრო რეგრესიულ ფორმების სასარგებლოთ. შემდეგ პერიოდში, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ მეორე პერიოდათ, ვიდრე მეორმოცდაათე წლებამდე, [illegible] მუშების გატაცება ჩარტიზმით და ოუენიზმით.

მოდის ახალი პერიოდიც, ინგლისის ბატონობა ფრთებს შლის, მუშათა კლასის მდგომარეობა უმჯობესდება. ისიც თავს ანებებს სოციალიზმით გატაცებას და ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ჰაოსში ეშვება.

გასული საუკუნის მეოთხმოცე წლებში ინგლისის ბატონობას უჩნდება კონკურენტები. ამერიკა და გერმანეთი, იაპონია და ინდოეთიც კი ანვითარებს თავის მრეწველობას. ინგლისის ბურჟუაზიას წინანდებურათ აღარ შესწევს ძალა დააკმაყოფილოს მუშათა კლასის მოთხოვნები, რის გამო იწყება მეოთხე პერიოდი ინგლისის მუშათა მოძრაობაში. ჩნდება ახალი ტრედ-იუნიონები, რომლებიც ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ნაცვლად სოციალისტური იდეალებით გამოდის. აქედან აშკარაა—ინგლისის საერთაშორისო მდგომარეობის შერყევა აძლიერებს ინგლისის მუშათა მოძრაობას.

ჩვენ ვიცით, რომ ინგლისმა დიდი ბრძოლა აიტანა თავის ჰეგემონობის დამკვიდრებისა და შენარჩუნებისათვის. ის, ერთი მხრივ, ებრძოდა ევროპის ქვეყნებს, რომ არც ერთი მათგანი არ გაძლიერებულიყო და არ შესძლებოდა მისთვის წინააღმდეგობის გაწევა; მეორე მხრივ, მიძვრებოდა ეგვიპტეში, კანადაში, ავსტრალიაში, აფრიკაში, ამერიკაში, ინდოეთში და სხვა მხარეებში, რომ მათი გაფცქვნით, ნედლი მასალის გამოტანით, სამუშაო ძალის გამოყენებითა და ბაზრის დაპყრობით შეექმნა თავისი ნაციონალური მრეწველობისათვის საუკეთესო პირობები.

ინგლისის გაქნილი და გაიძვერა პოლიტიკა მიზანს აღწევდა. ის კისერს უგრეხდა ჰოლანდიის ძლიერებას, გამარჯვებული გამოდიოდა ნაპოლეონის ომების შემდეგაც, რადგან მის წინაშე რჩებოდა განადგურებული ევროპა. ის ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ევროპის კონტინენტზე ყოფილიყო ქაოსი და დისჰარმონია. უკანასკნელათ მისთვის საჭირო გახდა გერმანეთის დამხობა და ამიტომ ის ჩაერია ომში, ხელი შეუწყო ევროპის სივრცეზე საომარი ცეცხლის დანთებას. ომის შემდეგ იგი მომხრე გახდა გერმანეთისა და ავსტრიის დაყვანისა მაროკოსა და ინდოეთის მდგომარეობამდე, მან შესძლო ევროპის სამეურნეო რაიონების დაქუცმაცება პატარა სახელმწიფოთა ჩამოყალიბების ვერსალის გზით, მან მიიღო ევროპიულ ხალხთა წინააღმდეგობის გაღრმავება, მათი ქიდილი და ურთიერთშორის ბრძოლა.

ამ მდგომარეობით შეიქნა თუ არა ნისლოვან კუნძულისათვის ხელსაყრელი პირობები? დარჩება თუ არა ის მსოფლიო ბაზრის ტონის მიმცემი? საბედნიეროთ—არა. ეს რომ ასე არ იყოს, რომ დიდ ბრიტანეთს შეეძლოს იმ მდგომარეობის შექმნა, რომელშიაც ის იყო გასულ საუკუნის მეორმოცდაათე-მესამოცე წლებში, მაშინ მაკდონალდის პაციფისტური თავი ვერ იფიქრებდა პრემიერის სავარძელზე, მაშინ მუშათა მოძრაობას მაგარ ლაგამს ამოსდებდა ბურჟუაზია ეკონომიური დათმობების გზით, მაშინ იქ ადგილი არ ექნებოდა უმუშევრობას.

ეს კი არ ხერხდება, არ ხერხდება კი იმიტომ, რომ ნისლოვანმა კუნძულმა დაჰკარგა თავისი პირველობა, მას დაშორდა ეკონომიური სიმძიმის ცენტრი. ის გაღარიბებული ბანკირივით მხოლოდ ძველ ფრაკს ატარებს, რომლის ჯიბეებში მეტად მცირეა აქციათა რაოდენობა. ინგლისი დაჩოქილია ამერიკის წინაშე. იგი ვერც საფრანგეთს უბედავს ხმა მაღლა ლაპარაკს, რომელიც მასთან ერთად მუხლებზე სდგას ამერიკელი ფინანსისტების წინაშე, არც კოლონიებზე ბატონობა შეიძლება ძველებურათ.

აქ იმარხება ინგლისში მუშათა მოძრაობის ახალი პერიოდის გასაღებიც. რამდენათაც დაცემის ხაზითაა დაქანებული ინგლისის ბატონობა მსოფლიო ბაზარზე, იმდენათ განვითარების ხაზით მიდის წინ ინგლისის მუშათა მოძრაობა. ეს განვითარების ხაზი არ არის სწორი. იგი ტეხილი ხაზია. ის ხან მაკდონალდის პარპაშს გამოხატავს, ხოლო ხან მის ხეტიალს ბატონობის ტახტის შესამაგრებლად. ერთი-კი აშკარაა—ინგლისის მუშათა მოძრაობა დაიძრა გაყინულ წერტილიდან. დღეს ის საარჩევნო კომპანიისათვის იბრძვის, ის მალე ვერ დააღწევს თავს რეფორმიზმს, მაგრამ, მრავალ შეცდომათა და დამარცხებათა შემდეგ, მაინც განიკურნება ამ საშინელი სენისაგან. ეს დრო იქნება ბურჟუაზიული ინგლისის დაცემისა და პროლეტარული დასაწყისის პერიოდი. მაშინ სულ სხვა იქნება ნისლოვანი კუნძულის როლი: ის იქნება მაინც მოწინავე, როგორც განვითარებული ტექნიკის მქონე და პროლეტარიატის [illegible].

ს. [illegible]

კაპიტალისტების გაერთიანებული ბლოკი ინგლისში

„კაპიტალისტების ბლოკის მიზანია მუშათა კლასის განადგურება"

მუშები ობსტრუქციას უწყობენ მიტინგებზე ლიბერალების და კონსერვატორების ორატორებს.

ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ლიბერალები კონსერვატორებს ზოგიერთ საკითხებში დაუჭერენ მხარს.—„ინგლისმა მაგალითი საბჭოთა მთავრობისაგან უნდა აიღოს".—კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებამ შეაშინა კონსერვატორები.

საარჩევნო კამპანია

ლონდონი 24 სექტ. ბევრ რაიონებში საარჩევნო კამპანია ნორმალურად მიმდინარეობს. ლოიდ-ჯორჯის უკანასკნელ სიტყვაში გამოაშკარავებული იქნა ის პოზიცია, რომელსაც დაიჭერს ლიბერალური პარტია იმ შემთხვევაში, თუ კონსერვატორებმა გაიმარჯვეს. ლოიდ-ჯორჯმა სთქვა: „თუ კონსერვატიული მთავრობა კარგ გზას დაადგება, ჩვენ მას ხელს არ შევუშლით. თუ ის დაიწყებს ისეთი საქმის კეთებას, რომელსაც ჩვენ ვგმობთ, მაშინ წინააღმდეგ მივსცემთ ხმას. ეს არის ერთად-ერთი გზა, რომელსაც დაადგება პარლამენტის ღირსეული წევრი, რომელიც თავის მოვალეობას აარულებს. ლონდონის ყველა საარჩევნო რაიონებში ამომრჩეველ მამაკაცების რიცხვი სჭარბობს ამომრჩეველ ქალების რიცხვს, გარდა სამხრეთ კენსინგტონისა.

რა არ მოსწონთ კაპიტალისტებს

ლონდონი. 23 ოქტომბ. **მთელი რიგი ოლქებიდან იტყობინებიან მუშების გამოსვლების შესახებ. ამ გამოსვლების მიზანი იყო ბურჟუაზიული პარტიების მიტინგების ჩაშლა.** ასეთ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ლამბეტის, გერლიბენის, მანჩესტერის ოლქებში, სამხრეთ უელსში, პეიშლში და ბრეტფორდში.

ბურჟუაზიული პრესა აღშფოთებულია ამ გამოსვლებით და აცხადებს, რომ ეს გამოსვლები გაცილებით უფრო მწვავე იყო, ვიდრე წინა საარჩევნო კამპანიის დროს მომხდარი გამოსვლები.

ლონდონი. 23 ოქტ. კონსერვატორების ერთერთმა ყველაზე უფრო პასუხისმგებელმა ლიდერმა რობერტ გორნმა გლაზგოში განაცხადა, რომ ყველა იმ მუშებს, რომლებიც გაფიცვას გამოაცხადებენ კონფლიქტების წინასწარი გამოძიების გარეშე, უნდა ჩამოერთვას საარჩევნო უფლებები 10 წლის ვადით.

კონსერვატორებს შეეშინდათ

ლონდონი. 23 ოქტ. **კონსერვატორების ზოგიერთ წრეებში გრძნობენ რომ მათ მიერ გამოწვეული კლასთა ბრძოლის გამწვავება შეიძლება მათთვის არახელსაყრელათ გათავდეს;** ამის გამო მათ განზრახვა აქვთ ზოგიერთ დათმობაზე წავიდენ. მაგალითად, ლორდ ბეკენბრუკის გაზეთი სწერს: „დროა უკვე დაუბრუნდეთ უფრო მნიშვნელოვან საკითხებს. ის ამომრჩევლები, რომელთაც არ აქვთ საცხოვრებელი ბინები, სრულებით დაინტერესებული არ არიან იმაში, რომ იურისტებმა იფიქრონ კემპბელის საქმეზე" გაზეთი მოუწოდებს კონსერვატორების ორატორებს აგიტაციის მასალათ გამოიყენონ სახლების მშენებლობის და სიძვირის საკითხები.

ეხლა მიხვდნენ

ლონდონი. 23 ოქტ. ენფილდში გამოსვლის დროს ლანსბერიმ განაცხადა, რომ თვითეულმა კაპიტალისტმა მშვენივრათ იცის, რომ თუ რუსეთში უკანასკნელი წლების განმავლობაში მომხდარ ამბების შემდეგ საბჭოთა მთავრობამ მაინც შესძლო ქვეყნის შინაური მდგომარეობის განმტკიცება, **ეს უკვე საკმარისია იმისათვის, რომ სხვა სახელმწიფოების მთავრობებმა საბჭოთა მთავრობა მაგალითად გაიხადონ.**

ლონდონის ბანკების კრედიტი

მოსკოვი. 24. ოქტომბ. „როსტას" წარმომადგენელთან საუბრის დროს სახელმწიფო ბანკის გამგეობის წევრმა კაცელენბამმა განაცხადა:

„ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ ლონდონის პირველხარისხოვანმა ბანკებმა სახელმწიფო ბანკს აცნობა, რომ მას მიეცემა მოკლევადიანი კრედიტი ეს წინადადება მიღებული იქნა. სახელმწიფო ბანკის მიერ მიღებულ კრედიტების ჯამი უდრის ათეულ მილიონ მანეთს. ეს თანხა მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მიმდინარე წლის ჩვენ ბალანსში.

კომუნისტების სასტიკი დევნა გერმანიაში

ნადირობა კომუნისტ-დეპუტატებზე.—სპეციალური დეკრეტი კომუნისტების წინააღმდეგ.—კომუნისტები არალეგალურ მუშაობაზე გადავიდენ.—პარტიებმა გამოაქვეყნეს საარჩევნო მანიფესტები. მოსალოდნელია განხეთქილება ნაციონალისტთა პარტიაში.—ტევტონურმა პარტიამ თავის კანდიდატად წამოაყენა გენერალი ლიუდენდორფი.—მთავრობა საგანგებო მანიფესტში აღნიშნავს, რომ საჭიროა რეიხსტაგის გაწმენდა უკიდურეს ელემენტებისაგან.

კომუნისტების დევნა

ბერლინი, 23 ოქტ. **გაცემულია ბრძანება რეიხსტაგის ყველა 62 კომუნისტ-დეპუტატების დაპატიმრების შესახებ.**

ბერლინი 23 ოქტ. ბერლინში გაჩხრიკეს გამოჩენილი კომუნისტები, მათ რიცხვში შტეკერი, შოლემი, ფირატი და კანნენი.

ბერლინი, 22 ოქტ. **საარჩევნო კამპანიის დაწყებასთან ერთად აუწყო კომპარტიის გაძლიერებული დევნა. მთელს სახელმწიფოში სწარმოებს კომუნისტ დეპუტატების ჩხრეკა. გელენის დაპატიმრების შემდეგ, დააპატიმრეს დეპუტატები: ეპშტეინი—ბრემენში და მასლოვსკი—შტუტგარდტში. ბურჟუაზიული პრესა მართავს პროკურატურას და პოლიციას და მოუწოდებს მათ დააპატიმრონ ყველა კომუნისტი დეპუტატები.**

პროკურატურამ გამოსცა ბრძანება კომპარტიის ცეკას ყველა წევრების და მთელ რიგ გამოჩენილ დეპუტატების დაპატიმრების შესახებ; მათ ბრალათ ედებათ სახელმწიფო ღალატი და პრესის შესახებ გამოცემულ კანონების დარღვევა.

კომუნისტური პრესა აღნიშნავს, რომ პოლიციის მიერ მიღებულ ღონისძიებათა მიზანია ხელის შეშლა კომპარტიის ბელადების აგიტაციისათვის საარჩევნო კომპანიის განმავლობაში.

მაისში მომხდარ არჩევნების დროს არჩეული სამი კომუნისტი [illegible]—პფეიფერი, ლინდაუ და [illegible], რომლებიც დაპატიმრებული იყვენ რეიხსტაგის მოწვევის წინ, ჯერამდი ციხეში სხედან.

პარტიათა ურთიერთობა

ბერლინი, 24 ოქტომბ. **ბურჟუაზიულ პარტიებს შორის შემჩნეულია ძლიერი განხეთქილების ტენდენცია. მწვავე შინაური უთანხმოებაა აგრეთვე დემოკრატიული პარტიის შიგნითაც. ნაციონალისტების პარტიაში გაამწვავებული ბრძოლაა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, თვითეული ჯგუფი ხცდილობს პარტიული ხელმძღვანელობას თავის ხელში ჩაიგდოს.** ნაციონალისტების მემარჯვენე ფრთა იმუქრება ახალი პარტიის შექმნით იმ შემთხვევაში, თუ მის ხელში არ გადავიდა პარტიული ხელმძღვანელობა.

გერმანიის ნაციონალისტების ცენტრალურ კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე გერგტმა უარი განაცხადა პარტიის თავმჯდომარის თანამდებობაზე. დროებით თავმჯდომარეთ არჩეულია პრუსიის ლანდტაგის ნაციონალისტური ფრაქციის ლიდერი ვინნერი.

ბერლინი. 23 ოქტ. გარდა პრუსიის ლანდტაგის არჩევნებისა, 7 დეკემბერს მოხდება ჰესენის ლანდტაგის არჩევნები. მოსალოდნელია აგრეთვე საქსონიის ლანდტაგის არჩევნები და საზოგადოებრივი არჩევნები ბავარიაში.

სასამართლო თუ კომედია?

ბერლინი. 23 ოქტ. **3 წლის გაჭიანურების შემდეგ უმაღლეს ტრიბუნალში დაიწყო ფაშისტების საიდუმლო ორგანიზაციის „კონსულ"-ის საქმის განხილვა.**

ბრალდებულთ სკამზე ზის ორგანიზაციის 26 ხელმძღვანელი წევრი. უმრავლესობა აფიცრები და სტუდენტებია. ბრალდებულთა შორის იმყოფება კაპიტანი ჰოფმანი და კილინბერგი.

ორგანიზაციის მთავარ ხელმძღვანელის კაპიტან ერხარდტის წინააღმდეგ, რომელიც ცნობილია კაპპის აჯანყების შემდეგ, არ არის წამოყენებული არავითარი ბრალდება.

დამცველთა შუამდგომლობით, საზოგადოება და პრესის წარმომადგენლები არ დაუშვეს სასამართლოს სხდომაზე.

რეაქციონერების ხროვა

ბერლინი. 23 ოქტ. **ტევტონური პარტიის საიმპერიო სიაში პირველად შეტანილია ლიუდენდორფი.**

„სამშობლოს კავშირის" საარჩევნო მოწოდებაში ნათქვამია, რომ ეროვნული მოძრაობის მიზანია გერმანიის სახელმწიფოს აღდგენა ძველი შავ-წითელ-თეთრი დროშის ქვეშ.

გულახდილათ აღიარებენ

ბერლინი. 22 ოქტ. **საიმპერიო მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ საარჩევნო მოწოდებაში ნათქვამია, რომ დათხოვნილ რეიხსტაგში არ იყო აბსოლიუტური ბურჟუაზიული უმრავლესობა, უმთავრესათ იმიტომ, რომ წინანდელმა არჩევნებმა გააძლიერეს რადიკალური ელემენტები.** ეს ელემენტები აუცილებლათ განდევნილი უნდა იქნენ რეიხსტაგიდან. შემდეგ მოწოდებაში აღნიშნულია, რომ მას შემდეგ, რაც დოუესის გეგმა მიღებული იქნა რეიხსტაგის მიერ, მის განხორციელება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ეხლანდელი მთავრობის პოლიტიკის გაგრძელებით.

ქვეყნის სამეურნეო აღორძინების წინასწარი პირობაა შინაური პოლიტიკის მშვიდობიანი განვითარება.

სახალხო პარტიის საარჩევნო მოწოდება ხაზს უსვამს: „დიდი კოალიციის დამარცხების შემდეგ ძირითადი პრობლემაა—იმ ბურჟუაზიული პარტიების უმრავლესობის მთავრობის შექმნა, რომლებიც სდგანან კონსტიტუციის, რეალური ნაციონალური პოლიტიკის გაგრძელების, სახელმწიფოს გამაგრების და მისი ეკონომიური აღორძინების ნიადაგზე. დემოკრატებმა თვითონ გახადეს შეუძლებელი მათთან თანამშრომლობა".

დემოკრატების საარჩევნო მოწოდებაში ნათქვამია, რომ რეიხსტაგის დათხოვნა არავითარი აუცილებლობით არ იყო გამოწვეული. ხმა მისცეს რა დოუესის გეგმას, ნაციონალისტებმა მოატყუეს თავისი მომხრეები. ცენტრიც აგრეთვე პასუხისმგებელია ეხლანდელი კრიზისისათვის. დემოკრატებიც აგრეთვე იბრძოდენ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, მაგრამ უკანასკნელთა დაძლევა შესაძლებელია არა ხელისუფლების ჩამოგდებით, არამედ იმით, რომ მათაც დაეკისროს პასუხისმგებლობა სახელმწიფოს მმართველობისათვის.

ნაციონალისტების მოწოდება

ბერლინი. 23 ოქტომბ. ნაციონალისტების მოწოდებაში ნათქვამია, **რომ ახალ მთავრობაში სოციალ-დემოკრატები არ უნდა იქნენ დაშვებული. ეროვნული აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ სოციალ დემოკრატების წინააღმდეგ ბრძოლაში.** მთავარი ამოცანა—ეს არის ბრძოლა ნოემბრის იდეების წინააღმდეგ, ბრძოლა პაციფისტური პოლიტიკის, ვერსალის ხელშეკრულების შესრულების წინააღმდეგ.

ბერლინი, 23 ოქტომბ. პრუსიის ლანდტაგის კომუნისტმა დეპუტატმა როზა ვოლფშტეინმა მოითხოვა ლიგერტის გადაყენება ჰანოვერის ბურგომისტრის თანამდებობიდან და საჩივრის აღძვრა მის წინააღმდეგ დისციპლინარული წესით, რადგანაც მან მოითხოვა ნებაყოფლობითი გადადგომისათვის კომპენსაციათ ყოველწლიური პენსია 22,000 ოქროს მარკის რაოდენობით. **ამ წინადადებამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია სოციალ-დემოკრატებს შორის.**

ჩვენ და საფრანგეთი

პარიზი. 23 ოქტომ. დიდ აღშფოთებას იწვევს მემარჯვენე პრესაში პარლამენტის საფინანსო კომისიის მიერ კრედიტების მოსპობა საელჩოს შესანახად ვატიკანში დ ერრიოს განცხადება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. მემარჯვენე პრესას დაუშვებლად მიაჩნია, რომ საფრანგეთმა გვერდი აუხვიოს პაპის—„უდიდეს მორალურ ძალა" „რომლის ექვივალენტს საფრანგეთი ვერ ჰპოებს საბჭოთა კავშირთან დაახლოებაში". მემარცხენე გაზეთები კმაყოფილებას გამოსთქვამენ, რომ მთავრობის დეკლარაციის პრინციპები ბოლოს და ბოლოს ტარდება ცხოვრებაში. მემარცხენე გაზეთები ულოცავენ ერრიოს მეშმარიტად რესპუბლიკანური პოლიტიკის, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის განხორციელებას და **სავსებით იწონებენ ერრიოს გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.**

მდგომარეობა ბესარაბიაში

ოდესა 24 ოქტ. **სამხრეთ ბესარაბიაში მომხდარ აჯანყების შემდეგ, რუმინეთის მთავრობა შეუდგა ბესარაბიაში მყოფი „ოხრანკის", სამხედრო ნაწილების, ჟანდარმების და მოხელეების წმენდას.** რუმინეთის მთავრობის თვალსაზრისით არა საიმედო ელემენტებს სცვლიან ისეთებით, რომლებმაც თავი ისახელეს სისასტიკით აჯანყების ჩაქრობის დროს. 10 რუსულ გაზეთიდან, რომლებიც ბესარაბიაში გამოდიან, დახურეს 9.

რათა მიჩქმალონ ბესარაბიაში მომხდარი აჯანყების მნიშვნელობა, რუმინეთის გაზეთებმა გააჩაღეს ცილისწამების კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. რუმინეთის გაზეთები ირწმუნებიან, რომ საბჭოთა კავშირი ამ ჟამად განიცდის 1921 წლის მდგომარეობას: ხალხი იხოცება, როგორც ბუზებიო,—სწერენ რეაქციონური გაზეთები.

პარტიზანული მოძრაობა პოლონეთში

ხარკოვი, 22 ოქტომბ. პოლონეთიდან ჩამოსული უკრაინელი ლტოლვილები იუწყებიან, რომ **მეამბოხეთა მოძრაობამ სამხრეთ-პოლონეთში** [illegible] ცილებზე პოლონელ მემამულეებს არ შეუძლიათ გავლა. **აჯანყებულთა რაზმები უმეტესად შესდგება გლეხებისაგან, რომლებიც მოეკვლენ პოლონეთის პოლიციის კლანჭებს;** რაზმებში შედიან პოლონეთის არმიის [illegible]

სოციალ-გამყიდველების წინააღმდეგ

პარიზი. 22 ოქტ. საფრანგეთის კომპარტიამ მიმართა ინგლისის პროლეტარიატს მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნავს, **რომ ინგლისის მუშებს სწორი წარმოდგენა არა აქვთ მაკდონალდის მართვა-გამგეობის შედეგების შესახებ; მაკდონალდი განაგრძობდა ბურჟუაზიის პოლიტიკას, ის შეუერთდა ყველა ქვეყნის იმპერიალისტებს და მიიღო დოუესის გეგმა. თვით მუშათა პარტიისათვის საბედნიეროდ იზრდება რევოლიუციონური ოპოზიცია. მეორე ინტერნაციონალი ემსახურება იმპერიალიზმს, სარგებლობს** რა მუშათა კლასის შეუგნებლობით. მუშათა კლასმა უნდა გაილაშქროს დოუესის გეგმის წინააღმდეგ და მოითხოვოს, რომ მუშათა პარტიამ საბოლოოდ გასწყვიტოს კავშირი ბურჟუაზიულ პარტიებთან და მხარი დაუჭიროს კომპარტიას. **საფრანგეთის კომუნისტური პარტია წინადადებას აძლევს მუშათა პარტიის ბელადებს მოახდინონ გაბედულად არჩევანი პროლეტარიატსა და კაპიტალიზმს შორის.**

წითელ ტრიბუნაზე

რუსეთი

ექიმების განცხადება

მოსკოვი. 24 ოქტომბ. საბჭოთა კავშირის ცაკის საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 22 ოქტომბრის გაერთიანებული სხდომის დახურვის წინ, დარბაზში გამოჩნდა ექიმთა სრულიად საკავშირო მესამე ყრილობის დელეგაცია, რომელშიაც შედიან ნატანსონი, პუსტოვოიტოვი და მატიუშენკო.

ნატანსონი ამბობს:

„ექიმთა სრულიად საკავშირო მესამე ყრილობის სახელით მე ბედნიერი ვარ მივესალმო საბჭოთა კავშირის ცაკს. ის მომენტი, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ისტორიულ მომენტათ უნდა ჩაითვალოს ექიმთა [illegible] პირველად მთელს ჩვენს ისტორიაში ჩვენ ბედნიერება გვქონდა გვენახა ჩვენს ყრილობაზე რუსეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი, იმ პარტიის წარმომადგენელი, რომელმაც ანგარიში გაუწია ინტელიგენციაში, კერძოთ კი ექიმთა შორის მომხდარ გარდატეხას. ყველაფერი ის, რასაც ჩვენ განვიცდით უკანასკნელი დროის განმავლობაში, ყველაფერი ის, რასაც ჩვენ განვიცდით ყრილობაზე, სადაც კომუნისტური პარტია მეტად დიდ ნაწილს წარმოადგენს ექიმთა ყრილობაზე, ყველაფერი ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ახლოა ის საათი, როდესაც **პროლეტარიატი და რევოლიუციონური გლეხობა** იძულებული [illegible] იმაზე იფიქროს, ეს ინტელიგენცია მას მიუყვება თუ არა". პუსტოვოიტოვი უკრაინულ ენაზე ამბობს:

„ჩვენ ვაცხადებთ თქვენს წინაშე, რომ მთელს ჩვენს სიცოცხლეს არა მარტო აზრებით, არამედ მოქმედებითაც შევწირავთ პროლეტარიატს".

მატიუშენკომ სესიას გადასცა ყრილობის ადრესი.

კომუნალური აღმშენებლობა.

მოსკოვი. 23 ოქტ. რ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა კომისარიატმა კომუნალურ მეურნეობის აღდგენის სექტემბრის და ოქტომბრის ფონდიდან გადასდო ლენინგრადის სასარგებლოდ—100000 მან. აღსადგენ მუშაობაზე—50000 მ. ძირითად თანხათ იაროსლავლის კომ. ბანკს—30000 მ. გროზნოს—50000 მ. ნოვონიკოლაევსკს—30000მ. ივანოვო-ვოზნესენსკს—50000 მ. და ჩელიაბინსკს—15000 მან.

უკრაინა

ურთიერთ დახმარების კომიტეტებს.

ხარკოვი. 24 ოქტ. სრულიად უკრაინის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა გადაეცეს გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტებს 50.000 დესეტინა, მიწა კოლექტიურად და[illegible]

არამშრომელი ელემენტების გამოსახლება.

ხარკოვი. 24 ოქტ. სრულიად უკრაინის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დადგენილება, რომლითაც [illegible]ნის ოლქის მუშათა რაიონებიდან მოსახლებული უნდა იქნენ არამშრომელი ელემენტები მოსახლეობისათვის ბინების მიწოდების გასაადვილებლად.

უცხოეთის გემების შეკეთება.

ოდესა. 27 ოქტ. უცხოეთის გემი „ოკფილდ", რომელმაც მოიტანა ოდესაში შაქარი, მიღებულია შესაკეთებლად მარტის სახელობის გემთშემკეთებელ ქარხანაში. ეს პირველი შემთხვევა არის, რომ ოდესის გემთშემკეთებელ ქარხანაში სწარმოებს უცხოეთის გემის შეკეთება. ქარხანამ დიდი მადლობა მიიღო კარგად შეკეთებისათვის უცხოეთის გემთა კომპანიებისაგან.

სოფლის იაჩეიკების მდივანთა თათბირი

სტალინის სიტყვა

მოსკოვი. 24 ოქტ. რუსეთის კომპარტიის ცეკაში 22 ოქტომბერს შესდგა სოფლის იაჩეიკების მდივანთა თათბირი, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სტალინმა. მან სთქვა: „ჩვენი პარტიის უმთავრეს ნაკლს წარმოადგენს სოფლად ჩვენი პარტიული მუშაობის სისუსტე და მოუგვარებლობა. ვიკითხოთ, რამ წარმოშვა ეს სისუსტე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა გადაიჭრეს მეორე საკითხი: საიდან გამომდინარეობს ჩვენი პარტიის ძალა ქალაქებში?

ჩვენი პარტიის მთავარი ძალა მდგომარეობს იმაში, რომ ქალაქებში პარტიის გარშემო თავს იყრის მუშების უპარტიო აქტივის ფართო წრე, რამოდენიმე ასი ათასი კაცის რაოდენობით, რომელიც წარმოადგენს ხიდს პარტიისა და მუშათა კლასის მილიონიან მასებს შორის. პარტია თავის ძალებს კრებს ამ აქტივიდან, რომელიც ნდობით ეპყრობა ჩვენს პარტიას და აკავშირებს მას დანარჩენ უპარტიო მასასთან.

სოფლად პარტიას არა ჰყავს გლეხების უპარტიო აქტივის ფართო წრე, რომელსაც შეეძლოს პარტიის დაკავშირება რამდენიმე ათეულ მილიონიან მშრომელ გლეხობასთან. სოფლებში არის პარტიის თანამგრძნობ უპარტიო გლეხთა წვრილი ძაფი, მას მოჰყვება უპარტიო გლეხთა ათეული მილიონები, რომელთა დაკავშირება პარტიასთან არ ძალუძს ამ უპარტიო გლეხთა აქტივის წვრილ ძაფს. ამით აიხსნება, რომ ზოგჯერ ეს ძაფი ვერ უძლებს, წყდება და შემაერთებელ ხიდის მაგიერ ჩნდება გაუვალი კედელი პარტიასა და სოფლის უპარტიო მასებს შორის.

ამიტომ ჩვენი პარტიის უმთავრეს ამოცანას სოფლად წარმოადგენს შემდეგი: უნდა შევქმნათ უპარტიო გლეხთა მრავალრიცხოვანი აქტივი რამოდენიმე ასი ათასი კაცის რაოდენობით, რომლებსაც შეეძლებათ პარტიის დაკავშირება მშრომელ გლეხობის ათეულ მილიონებთან.

ჩვენი პარტიის გარშემო გლეხთა უპარტიო აქტივის ფართო წრის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ მასიური მუშაობით სოფლის პრაქტიკულ მოთხოვნილებათა გარშემო, საბჭოთა აღმშენებლობის გაფართოებით, გლეხობა ჩაბმული უნდა იქნეს თემის, რაიონის, მაზრის და გუბერნიის მმართვა-გამგეობის საქმეში.

საბჭოების გამოცოცხლება, მათი ფეხზე წამოყენება, გლეხობის საუკეთესო ნაწილის ჩაბმა საბჭოებში,—აი გზა, რომლითაც შესაძლებელი იქნება უპარტიო გლეხთა აქტივის შექმნა, მხოლოდ ასეთი აქტივისაგან პარტია შეკრებს სოფლად ათეულ ათას წევრს პარტიისათვის.

მაგრამ საბჭოების გამოსაცოცხლებლად საჭიროა ძირიანად შეიცვალოს თვით მიდგომა გლეხობისადმი. საჭიროა, რომ კომუნისტმა შეიკავოს მიდგომა უპარტიოსადმი, როგორც თანასწორისადმი, ის კი არ უნდა უბრძანებდეს, არამედ გულდასმით უნდა ისმენდეს უპარტიოთა ხმას და სწავლობდეს მათ შორის.

საკითხი პარტიულების და უპარტიოების ურთიერთობის შესახებ ლენინმა განსაზღვრა სიტყვით—„ურთიერთ ნდობა".

მაგრამ ნდობა უპარტიო გლეხობის მხრივ შეუძლებელია იქ, სადაც ვერ შეუსწავლიათ მიდგომა მისდამი, როგორც თანასწორისადმი. ასეთ შემთხვევაში ნდობის მაგიერ იქმნება უნდობლობა პარტიისა და უპარტიოებს შორის, იქმნება გაუვალი კედელი და პარტია წყდება მასებს.

ამის ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს ამას წინად მომხდარი გამოსვლა საქართველოში. გაზეთებში სწერენ, რომ საქართველოში იყო ბუტაფორიული გამოსვლები. ეს მართალია, ვინაიდან საერთოდ გამოსვლა საქართველოში იყო ხელოვნური და არა სახალხო. მაგრამ ზოგიერთ ადგილებში მენშევიკებმა მოახერხეს გლეხთა მასების ერთი ნაწილის ჩაბმა ამ გამოსვლაში, რადგანაც კომპარტიას არ ჰქონდა გამართული სათანადო კავშირი მასებთან. დამახასიათებელია ის გარემოება, რომ უპარტიო გლეხობის სულიერ განწყობილებისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა ის ადგილები, სადაც მრავლად მოიპოვებიან კომუნისტები.

როგორ მოხდა ეს? კომუნისტებმა ვერ შესძლეს მიდგომა გლეხობისადმი ლენინისებურად. ნდობის ატმოსფერის მაგიერ შექმნეს ურთიერთ უნდობლობის ატმოსფერა, მოსწყვიტეს პარტია უპარტიო გლეხებს. საქართველოში მომხდარი ამბები გაკვეთილად უნდა ჩაითვალოს.

რაც მოხდა საქართველოში, შესაძლებელია განმეორდეს მთელს რუსეთშიაც, თუ ჩვენ ძირიან-ფესვიანად არ შევსცვლით თვით მიდგომას გლეხობისადმი და არ შევქმნით სრულ ნდობის ატმოსფერას პარტიისა და უპარტიოებს შორის, თუ არ გავაცოცხლებთ საბჭოებს, რათა გასაქანი მივცეთ გლეხობის მშრომელ მასების პოლიტიკურ აქტივობას.

იმის დასახასიათებლათ, თუ რამდენად არა გულდასმით უდგებიან ზოგჯერ გლეხობას, მივუთითებ ანტირელიგიური პროპაგანდის ჩატარებაზე. ზოგიერთ ამხანაგებს ჰგონიათ, რომ საკმაოა ლექციის წაკითხვა ბუნებისმეტყველებაზე, რომ დავარწმუნოთ გლეხი ღმერთის არარსებობაში. მათ არ ესმით, რომ გლეხი ძალიან ხშირად ღმერთს უცქერის მეურნეობის თვალსაზრისით. გლეხი ზოგჯერ წინააღმდეგი არ არის ზურგი შეაქციოს ღმერთს, მაგრამ მას იპყრობს ეჭვები:—ვაი თუ ღმერთი არსებობს, უკეთესი ხომ არ არის არც ღმერთს ვაწყენინო და არც კომუნისტს, რომ უფრო საიმედო იყოს მეურნეობა. ვინც არ ითვალისწინებს ამ თავისებურობას გლეხის პსიქოლოგიაში, მას არაფერი ესმის უპარტიოების და პარტიულების ურთიერთობის საკითხში, მას არ გაუგია, რომ ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხში საჭიროა ფრთხილი მოპყრობა გლეხის ცრუმორწმუნეობისადმიც.

ჩვენ მივდივართ შემდეგი დასკვნამდე: 1) სოფლად პარტიული მუშაობის მთავარ ნაკლს წარმოადგენს გლეხობის ფართო უპარტიო აქტივის უქონლობა, 2) პარტიის მორიგ ამოცანას წარმოადგენს სოფლად ისეთი აქტივის შექმნა, რომლისგანაც პარტია შეიძენს ახალ ძალებს, 3) ასეთი აქტივის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოების გამოცოცხლებით და ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში გლეხობის ჩაბმით, 4) საბჭოების გამოსაცოცხლებლად აუცილებელია ძირიან-ფესვიანად შეიცვალოს მიდგომა უპარტიო გლეხობისადმი, უარის თქმა ბრძანებაზე, ურთიერთ ნდობის ატმოსფერის შექმნა პარტიულებსა და უპარტიოებს შორის.

არსებობს თუ არა სათანადო პირობები ამ ამოცანების ცხოვრებაში გასატარებლად?

უსათუოდ არსებობს. ეს არის, პირველად, სოფლის ღარიბი ნაწილის გაძლიერებული პოლიტიკური აქტივობა; მეორეთ, შექმნა ადგილობრივი ბიუჯეტის, როგორც მატერიალური საფუძვლის საბჭოების გამოსაცოცხლებლად; მესამედ, დაუყონებლივ დახმარება, რომელიც გაუწია საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენი ქვეყნის დამშეულ რაიონებს. ამ დახმარებამ შექმნა გლეხებს შორის საბჭოთა ხელისუფლებისადმი ნდობის ატმოსფერა, ის გაადვილებს საბჭოების გამოცოცხლების საქმეს. კითხვა ეხლა იმაშია, რომ უფრო ერთსულოვნად შევუდგეთ ჩვენს წინაშე დასმულ ამოცანების გადაწყვეტას.

ექიმთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი. 24 ოქტ. ყრილობის მიერ გამართულ მანიფესტაციაზე რუსეთის კომპარტიის ცეკას შენობის წინ დელეგატმა სკლიარსკიმ თავის სიტყვაში განაცხადა: „შვიდი წლის რევოლიუციურმა აღმშენებლობამ დაამტკიცა, რომ ინტელიგენცია სცდებოდა. [illegible] ერთი გზაა—ეს არის გზა კომუნისტური აღმშენებლობისა. როგორც პროლეტარიატის, აგრეთვე ინტელიგენციის მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ განამტკიცოს კავშირი მუშათა და გლეხთა შორის".

კომპარტიის ცეკას სახელით [illegible]

აზღვევა სეტყვისაგან

I

ამ სასოფლო-მეურნეობის ტექ- გაუმჯობესებაზე დავიწყებდეთ რაკს. ჩვენ უნდა მოვიშოროთ თა- ნ მთელი რიგი სტიქიური მოვ- ბისა, რომელნიც მოჰყვნენ სოფლის ნეობის დაქვეითებას და გლე- ს ერთგვარი ინდიფერენტიზმი ამი.

ოფლების ეს ინდიფერენტიზმი ში გამოიხატება, რომ მაგალითად ბეიჯანელი მებაღენი გულგრი- შესცქერიან ბრძოლას ჩრჩილ- ან.

სენს მოაქვს მებაღისათვის უთ- ვი ზარალი. იქაურ მიწად-მოქ- ს კომისარიატის მცენარეთა ლ განყოფილების საჩვენებელ ას მებაღეები არ ბაძავენ. იგი- სარიატი ებრძვის მინდვრის ხალხი კი გულგრილად ექ- საქმეს. სტავროპოლის გუ- გლეხები კარგს ხელფასს ნ მთავრობისაგან, რომელიც ის კალიას, და ამბობენ: „ზო- ის კალია კალიაა, ჩვენთვის კი ალიას ლუკმა პური მოაქვსო“.

უსავლობის გავლენით ზოგნი ევას იძლევიან: მოუსავლობისაგან დაზღვევა შემოვიღოთ, იგი ერთ-ერთი მა იქნება სურსათის საკითხის გა- საჭრელადო. მაგრამ, სამწუხაროდ მოუსავლობისაგან დაზღვევა უწინარეს ოვლისა წააწყდება ჩვენი მეურნეო- ის ექსტენსივობას, ჩამორჩენილობას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ენი გლეხი ცუდათ ამუშავებს ნია- გს, ან სუსტად ასუქებს, ან სულაც რ ასუქებს მას; გვალვიან ალაგებს რ რწყავს, სარგებლობს გაურჩეველ ესლით და ამით დიდად ავრცელებს ჯურეულთა გუდაფშუტას და სოკო- ულ მავნებლებს. მიუხედავად ამისა, ხელ. დაზღვევის სამმართველო ამუშავებს მოუსავლიანობისაგან დაზღვევის საკითხს.

მაინც არ შეიძლება, ბოროტმოქმედებათ ჩაითვალება გულხელდაკრეფით ჯდომა და ფიქრი, თითქო ჩვენი სასოფლო-მეურნეობა ბუნებრივათ გაუმჯობესდება და ჩვენი ეკონომიური ცხოვრება წარმატებით წინ წავა მომავალში.

აი ამიტომ გვევალება მოვიშოროთ თავიდან სტიქიური მოვლენანი, რომელნიც სასოფლო-მეურნეობის ისედაც კუდ-მოკვეცილ ხარჯთ-აღრიცხვას ყოველ წლიურად სტაცებენ რამდენიმე ათეულ მილიონ მანეთს.

სტიქიურ უბედურებაში პირველი ადგილი უეჭველად სეტყვას უჭირავს. სთან ბრძოლა ტექნიკურ საშუალებით, როგორც ქვემოდ დავინახავთ, ერ აღწევს მიზანს. არსებული მდგომარეობიდან ერთად ერთი გამოსავალი არის დაზღვევა.

სეტყვას აქამდის ებრძვიან შუშხუნებით, მორტირებიდან სროლით და სეტყვის ასაცდენ სხვადასხვა სისტემით. მორტირებიდან სროლა და შუშხუნების აშვება არღვევენ ჰაერის ცილებს (ფენებს), ჰფანტავენ სეტყვის ღრუბლებს, ხოლო სეტყვის ასაცდენი მოწყობილობანი, რომელნიც ღრუბელში ჰგზავნიან ელექტრო მაგნიტურ ტალღებს, ასუსტებენ ატმოსფერულ ელექტრონის ჰიმვას, რომელიც (ელექტრონი) აქტიურ მონაწილეობას იღებს სეტყვის შედგენაში (სეტყვას ყოველთვის მოსდევს ქარიშხალი, გრიგალი).

პრაქტიკაში სეტყვის წინააღმდეგ წარმოებულ ფიზიკურ ბრძოლას მეტად საეჭვო შედეგი მოსდევდა. ამის გამო ფიზიკოსთა მსოფლიო კონგრესმა, რომელიც შეიკრიბა ავსტრიაში აღიარა, რომ მთავრობამ არ უნდა წააქეზოს სროლა და შუშხუნების აშვება, მით უფრო, რომ ასეთი ბრძოლის ხარჯები ხალხს მძიმე ტვირთად აწვება, და გარდა ამისა, რადგან ხალხმა არ იცის მორტირების მოხმარება, სროლას ხშირად მოსდევს მსხვერპლი.

ამჟამად ამერიკაში სეტყვას ებრძვის ავიაცია, რომელიც ღრუბლებში ჰფანტავს ელექტრონით გაჟღენთილ მტვერს (ლამს) და სცდილობს ამ ხერხით შეასუსტოს ღრუბლებში სეტყვის შედგენა, მაგრამ ამ ხერხს აქამდის მხოლოდ ცდის მნიშვნელობა აქვს.

ამ საგანზე ჩვენ კიდევ შეგვეძლო ბევრი რამ გვეთქვა, მაგრამ ვინაიდან ამჟამად არც ერთ ქვეყანაში სეტყვასთან ფიზიკურმა ბრძოლამ არ მოგვცა რეალური შედეგი, ამიტომ დაზღვევა ჯერჯერობით რჩება სეტყვასთან ბრძოლის ერთად-ერთ საშუალებად.

II

დაზღვევა რამდენიმე საუკუნეა რაც არსებობს. იგი ვითარდება კაპიტალის, მრეწველობისა და კულტურის განვითარების თანაბრად. ამ რიგად, დაზღვევა ჩნდება იქ, სადაც ეს ფაქტორები საკმაოდ ჩამოყალიბდნენ. რადგან მათი ჩამოყალიბების პროცესი თითო ქვეყანაში ჩვეულებრივად თანასწორად არ ვითარდებოდა, ამიტომ დაზღვევის ორგანიზაციებიც აღმოცენდნენ შედარებით მცირე ფარგლებში, რომელნიც ყოველ ქვეყანაში გაბნეულ არიან წერტილებივით; შემდეგ ეს წერტილები ერთმანეთს უერთდებოდნენ და ედებოდნენ მთელს სახელმწიფოს. ასე მოხდა გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, ავსტრო-უნგრეთში, სკანდინავიასა და ჩრდილო-ამერიკის შტატებში, ე. ი. იქ, სადაც სასოფლო მეურნეობის კულტურამ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია.

მცენარეთა დაზღვევა სეტყვისაგან გერმანიაში არსებობს თითქმის 150 წელიწადი. მაგრამ ღარიბი გლეხები ვერ სარგებლობენ ამით დაზღვევის ტარიფების სიძვირის გამო. ეკონომიურად სუსტ ქვეყნებში საკითხი ქონების დაცვის შესახებ დაზღვევის საშუალებით სხვანაირად სდგას. ამაზე ვიტყვით რამდენიმე სიტყვას.

ეკონომიურად ძლიერი კლასი თავის ნებით ან თვისი კრედიტების ნებით ფართედ სარგებლობს ნებაყოფლობითი დაზღვევით, ხოლო სოფლის მეურნეთა კლასი—და უფრო კი მისი ღარიბი ნაწილი—ძალიან ხშირად ხანძრის შემდეგ უბინოდ რჩება, სეტყვის შემდეგ—უპუროდ და ჭირის შემდეგ—უსაქონლოდ. იგი ძალაუნებურად იძულებულია დახმარება სთხოვოს თავის მთავრობას. ასე იყო წინანდელ რუსეთშიც, სადაც მეფის მთავრობა ძლიერ ნაკლებ ზრუნავდა გლეხობაზე და მხოლოდ ერობა უწევდა დახმარებას დაზარალებულ გლეხობას. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ერობის შემოღების დღიდან ერობამ პირველ რიგში დააყენა სახელმწიფო დაზღვევა და გაატარა ცხოვრებაში სავალდებულო დაზღვევა სოფლის შენობებისა ცეცხლისაგან, მაგრამ ამის შემდგომ საგუბერნიო და სამაზრო ერობების ერთმა ნაწილმა აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა შემოღებულ ყოფილიყო სახელმწიფო იძულებითი დაზღვევა ნათესებისა სეტყვისაგან. ჩვენ აქ არ შევეხებით ამ საკითხის ისტორიას. ვიტყვით მხოლოდ, რომ უკანასკნელად ასეთი შუამდგომლობა აღძრეს 1912 წელს კიევის და 23 სხვა საგუბერნიო ერობებმა, რომელთაც გადაჭრით მოსთხოვეს მეფის მთავრობას ასეთი დაზღვევის შემოღება.

მეფის მთავრობამ პოლიტიკური მოსაზრებით უარჰყო ერობათა შუამდგომლობა სულ სხვანაირად მოეპყრო ამ საქმეს საბჭოთა მთავრობა, რომელმაც ჯერ კიდევ 1918 წელს მიწის სოციალიზაციის კანონში (მუხლი 16) აღნიშნა, რომ ყველა შრომის მეურნეობის ქონება უნდა დაზღვეულ იქნეს, სახელდობრ: შენობანი—ცეცხლისაგან (ხანძრისაგან), ნათესები—სეტყვისაგან და სამეურნეო მსხვილფეხა საქონელი—ჭირისაგან.

შემდეგ გამოცემულ კანონებშიც ამ იდეას ამა თუ იმ სახით საბჭოთა მთავრობა მხარს უჭერს, ცხოვრებაში ატარებს. იგი საბოლოოდ დაკანონდა 1921 წლის 6 ოქტომბრის დეკრეტით.

სეტყვისაგან მცენარეულობის სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის ოპერაციები შემოღებული იქნა 62 გუბერნიასა და ოლქში. ამ დაზღვევამ საოცარი შედეგი მოგვცა. ამ შედეგიდან სჩანს, რომ სამი წლის განმავლობაში ჩვენი სოფლის მეურნეობა წლიურად ჰკარგავს ნათესების 2 პროც. მხოლოდ სეტყვისაგან. სახელ. დაზღვევის სალარომ დაზღვევის ამ დარგის გამო მიმდინარე წელს გადაიხადა 5 მილიონ მანეთზე მეტი ოქროთი, ხოლო ხალხისაგან მიიღო ხარჯზე ცოტა მეტი.

ამავე საქმეში ჩვენ დავრწმუნდით, რომ ნებაყოფლობითი დაზღვევა მეტად სუსტად მიდის იმ ადგილებშიაც კი, სადაც ხშირად იცის სეტყვა. ეს მოვლენა საუკეთესო საბუთია იმისი, რომ მხოლოდ სავალდებულო დაზღვევას შეუძლია შეაჩვიოს ხალხი დაზღვევის საქმეს, დაანახვოს მისი დადებითი მხარეები, რომელნიც ნათლად დაამტკიცებენ მის მიზანშეწონილობას და სასოფლო-მეურნეობის შესაფერ დონეზე დაყენების საჭიროებას.

ამრიგათ ნებაყოფლობითი დაზღვევა ვითარდება ეკონომიურად ძლიერ ქვეყნებში. ჩამორჩენილ ქვეყნებში იგი მარცხს განიცდის. ნებაყოფლობითი დაზღვევის მომხრეებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის ფაქტი, რომ იძულებითი დაზღვევის იდეას უცხოეთში თანდათან მეტი მომხრე უჩნდება, მაგალითად: ჩვენს წინაშე სდევს სასტიკი კანონი სავალდებულო დაზღვევის შესახებ. მიღებული სამხრეთ-სლავიის პარლამენტის („სკუპშჩინა“) მიერ გასული წლის 31 ივლისს, და აგრეთვე გადამუშავებული კანონ-პროექტი ბავარიის „სახელმწიფო დაზღვევისა, რომელიც არსებობს 1884 წლიდან. გავიხსენებთ აგრეთვე ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების სავალდებულო დაზღვევას, სადაც 18 წლის წინათ ჩრდილო და სამხრეთ დაკოტის, ნებრასკის და მანტანის შტატების მდიდარმა ფერმერებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება კანონმდებელ დაწესებულებებში და შემოიღეს ნათესთა ნებაყოფლობითი დაზღვევა სეტყვისაგან. მაგრამ ექვსი წლის შემდეგ, როცა დარწმუნდნენ, რომ უხერხული და ძვირია, გააუქმეს იგი და მის ნაცვლად შემოიღეს იძულებითი დაზღვევა ყველა სასოფლო კულტურებისა, რომელნიც ეკუთვ ოდნენ მოქალაქეებს და სახელმწიფოს.

საკვირველი არ არის, რომ სპეციალურ ლიტერატურაში მოუხშირეს წერას იძულებითი დაზღვევის შესახებ საერთაშორისო ფარგალშიაც კი, რადგან შეუძლებელია ზედმიწევნით იქნეს გამორკვეული მომენტი ატმოსფერულ სტიქიურ მოვლენებისა. მათი დამღუპველი ძალა და გეოგრაფიული განაწილება.

სეტყვის სიხშირით და ძალით კავკასიონი სხვა ქვეყნებთან შედარებით პირველ რიგში სდგას, რაც მტკიცდება მთავარ ფიზიკურ ობსერვატორიისა და აგრეთვე ზოგი სტატისტიკური ცნობით. პირველობაში მას ედავებიან მხოლოდ ალპები, კორდილიერის ქედი და კანადა.

სულ უბრალოდაც რომ ვიანგარიშოთ, დავრწმუნდებით, რომ ამიერკავკასიის გლეხები წელიწადში ჰკარგავენ 150.000 დესეტინა დამუშავებულ კულტურას 3—4 მილ. მანეთის ღირებულებისას. მიმდინარე წელს მხოლოდ სომხეთში, სადაც შემოღებულ იქნა სავალდებულო დაზღვევა ნათესებისა, დაზარალდა სეტყვისაგან მთელი ნათესების 7 პროც. ამ წლის სეტყვის ძალა სომხეთში საშუალოდ უნდა ჩაითვალოს.

ნათქვამი რომ ავსწონოთ და მხედველობაში მივიღოთ ის გარემოება, რომ სეტყვის სიხშირე დამოკიდებულია ადგილის სიმაღლეზე ზღვის ზედაპირიდან, ნათელი გახდება, რომ სავალდებულო დაზღვევა ამიერ-კავკ. მეურნეობისათვის უფრო საჭიროა, ვიდრე შუა რუსეთისთვის, მით უფრო აგრეთვე, რომ აქ დამუშავებულ ადგილის 30 პროც. უჭირავს სპეციალურ კულტურას. მათ შორის ყველაზე ძვირფასი კულტურა—ვაზი, ბამბა და თამბაქო დიდათ ზარალდება ხოლმე სეტყვისაგან.

ზოგ ადგილებში სასოფლო-მეურნეობის დაზღვევამ მახინჯი სახე მიიღო, გლეხობის უკმაყოფილება გამოიწვია. ეს, რასაკვირველია, იმას სრულიად არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევა არ უზრუნველჰყოფს გლეხობის ინტერესებს, არ არის შეგუებული სოფლის მოსახლეობის საჭიროებებთან გლეხობის უკმაყოფილება და უნდობლობა სახელმწიფო დაზღვევისადმი, შედეგი არის დაზღვევის პოლიტიკის ცუდათ, მახინჯათ გატარების. ეს ნაკლი უსათუოდ გამოსწორებული უნდა იქნას, თუ გლეხობა დარწმუნდება იმაში, რომ მეურნეობის დაზღვევა სასარგებლოა მისთვის, მაშინ თვითონ მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს. რასაკვირველია, **სავალდებულო დაზღვევის იძულებით თავზე მოხვევა გლეხობისათვის, თუ ამას სადმე ჰქონდა ადგილი, კატეგორიულად უნდა იქნას უარყოფილი.**

სავალდებულო დაზღვევას გლეხობა, აგრეთვე იმიტომ ეპყრობა უნდობლობით, რომ მან თითქმის არ იცის დაზღვევის საქმე, არც მისი მიზანი და სარგებლობა. ჯერ-ჯერობით გლეხობა მას ისე უყურებს, როგორც ჩვეულებრივ გადასახადს. მისი აზრი უნდა გამოიცვალოს. ამისთვის საჭიროა ფართე აგიტაცია, საჭიროა გლეხობას დავანახვოთ, რომ სავალდებულო დაზღვევის დროს სახელმწიფო დაზღვევა გადაუხდის მას ზარალს, მიუხედავად იმისა, გადაიხადა თუ არა მეურნემ დაზღვევის გადასახადი, რადგან სახელმწ. დაზღვევის ძირითადი დანიშნულება ის არის, რომ უწინარეს ყოვლისა სასოფლო-მეურნეობას აღმოუჩინოს დახმარება, ხოლო სახელმწ. დაზღვევის ფინანსიურ სიმტკიცეს ყველა მოსაზრებათა შორის მეორე ალაგი უჭირავს. ფართე ასპარეზი მუშაობისა დაზღვევის ძირითად დარგებში—შენობებისა ხანძრისაგან, ნათესებისა სეტყვისაგან და საქონლისა—ჭირისაგან—საშუალებას იძლევა, რათა ტარიფები მინიმუმამდის იქნეს დაწეული, და ამავე დროს უზრუნველჰყოფს დაზღვეულ ქონების ნამდვილ ღირებულების 25—30 პროცენტს.

შეიძლება ბევრმა საკმარისად არ მიიჩნიოს დაზღვევის უზრუნველყოფა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს ღარიბ გლეხობის გადახდის სუსტი შესაძლებლობა. გლეხობის ამ ნაწილს, მიუხედავათ დაკლებულ ტარიფისა, ეძლევა მრავალნაირი შეღავათი და უპირატესობა, რადგან დასაზღვევი უზრუნველყოფა სრული არ არის. სახელმწიფო დაზღვევამ სავალდებულო დაზღვევასთან ერთად შემოიღო სოფლის მეურნეთათვის ნებაყოფლობითი, გამარტივებული და იაფი დაზღვევა, რომელიც უღარიბეს მეურნეთათვისაც კი ხელმისაწვდომია.

ხ. რ.

პროფკავშირებში

სატრანსპორტო კავშირის მე-8 სამაზრო კონფერენცია ფოთში

ა/წ. 8 ოქტომბერს დილის 9 საათზე სატრანსპორტო კავშირის „კარლ-მარქსის“ სახელობის კლუბში კონფერენცია გახსნა ამხ. გ. ლომთათიძემ, რომელიც მიესალმა კონფერენციას კავშირის გამგეობის სახელით. კონფერენციას მიესალმენ აგრეთვე ცენტრალურ გამგეობის სახელით ამხ. გეიდენი და ადგ. პროფბიუროს სახელით ამხ. ქოქოსაძე.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა კომუნისტურ პარტიის ც. კ-ას, ს. პ. კ. საბჭოს, ტრანსპორტნიკების ც. გამგეობას.

კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები:

1) მოხსენება ც. გ. მუშაობის შესახებ.

2) მოხსენება სამაზრო განყ. და სარევიზიო კომისიის 7 თვის მუშაობის შესახებ.

3) მოხსენება სამეურნეო დარგის შესახებ.

4) შეფობის შესახებ მცველ-მხლებელთა რაზმზე.

5) არტელურ შრომის ყულაბების გაუქმების შესახებ.

6) სამაზრო განყოფილების მოქმედების ვადის გადიდების შესახებ.

7) სამაზრო გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები და სხვა.

პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხ. გეიდენმა. მან გააცნო ც. გ. მუშაობა საორგანიზაციო, სატარიფო-საეკონომიო, კულტურული, შრომის დაცვის დარგში და სხვა. ც. გ. მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

სატრანსპორტო კავშირის ფოთის სამაზრო განყოფილების 7-თვის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. ლომთათიძემ და სარევიზიო კომისიის წევრმა ამხ. პ. დოლიძემ. სამაზრო განყოფილების მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. მოხსენება „ჩემოს“ სამეურნეო დარგის შესახებ გააკეთა „ჩემოს“ ფოთის კანტორის გამგემ გ. მიმინოშვილმა, რომელმაც აღნიშნა მუშაობის ყველა მხარეები.

მცველ-მხლებელთა რაზმზე შეფობის საკითხი გადაეცა ც. გამგეობას მოსაგვარებლად.

არტელურ შრომის ყულაბები იქნა გაუქმებული და მიღებულ იქნა ნამუშევრის ყოველდღიურად გაყოფა ფაქტიურად იმ დღეს მომუშავე მუშებზე, რაც სწევს მუშაობის ნაყოფიერებას.

სამაზრო განყოფილების გამგეობის მუშაობის ვადა კონფერენციის მიერ გადიდებული იქნა 6 თვიდან —1 წლამდე სხვა და სხვა ხარჯების თავიდან ასაცილებლად. დადგენილება გადაეცა ც. გ. დასამტკიცებლად.

სამაზრო განყოფილების გამგეობაში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ლომთათიძე, უჩანეიშვილი, ფრუიძე, დოლბაია, ხუხია, ბოკუჩავა, ეაკია, სიჭინავა, ფაჩუაშვილი, ბერძენიშვილი, კლდიაშვილი, წურქავა, სოსელია, გულუა, გასვიანი.

სარევიზიო კომისიაში: მოისტრაფიშვილი, ჩოჩია, გვიჩია.

საქართველოს ტრანსპორტნიკების ყრილობაზე არჩეულ იქნენ დელეგატებათ: გ. ლომთათიძე, ი. უჩანეიშვილი, ს. ფრუიძე, ი. დოლბაია, კ. კლდიაშვილი, ქ. გასვაიანი, შ. გიორგაძე, გ. ფრუიძე, ე. კრონტელი, ღ ორჯონიკიძე და ა. თოდრია. სრ. საქ. პროფკავშირთა საბჭოს ყრილობაზე დელეგატებათ იქნენ არჩეული გ. ლომთათიძე, ს. ფრუიძე და ლაზარტყავა.

სრ. რუსეთის ტრანსპორტნიკების ყრილობაზე დელეგატათ გაიგზავნა ამხ. გ. ლომთათიძე.

კავშირის მუშათა სასადილო და კიოსკი გადაეცა მუშათა კოოპერატივს.

კონფერენციამ აღძრა შუამდგომლობა „ჩემო“-ს მთავარ კანტორის წინაშე, რათა მიეცეს ფოთის მუშათა კოოპერატივს სესხად ოცი ათასი მანეთი, ვინაიდან კოოპერატივის წევრების დიდი უმრავლესობა არიან „ჩემო“-ს მუშა-მოსამსახურენი.

ხ. ფ—ძე.

სამეცნიერო-ტექნიკურ ძალთა ცენტრალურ ბიუროში

ცენტრალურ ბიუროს 7 ოქტომბრის სხდომაზე მოსმენილი იქნა ქიმიკოსთა სექციის ბიუროს მდივანის ამხ. ტუროვეცის მოხსენება.

ქიმიკოსთა კავშირთან არსებული სამეცნიერო-ტექნიკურ ძალთა სექციის ბიურო აერთიანებს 75 კაცს. ეს ციფრი უეჭველათ გაიზარდება, რადგან ძალების აღრიცხვა დაიწყო ზაფხულზე, როდესაც მრავალი ტექნიკური ძალები ქალაქში არ იმყოფებოდენ. ამას გარდა, ჯერ ყველაფერი არ არის გაკეთებული სამეცნიერო-ტექნიკურ ძალთა გასაერთიანებლათ.

მუშაობის დაწყებიდან დღემდი ბიუროს ჰქონდა 10 სხდომა. ამ სხდომებზე დამუშავებული იყო დებულება სექციის შესახებ, სექციის მუშაობის გეგმა, მოსმენილი იქნა მოხსენებები საქართველოს ქიმური მრეწველობის მოწყობის შესახებ და სხვა.

ბიუროს წარმომადგენელმა ქიმიკოსთა კავშირის ყრილობაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ქიმიური მრეწველობის პერსპექტივების შესახებ. საერთოდ ბიურო მონაწილეობას იღებდა ყრილობის მუშაობაში. სექციის ბიუროს განზრახვა ჰქონდა მოეწყო პედაგოგიური ქვესექცია მთელ რიგ ლექციების წასაკითხავათ მუშათა კლუბებში, მაგრამ საშუალებების უქონლობის გამო, ამის მოწყობა არ მოხერხდა.

შეძლებისდაგვარათ მუშაობდენ სამეცნიერო-გამომკვლევი და საწარმოო ქვესექციები, მათ მოამზადეს სათანადო მასალები, რომლებიც გატარდება ცხოვრებაში. ამისათვის სექციის ბიურო ოქტომბრის დამლევს იწვევს საერთო კრებას. ამ კრებაზე უნდა გამოირკვეს ისიც, თუ საიდან უნდა მიიღოს სექციამ ფინანსიური დახმარება საორგანიზაციო ხარჯებისათვის ერთი ტექნიკური მომუშავის შესანახათ, ქარხნების გამოსაკვლევათ და სხვა საქმეებისათვის. ეს საკითხი საერთო კრების მოწვევამდი უნდა გადაწყვიტოს ცენტრ. ბიურომ. სამეც.-გამომკ. და საწარმოო ქვესექციების მუშაობა შეუძლებელია, თუ ამ საქმისათვის გაღებული არ იქნა სათანადო თანხები. სექციის ბიურო ფიქრობს, რომ საქართველოს ქიმიური მრეწველობის გასაუმჯობესებლათ სექციის მუშაობას დიდი მნიშვნელობა ექნება. სამეცნიერო-ტექნიკურ ძალთა სექციის არსებობა სავსებით მომწიფებულია და მას მოითხოვს თვით ცხოვრება.

ცენტრ. ბიურომ დაადგინა სამეცნიერო-ტექნიკურ ძალთა სექციის არსებობა ქიმიკოსთა კავშირის ცენტრ. გამგეობასთან აუცილებლათ იქნეს ცნობილი და მომხსენებლის მიერ წამოყენებული საკითხები გადასაწყვეტათ გადაეცეს ცენტრ. ბიუროს პრეზიდიუმს. ქიმიკოსთა სექციის ბიუროს დაევალა ცენტრ. ბიუროს შემდეგი სხდომისათვის მოამზადოს დებულება ქიმიკოსთა სექციის შესახებ.

სხვა და სხვა კავშირებში

დახმარება ლენინგრადის მუშებს.

ლენინგრადის მუშების დასახმარებლათ პროფსაბჭოს სალაროში 18 ოქტომბერს სხვადასხვა კავშირებიდან შემოვიდა 600 მან. 42 კ.

სულ ლენინგრადის მუშების დახმარების ფონდშია 11,822 მან.

გემო-კვების კავშირში.

გემო-კვების კავშირის ცენტრ. გამგეობამ დაადგინა მოიწვიოს მეთამბაქოეთა კონფერენცია, რომელზედაც განხილული იქნება საკითხები შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და დამუშავების ნორმების გადასინჯვის შესახებ.

— კავშირის წევრთა რიცხვის შესამჩნევად გადიდებისა და, აგრეთვე საკავშირო მუშაობის გაღრმავების გამო როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, ცენტ. გამგ. დაადგინა ტექნიკურ თანამშრომლებს მოუმატოს ჯამაგირი 25 პროცენტით ა.-წ 1-ლ ოქტომბრიდან

ბორჩალოს მაზრის ადგილკომის მუშაობა.

ადგილკომი აერთიანებს 15 წარმოებას 184 მუშით, რომელთაგან 5 ქალია და 12 მოზარდი; მაზრაში არის 8 რწმუნებული და 1 ადგილკომი. მუშების დაქსაქსვა სხვადასხვა მამულებში აძნელებს მათ შეკავშირებას. წინეთ, კავშირის უჯრედის დაარსებამდი, მუშები უჯამაგიროთ მუშაობდენ, ეხლა მოზრდილი მუშის საშუალო ხელფასი უდრის 20—22 მანეთს, მოზარდების—8—10 მან. მუსლიმან მოსახლეობის ჩამორჩენილობა მეტად აძნელებს კულტმუშაობას. მაზრაში 85 პროც. წერა-კითხვის უცოდინარია. მიმდინარე წელში მოწვეულია სპეციალური მუშაკი კულტმუშაობის საწარმოებლათ. კავშირის მუსლიმან წევრებს შორის, ინდივიდუალური წევრობა გატარებულია 100 პროც. ყველა მუშები ირიცხებიან ურთიერთ დახმარების სალაროს წევრებათ

ბათუმის განყოფილების მუშაობა.

კავშირი აერთიანებს 380 წევრს, რომელთაგან 93 უმუშევარია. ბათუმში არის ორი საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტი. ინდივიდუალური წევრობა გატარებულია 100 პროც. საწევრო გადასახადები თავის დროზე შემოაქვს კავშირის წევრების 85—90 პროც. ურთიერთ დახმარების სალაროს წევრებათ ითვლება 285 კაცი. ყველა წარმოება-დაწესებულებასთან დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება. ამ ჟამათ მოქმედობს 3 კოლ. ხელშეკრულება და 47 სატარიფო შეთანხმება.

ყველა ხელშეკრულებები დადებულია 1:8 ქსელის მიხედვით. კონფლიქტი იყო სამი, რომლებიც გადაწყვეტილია მუშების სასარგებლოთ. შრომის დაცვის წესების დარღვევას ადგილი აქვს წვრილ წარმოებებში. კულტმუშაობას აწარმოებს კავშირის გამგეობის ერთი წევრი. სხვა მო- წყობილი იყო 11 ლექცია [illegible] კურსია თბილისში, არი [illegible] თეკა და ფიზკულტური [illegible] მუშფაკზე გაიგზავნა 2 კაცი. [illegible] ახალგაზრდა პიონერთა კოლექტივები. მუშაობა შეფობის ქვეშ [illegible] სოფელში თანდათან ნორმალ [illegible] ლაპოტში დგება.

ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავისათვის

ქ. პ. ცეკას საგიტ-საპროპაგანდო განყ. თეზისები

1.

რუსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ წესწყობილებაში, ფეოდალურ მემამულეთა ელემენტების მოსპობით, მიწაზე და წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობით და საბჭოთა ხელისუფლების ბატონობის დამყარებით, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის საძირკველს, ოქტომბრის რევოლიუციამ შექმნა ახალი ხანა მუშათა კლასის უშუალო ბრძოლისა სოციალიზმისათვის.

უდიდესია ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა იმდენათ, რამდენადაც მან პირველად გაარღვია კაპიტალისტური მსოფლიოს ფრონტი, და წარმოადგენს საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლის გამოსავალ წერტილს—იმ ბრძოლის, რომელიც მუშათა კლასის გამარჯვებით დამთავრდეს.

2.

კაპიტალისტური ფრონტის გარღვევის ფაქტი მოასწავებდა სამოქალაქო ომის დასაწყისს, რადგან ბურჟუაზიულ მსოფლიოს, მოახლოებულ ილის ჟამს, არ შეეძლო არ ებია რევოლიუციის ძალთა გ მის განკარგულებაში არ- ბრძოლის ყველა საშუალე-

ლაქო ომის ხანა,—რომლის ბარიკადების ერთი მხრით ლი იყო ქვეყნის ყველა რე- ური ძალები და მეორე კონტრ-რევოლიუცია, კა- ური ქვეყნების მიერ ზურგ- ა, აღიბეჭდა მსხვერპლთა ი რიცხვით და რუსეთის კეთილდღეობის განად-

სისხლის მღვრელ შეტა- ში რუსეთის მუშათა კლასი ობასთან ხელიხელ ჩაკი- გამოვიდა გამარჯვებული, ან ქვეყანას არ ნახული ემ- [illegible]

თის, ბავარიის) მუშათა კლასმა, რომელთაც სწვდა დიდი ოქტომბრის რევოლიუციის ტალღები.

3.

კაპიტალისტური ქვეყნები, დარწმუნდნენ რა ბრძოლის პროცესში, რომ ძალით დამხობა მათთვის საზიზღარ საბჭოთა ხელისუფლებისა შეუძლებელი იყო, იძულებული შეიქნენ უარი ეთქვათ ბლოკადის სისტემაზე და შეეცადნენ ხელშეკრულებებით დაკავშირებოდნენ მას.

ასეთი განზრახვით მოწვეულმა კონფერენციებმა (გენუა, გააგა) ვერავითარი შეთანხმება ვერ ჩამოაგდო ორ მოწინააღმდეგე ბანაკს შორის, რადგან მათ აშკარათ გამოხატეს თავის წადილი და მისწრაფება საბჭოთა რუსეთის ეკონომიურად დამორჩილებისა, მის მიერ ოქტომბრის რევოლიუციის მიღწევების გაუქმებით.

კაპიტალისტური ქვეყნების ასეთმა განზრახვებმა მხოლოდ ხელი შეუწყვეს მუშურ-გლეხური რუსეთის მშვიდობიან მშენებლობას იმ დროს, როდესაც მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის რღვევა თანდათან ძლიერდებოდა.

4.

საერთაშორისო ბაზრებისათვის ბრძოლაში წარმოშობილი იმპერიალისტური ომი დამთავრდა მზაკვრული ვერსალის ზავით, რომელმაც არამც თუ ვერ გადასჭრა და მოსპო ეკონომიური ანტაგონიზმი, არამედ შექმნა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ახალი განხეთქილებების პირობები. მან ვერ შესძლო მოესპო მსოფლიო მეურნეობის რღვევის მიზეზები და მუშათა კლასის რევოლიუციონური შეტევა. ამიტომ ბურჟუაზიამ გადასწყვიტა უარი ეთქვა პარლამენტარიზმზე და განემტკიცებია ფაშისტური დიქტატურა.

ფაშისტური დიქტატურამ სისტემაც არ გამოიღო კაპიტალისტურ ქვეყნებში შერყეულ პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობის გამოსაკეთებლად და ბურჟუაზია იძულებუ- [illegible] ბის სათავეში ე. წ. „მუშური მთავრობა“ მე-2 ინტერნაციონალის წარმომადგენლებიდან, რომელნიც საუკეთესო და საიმედო დამცველნი იყვნენ კაპიტალისტური სისტემისა. ბურჟუაზიას სურს მათ ზურგს უკან ამოფარებით განაგრძოს ძველი იმპერიალისტური პოლიტიკა.

5.

ინგლისის მაგალითზე, სადაც მთავრობა მე-2 ინტერნაციონალის ბელადის რამზეი მაკდონალდის თავმჯდომარეობით 9 თვეს იყო ხელისუფლების სათავეში, დასავლეთ ევროპის მუშათა კლასი დარწმუნდა, რომ ბურჟუაზია იმდენათ იყენებს და ითმენს „მუშათა მთავრობას“, რამდენათაც ეს უკანასკნელი მის ერთგულ ლაქიობას ეწევა.

მუშათა კლასის ოდნავი ცდა მუშათა მთავრობის განთავისუფლებისა ბურჟუაზიის გავლენიდან ამ მთავრობის გადაყენებით თავდება. კერძოთ, მაგალითად, მაკდონალდის მთავრობის დამარცხების ძირითადი მიზეზი იყო ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულება, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა რუსეთის ფასიანი ქაღალდების მქონეთ ინგლისში და რომელთა გაუმაძღარ მადას ვერასოდეს ვერ დააკმაყოფილებს კაპიტალისტურ უღლიდან განთავისუფლებული რუსეთის მუშათა კლასი.

6.

ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების დადება აუცილებელია. აუცილებელია აგრეთვე ეკონომიური ურთიერთობის აღდგენა ს. ს. რ. კ—თან სხვა კაპიტალისტურ ქვეყნების მიერ. ამ აუცილებლობას უკარნახებს მათ ის გარემოება, რომ ს. ს. რ. კ. წარმოადგენს უდიდეს ბაზარს კაპიტალისტური ქვეყნების ნაწარმოებთათვის (რომელიც ვერ სალდება მსოფლიო ბაზრიდან ჩვენი კავშირისა და გერმანიის გამორიცხვის გამო) და კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის საჭი- [illegible] ლისის, იტალიის, შვეციის და სხვ. და დღე დღეზე მოსალოდნელი ცნობა ს. ს. რ. კ—ის ყველაზე უფრო მტრულად განწყობილ საფრანგეთის, ბელგიის და სხვათა მიერ.

ს. ს. რ. კ—ის იურიდიული ცნობა და მასთან ეკონომიური ურთიერთობის აღდგენა გამოწვეულია კაპიტალისტური ქვეყნების არა „ჰუმანიური გრძნობებით“, არამედ კაპიტალისტური მეურნეობის მწარე სინამდვილით, რომელიც სულ თანდათან იშლება და ირღვევა.

7.

იგივე სინამდვილე აიძულებს გამარჯვებულ ქვეყნებს ხელი შეუწყონ გერმანიის „აღდგენას“, როგორც მომხმარებელ ბაზარს. ე. წ. გეგმა დოუესისა წარმოადგენს გერმანიის მეურნეობის ხელში ჩაგდების და მის მუშათა კლასის ამერიკულ კაპიტალისადმი დამონებას.

გერმანიისათვის 800 მილ. სესხის მიცემა წარმოადგენს ახალ ამოძრავებას ამერიკის თავისუფალი კაპიტალისას, რომელიც გამოუყენებელი რჩებოდა თავის სამშობლოში. გერმანიისათვის მიცემული სესხი, თუგინდ მისი სამეურნეო ცხოვრების დროებით გამომკეთებელი, ვერ სჭრის მსოფლიო მეურნეობის ძირითად პრობლემას—გერმანიის ეკონომიურ ძლიერების აღდგენას, რომელიც შეუძლებელია მძარცველური ვერსალის ზავის გაუქმების (და აქედან გამომდინარე შედეგის, სეპარატიული გადასახადების მოხსნის გარეშე, რომელიც მთელი თავის სიმძიმით გერმანიის მუშათა კლასს აწვება) და გერმანიის ნაწარმოებისათვის ბაზრების აღმოუჩენლათ.

8.

კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური სინამდვილე წარმოადგენს ახალ შეჯახების წყაროს, კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებული ანტაგონიზმი უეჭველად მიგვიყვანს ახალ ომამდე, რომელიც უფრო გამანადგურებელი იქნება წინანდელ ომზე.

კაპიტალისტური ქვეყნების მიერ [illegible] გაძლიერება, იმ ქვეყნების, რომელიც წარსული ომიანობის დასაწყისში მუშათა კლასს „სამუდამო მშვიდობიანობას“ პირდებოდენ, ნათლად მოწმობს იმაზე, რომ მუშათა კლასი მალე შეიქნება ახალი მსოფლიო სისხლის ღვრის მოწმე. ეს ახალი ომიანობა ბუნებრივი შედეგი იქნება ბურჟუაზიის უძლურებისა გამოასწოროს ჩიხში მომწყვდეული მსოფლიო მეურნეობა.

მომავალი იმპერიალისტური ომი აუცილებლად უნდა გადაიქცეს სამოქალაქო ომად, როდესაც გამარჯვებული მუშათა კლასი შეიქნება ახალი სოციალისტური საზოგადოების ამგები.

9.

დასავლეთ ევროპის კომუნისტურ პარტიების გავლენის გაძლიერება და ინგლისის ტრედიუნიონებში დაწყებული გადახრა მარცხნით მოწმობენ იმაზე, რომ ევროპის მუშათა კლასი აჯანსაღებს თავის რიგებს კაპიტალისტური სიმაგრეებზე ახალი შეტევისათვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს გადახრა ინგლისის ტრედიუნიონებში, რომელნიც განთქმული იყვნენ თავის კონსერვატიულობით და სავსებით მოქცეული ინგლისის ოპორტიუნისტულ მუშათა კლასის გავლენის ქვეშ, ტრედიუნიონების კონგრესმა ჰულლში გამოააშკარავა ამ მემარცხენე ფრთის არსებობა, რაც იმას მოწმობს, რომ ინგლისის მუშათა კლასმა იწყო რეფორმიზმისაგან ჩამოშორება. ინგლისის მუშათა კლასის გარევოლიუციონერება—ეს თავდებია სოციალიზმის გამარჯვებისა.

10.

დიდი ოქტომბრის 7 წლის თავს ჩვენი კავშირის მუშათა კლასი დღესასწაულობს მაშინ, როდესაც გენიალური წინამძღოლი ვ. ლენინი აღარ გვყავს.

ლენინის სიკვდილი დიდი დანაკლისია არა მარტო ს. ს. რ. კ—ის მუშათა კლასისათვის, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატისათვისაც, რომელიც მოელის იმ გადამწყვეტ ბრძოლას, რომელმაც შედეგათ მუშათა გამარჯვება უნდა მოგვცეს.

ლენინის სიკვდილმა, რომელმაც [illegible] რისო მუშათა კლასში დაბადა ბურჟუაზიულ ქვეყნებში იმედი ს. ს. რ. კ-ის ჩქარა დაღუპვისა თავის გენიალური შემოქმედის დაკარგვის გამო. მაგრამ ბურჟუაზიის იმედები გაცრუვდა, ვინაიდან ამხ. ლენინის დაკარგვას მოყვა ს. ს. რ. კ—ის მუშათა კლასის ნების კიდევ უფრო განმტკიცება, გაერთიანება და ლენინის კომუნისტური პარტიის კიდევ უფრო გაძლიერება.

11.

ოქტომბრის რევოლიუციის მე-7-ე წლის თავის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევას წარმოადგენს ფულის რეფორმა.

ფულის რეფორმის მოხერხებულად ჩატარება, რომელმაც ხელი შეუწყო ქვეყნის აღორძინებას, წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ და პოლიტიკურად გაძლიერების ძირითად მიზეზს.

მან ხელი შეუწყო ქალაქსა და სოფლის შორის კავშირის გამაგრებას და მუშათა კლასის სამუშაო ხელფასის რეალურად გაზრდას.

ის წარმოადგენს იმ პოლიტიკურ საშუალებას, რომლითაც დამსხვრეულ იქნა ყოველგვარი კონტრ-რევოლიუციონური ზრახვები; მან დაამტკიცა, რომ შესაძლებელია დანგრეულ მეურნეობის აღდგენა კაპიტალისტური ქვეყნების დაუხმარებლად, რომელთაც დაჰკარგეს იმედი ს. ს. რ. კ-ის დამორჩილებისა.

სესხის საჭიროება მოწმობს არა იმას, რომ თითქო შეუძლებელი იყოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური კეთილდღეობის აღდგენა საკუთარი საშუალებებით, არამედ საბჭოთა ხელისუფლების მისწრაფებას დააჩქაროს ამ აღდგენის ტემპი.

12

ფულის რეფორმა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინების უმთავრეს ღერძს.

ფულის რეფორმის შედეგად მიღებულმა ფასების დაწევამ ფაბრიკების ნაწარმოებებზე და შედარებით აწევამ სოფლის სამეურნეო ნაწარმოებებზე ხელი შეუწყო მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებას, ძირითად [illegible] დარწმუნდენ კონკრეტიულ მაგალითზე იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება სცდილობს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს მათი მეურნეობის გაჯანსაღებას.

ოქტომბრის რევოლიუციის მეშვიდე წელიწადი მიმდინარეობდა სასოფლო-მეურნეობის და მრეწველობის აღდგენის და „მაკრატლის“ ლიკვიდაციის ნიშან ქვეშ, იმ „მაკრატლის“, რომელიც დიდ საშიშროებას უმზადებდა მუშათა და გლეხთა კავშირს.

მიღწეული შედეგები ეკონომიური გაჯანსაღების დარგში ეს მხოლოდ დასაწყისია სახალხო მეურნეობის სასწრაფოდ აღდგენისა ქალაქისა და სოფლის დაკავშირების საფუძველზე.

13

მდგომარეობა შიგნით განმტკიცდა ს. ს. რ. კ-ის საბოლოოდ ჩამოყალიბებით, რომელიც წარმოადგენს თანასწორ უფლებიან სახელმწიფოთა თავისუფალ კავშირს. ეროვნული საკითხის გადაჭრა შეუძლია მხოლოდ მუშათა კლასს. ს. ს. რ. კ-ი საუკეთესო გადაჭრაა ეროვნული საკითხისა. ეს გარემოება შეძლებას აძლევს ყველა მასში შემავალ ხალხთ განვითარდნენ გაჯანსაღებულ სახელმწიფოებრივ და ეროვნულ-კულტურული ცხოვრების საფუძვლებზე.

კერძოდ საქართველოს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, შეძლება მიეცა დამოუკიდებელი, მშვიდობიანი მშენებლობისა და მშრომელთა მასის საარსებო ეკონომიურ-კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ.

14.

მენშევიკების ავანტიურამ ერთხელ კიდევ დაარწმუნა მშრომელი მასა იმაში, რომ მენშევიკები მართლაც აგენტები არიან საერთაშორისო კაპიტალისა, რომელიც ოცნებობს საქართველოს დაპყრობაზე და ბაქოს ნავთისაკენ გზის გაკაფვაზე.

არა „საქართველოს განთავისუფლება“, არამედ იმისი ოკუპაცია, როგორც პლაცდარმისა ბაქოს ნავთის ხელში ჩასაგდებათ და საბჭოთა კავშირის დასანგრევად—აი რა არის [illegible] რებათ ითვლებიან ქართველი მენშევიკები.

ქართველმა მენშევიზმმა უკვე დაასრულა თავის ისტორიული გზა რეფორმიზმიდან — ბანდიტიზმამდე. დღეიდან მას შეუძლია იარსებოს მხოლოდ როგორც დამპალ მუწუკს ჯანსაღ სხეულზე, რომლის მოშორება შეიძლება მხოლოდ ქირურგიული საშუალებით.

15.

საქართველოს მშრომელი მასსამ, რომელიც დარწმუნდა იმაში, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია გააჯანსაღოს და განავითაროს ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლას.

საქართველოს მშრომელმა ხალხმა ლოდი დაადვა ქართველი მენშევიზმის საფლავზე. მენშევიზმის საბოლოო ლიკვიდაცია ფართოდ უხსნის გზას საქართველოს მშრომელ მასას ხელშეუშლელად და ნორმალურად განაგრძოს თავის ქვეყნის მშენებლობა.

საქართველოს ეკონომიური აღორძინება, რომლის საუკეთესო მაჩვენებლათ უნდა ჩაითვალოს, სხვათა შორის მუშაობა ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციისათვის ზემო ავჭალა, რიცეული, აჭარის წყალი, აბაშა და სხვა, მთელი რიგი არხების გაყვანა, ქუთაისის საქსოვ ფაბრიკის გახსნა, ჭიათურაში განზრახული ფერრომარგანეცის ქარხნის აგება და სხვა წარმოადგენს მხოლოდ დასაწყის ეკონომიურ-კულტურულ მშენებლობის ფრონტზე.

16.

ეკონომიურ-კულტურული მშენებლობა შესაძლებელია მხოლოდ მშრომელთა მასის მხურვალე თანაგრძნობის პირობებში.

ქართველ მშრომელ ინტელიგენციაში, კერძოდ სოფლის მასწავლებლებში, აგრონომებში და სხ. მომხდარი გარდატეხა გვაკარნახებს ჩვენ აუცილებლათ მასიურათ ჩაბმულ იქნენ ისინი ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში.

გადაიტანა ახალ ბინაზე ([illegible] ქ. № 22).

წელი კარტის ნიშნის ქვეშ მდგომი ევროპის ფილოსოფია დღეს ისევ

დიდი ფილოსოფიური კულტურაა საჭირო.

არსენალის რაიონის კლუბთან გაიხსნა ახალი სასპორტო დარბაზი, რომელშიაც უკვე დაიწყო მეცადინეობა.

ფეხბურთელთა ლიგის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ფეხბურთელთა ახალი კომანდა თ. ფ. ქ. (თბილისის ფეხბურთელთა კომანდა).

საქ. პროფკავშირთა მე-4 ყრილობა

მუშათა შრომის და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის

(მომხსენებელი ამხ. გ. ყურულაშვილი)

პროფკავშირთა საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენენ მუშაობა მუშათა ყოფა-ცხოვრების და შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. კავშირებმა მომავალში უფრო უნდა გააღრმავონ თავისი საქმიანობა ამ მიმართულებით შრომის დაცვის, საცხოვრებელ პირობების კავშირის წევრთა ყოფა-ცხოვრების გამოკვლევის საშუალებით.

შრომის დაცვა

შრომის დაცვის დარგში კავშირებმა უნდა გამოიკვლიონ და შეისწავლონ შრომის პირობები ცალკე საწარმოო დაწესებულებებში და შემჩნეული ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღკვეთილი ეკონომიური შესაძლებლობის ფარგლებში. ამ ზემოხსენებულ მუშაობაში კავშირებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ შრომის ინსპექცია.

სოციალური დაზღვევა

უკანასკნელ წლის განმავლობაში დაზღვევის საქმემ საგრძნობლად წაიწია წინ. დამზღვევ ორგანოების მოღვაწეობის გასაძლიერებლად საჭიროა უფრო მჭიდრო კავშირი პროფკავშირთა და დამზღვევ კასებს შორის, დამზღვევი ანარიცხების თავის დროზე გადახდა, სოციალური დაზღვევის საკითხების და კასსების მოქმედების ანგარიშის წევრთა საერთო კრებებზე განხილვა. განსაკუთრებით ასეთი მუშაობა საჭიროა პროვინციაში, სადაც სოციალური დაზღვევის საქმე მოიკოჭლებს.

ბინის საკითხი

ბინის საკითხის მოსაწესრიგებლად ბინის აღმაშენებელ კოოპერატიულ ამხანაგობათა შექმნა. სამეურნეო ორგანოებმა მოგების 10 პროც. უნდა გადასდონ მუშათა ბინების საჭიროებისათვის და მოეწყოს ცენტრ. დამხმარე სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც გააერთიანებს საბინაო საამშენებლო კოოპერატივებს.

დასასვენებელი სახლები

საჭიროა დასასვენებელი სახლების ქსელის გადიდება, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ჩაებმება ამ საქმეში მუშათა მასსა. ცალკე კავშირებმა უნდაააშენონ თავის საჭიროებისათვის მცხეთასა და წაღვერში სახლები, რომელნიც შეტანილ უნდა იქნენ დასასვ. სახლების საერთო ქსელში.

კოოპერაცია.

უნდა იქნეს ყოველგვარი ზომები მიღებული, რომ კავშირების წევრების 100 პროც. გახდეს მუშკოოპის წევრებად. კავშირებმა ყურადღება უნდა მიაქციონ საქონლის ასორტიმენტთა შერჩევას კოოპერაციისათვის, წითელი სასადილოების მოწყობა მუშათა რაიონებში და პურის გამოცხობის კოოპერატივების ხელში გადასვლას.

იურიდიული დახმარება

მომხსენებელი აღნიშნავს რა დიდ მიღწევას იურიდიულ დახმარების საქმეში ქალაქად, საჭიროდ სცნობს იურიდიულ ბიუროების განყოფილებათა მოწყობას პროვინციაში და სტატისტიკურ ცნობების გამოცემას იურიდიულ ბიუროს მუშაობის შესახებ.

მეოთხე დღე, საღამოს სხდ-მა

კულტურული მუშაობისათვის

(მომხსენებელი ამხ. ქელიძე)

სახალხო მეურნეობის საერთო ამაღლება და მუშების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება კავშირებს საშუალებას აძლევს გააფართოონ და გააღრმაონ კულტმუშაობა, რომელიც უნდა სწარმოებდეს ცალკე ეროვნებათა გასაგებ ენაზე და ეწყობოდეს წარმოებითი და საკავშირო საფუძველზე.

კლუბები

კულტმუშაობა ძირითად საფუძველს უნდა შეადგენდეს მუშათა მასების თვითმოქმედებაზე დამყარებული კლუბი, რომელმაც მიზნად უნდა დაისახოს მუშების საწარმოო აღზრდა პროფმოძრაობის და ლენინიზმის საფუძვლების შესწავლა.

არაა საჭირო ცალკე კავშირებისაგან კლუბების რიცხვის გადიდება, უნდა მოხდეს კლუბების შემჭიდროება და მათი უზრუნველყოფა შესაფერი სახსრით, მოწყობილობით და კულტმომუშავეთა კადრით. ხარჯების შესამცირებლათ უნდა შემოღებული იქნეს კლუბის ნებაყოფლობითი თვითმოვლის პრინციპი. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს კლუბების ორგანიზაციას პროვინციაში, სადაც საკლუბო მუშაობა მოისუსტებს.

ბიბლიოთეკები, რომელნიც საკლუბო მუშაობის ნაწილს შეადგენენ უნდა შეიძინონ შესაფერი ლიტერატუ-

პროფპროპაგანდა.

პროფმოძრაობის შესასწავლად საჭიროა მოეწყოს სისტემატიური ლექციები, მოხსენებები, პროფდღეები, სასამართლოები, დისპუტები და პროფწრეები და მოიხსნას პროფმოძრაობის კურსები.

მომხსენებელი სთვლის რა უპირველეს მნიშვნელობის საკითხად კულტმუშაობის გაძლიერებას სოფლად, საჭიროდ მიაჩნია პირველ რიგში წერაკითხვის უცოდ. ლიკვიდაცია, ღარიბ გლეხობაში კულტმუშაობის გაღრმავება, სოფლის მასწავლებელთა კულტ. მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რისთვისაც სოფლად უნდა მოეწყოს წითელი კუთხეები, მოძრავი ბიბლიოთეკები, და გაუმჯობესდეს სამკითხველო-ქოხების მუშაობა პრო-კავ. წევრების ყველა კულტურულ ძალთა დახმარებით.

სასკოლო საქმე.

სასკოლო საქმეში უნდა შემცირდეს ჰუმანიტ. სასწავლებელთა რიცხვი, რომლის ნაცვლად უნდა გაიხსნას სასოფლო-სამეურნეო, პროფტექნიკური, საფაბრიკო-საქარხნო, სამრეწველო-ტექნიკური სასწავლებლები. ანბანის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ წევრთა შორის 35 წლამდე, კავშირებმა აქტიური დახმარება უნდა აღმოუჩინონ სათანადო ორგანოებს. პროფესიონალ-ტექნიკურ განათლების გასავრცელებლად ფინანსიურ-ორგან. უნდა უზრუნველჰყონ საქარხნო სკოლები და პროფეს. კურსები. უმაღლეს სასწავლებლის გაპროლეტარებისათვის უნდა შეივსოს მუშფაკებზე მომზადებული მუშებით, რომელთაც სახელმწიფომ უნდა გაუმრავლოს და გაუდიდოს სტიპენდიები.

დასასრულს მომხსენებელი ეხება მუშაობას პიონერთა შორის, გამომცემლობის და კულტმუშაობის მატერიალურ საშუალებებს.

თეზისების გამოსამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია.

დონ მშვიდობიან ეკონომიურ მუშაობას.

17

ს. ს. რ. კ-ის და კერძოდ საქართველოს მიღწევანი ეკონომიურ დარგში საწინდარია წარმოების საბოლოო აღდგენისა და გაფართოებისა.

აღნიშნული ამოცანის გადაჭრა, რომელიც სდგას ს. ს. რ. კ-ის მუშათა კლასის წინაშე, შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური დაგროვების, დოვლათის დაგროვების მიღწევით. ეს უკანასკნელი კი შესაძლებელია მუშაობის პირობების გაუმჯობესებით და მისი რაციონალიზაციით და შრომის ნაყოფიერების და სამუშაო ხელფასს შორის წონასწორობის დამყარებით.

სამუშაო ხელფასის ზრდა რომელმაც მიაღწია ომამდე არსებულ ხელფასის 62 პროც. წინააღმდეგ შრომის ნაყოფიერების ნელი ზრდისა — 30 პრ. ხელს უშლის და შეუძლებლად ხდის კაპიტალის დაგროვებას, საფრთხეში აგდებს იმავე დროს ჩვენს მიღწევებს, ქალაქისა და სოფლის ეკონომიურ დაკავშირების და ფულის რეფორმის საქმეს.

ამიტომ საკითხი შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ არის საკითხი ჩვენი მრეწველობის არსებობისა და განვითარების, მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისა, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ შრომის ნაყოფიერების გადიდებით და მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებით.

შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში უნდა მიიღოს მონაწილეობა მუშათა მთელმა მასსამ.

ს. ს. რ. კ-ის მუშათა კლასის 7 წლის ბრძოლა მოწმობს იმას, რომ შესაძლებელია მრეწველობის ახალი ორგანიზაციის შექმნა შრომის ნაყოფიერების გადიდების ნიადაგზე.

18.

შრომის ნაყოფიერების ზრდას პირველ ყოვლისა მოითხოვს მუშათა კლასის გლეხობასთან დაკავშირების საქმე ნაწარმოების გაიაფებით.

ქალაქის ამოცანაა მიაწოდოს სო-

საძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, უკეთუ მრეწველობის აღდგენას და წარმოების გაფართოებას ყოველმხრივ ხელს შეუწყობს კოოპერაცია, რომლის მორიგი ამოცანაა გაიკაფოს გზა სოფლისაკენ.

საჭიროა გლეხთა ჩაბმა კოოპერაციაში, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტებში, რომელნიც დღეს აფართოებენ თავის მუშაობას და სხვა მასიური საზოგადოებრივი ორგანიზაციებში — საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება, რემედასსი და სხვ.

საქართველოს მშრომელთ უნდათ არა ევროპის კაპიტალისაგან დამოკიდებული „დამოუკიდებელი საქართველო", არამედ თავის მშვიდობიან ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში დამოუკიდებელი საქართველო, რომელსაც ხელს შეუწყობს ეკონომიურად და პოლიტიკურად ძლიერი ს. ს. რ. კავშირი.

19.

საქართველოს მშრომელნი იზეიმებენ დიდი ოქტომბრის რევოლიუციის უკვე მე 7 წლის თავს.

ბურჟუაზია და მენშევიკები ხმა მაღლა გაიძახოდნენ — საბჭოთა ხელისუფლება მალე დაიღუპებაო. 7 წელიწადია საბჭოთა ხელისუფლება სდგას, როგორც სალი კლდე, რომელმაც მოიგერია ყველა შინაური და გარეშე მტრები.

ს. ს. რ. კ—ის თანდათანი გაძლიერება, დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობის თანდათანი გაღრმავება საწინდარია დიდი ოქტომბრის ჩქარი და საბოლოო გამარჯვებისა მთელ მსოფლიოში.

კაპიტალისტური ქვეყნები სისწრაფით მიექანებიან უფსკრულისაკენ.

მუშათა კლასი სოციალისტური მშენებლობის ახალი ხნის შესავალთან სდგას.

ხვალინდელი დღე — მუშათა კლასის გამარჯვების და ზეიმის დღეა.

ს. ქ. პ. ცეკას სააგიტ. საპროპაგანდო განყოფილება.

პარტიული ცხოვრება

კომკავშირის ძირითადი ამოცანები სოფლად

ჩვენი საყვარელი ბელადი ილიჩი, სხვათა შორის ამბობდა: „კომკავშირელი კაპიტალიზმის აქტიური მებრძოლია, მხოლოდ ამასთანავე კომუნიზმის მშენებელიც"-ო.

ილიჩის ეს სიტყვები ახალგაზრდათა გვარდიამ დღეს კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა გაამართლოს, თუ მას სურს ღირსი იყვეს ლენინელთა კომკავშირის სახელწოდებისა.

კომკავშირი ახალი ყოფა-ცხოვრების და საზოგადოებრივი პრინციპების მატარებელია, ის ახალი ისტორიის შემომქმედია. ის თავგამოდებული მებრძოლია ბნელეთის და ძველი სამყაროს წინააღმდეგ. კომკავშირის გზაა — ლენინიზმით ხელში ლენინის დროშის ქვეშ.

და აი კომკავშირის ძირითადი ამოცანებიც სოფლად საერთოდ და მთლიანად სწორედ ამაზე ემყარება და გამომდინარეობს.

როგორც ვიცით, კომკავშირის როლი სოფლად კულტურული მუშაობის სფეროში, — მეტად დიდია. უნდა ითქვას, რომ ის იქ ძირითადი კულტურული ფაქტორი და ძალაა.

მაგრამ, კონკრეტიულად, რაში უნდა მდგომარეობდეს კომკავშირის კულტურული მუშაობა სოფლად?

დავიწყოთ სოფლის ინტელიგენციიდან.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც სოფლის ინტელიგენციამ საერთოდ პირი იბრუნა ჩვენსკენ. მათ მიიღეს საბჭოთა პლატფორმა და ხელი აიღეს არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე. ეს მომენტი უთუოდ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში და საჭირო არის სოფლის ინტელიგენცია სავსებით იქნას გამოყენებული და ჩაბმული სოციალისტურ აღმშენებლობაში. აი ამ მხრივ კომკავშირმა უნდა იკისროს ეს ინიციატივა. დღეს-დღეობით კი, როგორც ვიცით, მდგომარეობა არ არის მაინცდამაინც სახარბიელო. სოფლის მასწავლებელთა რიცხვის, რომლებიც გამოყენებული არიან კომკავშირის მიერ, დღეს შეიძლება თითებზე ჩამოთვლა.

ამხ. ზინოვიევი ერთ-ერთ თავის სიტყვაში, სხვათაშორის ამბობდა „კომკავშირისათვის მასწავლებელი არის ის, რაც ინჟინერი მეღითონეებისათვის... საჭიროა, რომ მასწავლებელი გარდავაქციოდ იმ იარაღად, რომლის საშუალებით ჩვენ შევეძლება განვახორციელოთ ის დიდი ამოცანები, რომლებიც სდგას კომკავშირის წინაშე"-ო.

აქ სავსებით გარკვეულია სოფლის ინტელიგენციის როლი ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ილიჩის ანდერძიც, რომელიც ყოველთვის ამბობდა იმას, რომ სახალხო მასწავლებელი უნდა დავაყენოთ ისეთ სიმაღლეზე, რომელზედაც ის არას დროს არ იდგაო.

ჩვენი პროვინციის ორგანიზაციებმა უნდა დაიჭირონ მჭიდრო კავშირი სოფლის ინტელიგენციასთან. ჩვენ უნდა შევსძლოთ, და ამას ჩვენ კიდეც შევსძლებთ, რომ მასწავლებელი გარდავაქციოთ ლენინელთა კომკავშირის იმ იარაღად, რომელიც ქმნის ახალს სოფელს, ახალს ქვეყანას.

აი ეს არის ერთი მთავარი პირობა სოფლად მუშაობის გასაჩაღებლად.

კერძოდ კომკავშირის სოფლად კულტურულ მუშაობის ერთ ძირითად მომენტს შეადგენს წერა-კითხვის უცოდინართა და მცირე-მცოდნეთა წინააღმდეგ ბრძოლა.

ილიჩმა ამ ამოცანის განხორციელება დააკისრა სპეციალურად კომკავშირს და მან ეს კიდეც პირნათლად უნდა შეასრულოს. ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე არ უნდა იყვეს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი.

ამ მიზნით კომკავშირის ინიციატივით ჩვენი სოფელი უნდა დაიქსელოს წერა-კითხვის უცოდინართა წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოებებით, სადაც მიზიდულ და ჩაბმულ უნდა იქნან მშრომელთა ფართე მასები.

მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ შემდეგიც. როგორც ვიცით ამხ. ტროცკიმ კომკავშირის წინაშე დასახა ორი ამოცანა: „კომკავშირელმა უნდა ისწავლოს და ასწავლოს სხვასაც"-ო.

თუ კომკავშირელი ჯერ თავის რიგებში ვერ აღმოფხვრის წერა-კითხვის უცოდინარობას და თვით ვერ ისწავლის, ის, რასაკვირველია, ვერაფერს ასწავლის სხვასაც. ეს კარგად უნდა ახსოვდეს თვითეულ კომკავშირელს.

მეორე მომენტი, რომელსაც უნდა მიექცეს კომკავშირის მხრივ განსაკუთრებული ყურადღება — არის ქოხ-სამკითხველოები.

ქოხ-სამკითხველოები სოფლად უნდა გარდაიქცნენ პოლიტგანმანათლებელ ცენტრებად, სადაც უშუალოდ და აქტიურად უნდა ჩაბმული იქნან მშრომელი მასსები და სადაც უნდა შუქდებოდეს ყოველგვარი საჭირბოროტო ხასიათის საკითხები. აი აქ კომკავშირმა უნდა გამოიჩინოს თავისი ენერგია, ცხოველმყოფელობა, ინიციატივა, რომ გააჩაღოს გლეხურ მასსებს შორის თავისი მუშაობა.

არა ნაკლებ სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს აგრონომიულ პროპაგანდის საქმესაც. აგრონომიუ-

კომკავშირის სოციალურ-პოლიტიკური მუშაობის ერთი მთავარი და პირველ ხარისხოვანი საკითხთაგანია. და ეს მით უმეტეს, რომ ჩვენი ქვეყანა სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა.

სოფლის კომკავშირის ორგანიზაციებმა ყველა მსხვილ და ძლიერ იაჩეიკებთან უნდა დააარსონ სასოფლო-სამეურნეო წრეები. გლეხი ძველი მამა-პაპური, პრიმიტიული წესით ამუშავებს თავის საკუთარ მეურნეობას; ეს უნდა აღმოვფხვრათ სწორედ ამ სასოფლო-სამეურნეო წრეების დაარსებით. აქ, რასაკვირველია, საჭიროა აგრონომების ამოძრავება, ამოქმედება. კომკავშირის ინიციატივით ეს დაბრკოლებაც სავსებით დაძლეული უნდა იქნას.

სხვათა შორის, აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხშირად ჩვენი სოფლის კომკავშირის ორგანიზაციებს თავიანთი ანტირელიგიოზური პროპაგანდით მოაქვთ დიდი ზიანი პარტიისათვის

ამ მდგომარეობას უნდა მიექცეს სოფლის კომკავშირის ორგანიზაციების მიერ განსაკუთრებული ყურადღება.

ცხადია, საჭიროა ერთი დაუფიქრებელი, უხეში ნაბიჯი ანტირელიგიოზურ პროპაგანდის პროცესში, რომ მან უთუოდ დიდი ზიანი მოიტანოს, ვინემ პირდაპირმა კონტრრევოლიუციამ.

ანტირელიგიოზური პროპაგანდა დღეს ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ უნდა განსაზღვროთ მით, რომ გლეხებთან ლაპარაკის, საუბრის დროს მათ მატერიალისტურად უნდა აუხსნათ ბუნების და ისტორიის მოვლენები, მეცნიერება და ბუნებისმეტყველება დაუპირისპიროთ რელიგიას, ცრუმორწმუნეობას და არა იმით უნდა განვსაზღვროთ ამ მიმართულებით მუშაობა, რომ გლეხობას, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვთ სურვილი ეკლესიებში სიარულისა, ეს აღუკრძალოთ, ანდა ეკლესიებში წირვის და ლოცვის დროს მოვახდინოთ ხმაური, დებოში და სხვა, — რომლებიც შედეგად იწვევენ გლეხების გაბოროტებას და აპატიას საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

ანტირელიგიოზურ პროპაგანდის შესახებ პარტიის 13-ე ყრილობის მიერ მიღებული რეზოლიუცია კომკავშირმა სავსებით და მთლიანად უნდა განახორციელოს.

რასაკვირველია, კომკავშირის ეს ძირითადი ამოცანები უშუალოდ დაკავშირებულია ჩვენი სოფლის კომკავშირის ორგანიზაციების შინაურ მდგომარეობასთან.

საქართველოს ა. ლენინელთა კ. კ. ცენტრალურ კომიტეტის უკანასკნელ პლენუმმა, როგორც ვიცით, კიდეც აღნიშნა მიზეზები ჩვენი კავშირის სოფლად მუშაობის სისუსტისა და ამასთანავე გამონახა ის ღონისძიებებიც, რომლის საშუალებით შესაძლებელი უნდა გახდეს ამ მუშაობის გაუმჯობესება და გაძლიერება.

ამჟამად სოფლად არ არის აქტივი. მხოლოდ ისინი, რომელნიც კი იყვნენ, გამოეშურენ ქალაქებისაკენ სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად. ეხლა სოფელი ობლად მიტოვებულია.

ამის შესახებ ახალგაზრდათა ცეკას პლენუმმა კიდეც დაადგინა: ქალაქის აქტივის ნაწილის სოფლად გადასროლა, მხოლოდ ამასთან პარალელურად ადგილობრივად კურს-ყრილობების ხშირ-ხშირი მოწვევა, სადაც მონაწილეობას მიიღებენ სოფლის იაჩეიკების მდივნები და ბიუროები, რომ მით შესაძლებელი გახდეს ადგილობრივადვე აქტივის შექმნა, აღზრდა, მათი დარაზმვა.

რასაკვირველია, ამ ღონისძიებებით ჩვენ მივაღწევთ საგრძნობ შედეგებს.

მაგრამ მარტო ეს დადგენილება არ კმარა. საჭიროა სიტყვას საქმე მოყვეს.

მხოლოდ ამასთანავე უნდა ვსთქვათ, რომ სოფლის კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობის გაცხოველებაში დიდ და განსაკუთრებულ როლს ითამაშებს აგრეთვე ლიტერატურის მიწოდებაც.

წიგნი სჭირია სოფელს, — და ჩვენც ამ მხრივ უნდა მივეგებოთ მას და აღმოუჩინოთ სათანადო დახმარება.

შ. ა—ძე.

გერმანიის ახალგაზრდათა კომკავშირი

როგორც ბურჟუაზიული, აგრეთვე უმთავრესად სოციალ-დემოკრატიული პრესა ავრცელებს ხმებს საქართველოში მომხდარ „აჯანყების" შესახებ. მოწინააღმდეგეთა სიტყვით, თითქოს მთელი საქართველო აჯსდგა და საბჭოთა მთავრობა კიდევ განაგრძობს თავის არსებობას მხოლოდ ძალადობისა, საშინელებისა და ტერორის საშუალებით. სოციალ-დემოკრატიული გამყიდველები ცივილიზაციის სახელით მოითხოვენ დახმარებას საქართველოსათვის ბოლშევიკურ ტერორის წინააღმდეგ. ის მატყუარები, რომლებიც ნებას აძლევენ გერმანიის ციხეების ჯურღმულებში ჰყავდეთ გამომწყვდეული პროლეტარიატის 7 ათასი საუკეთესო მებრძოლი, რომელთა შორისაც 2.000 ახალგაზრდაა, ის სოციალ-დემოკრატი მინისტრები, რომელთაც ამოჟლიტეს გერმანიაში 2.000 პროლეტარი, მოითხოვენ ქართველი ხალხისთვის დახმარებასა და განთავისუფლებას.

გერმანიის ახალგაზრდათა კომკავშირს არა სჯერა ეს ყალბი ცნობები ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესის მიერ მოჭორილი ცნობები საქართველოში მომხდარ „აჯანყების" შესახებ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. თქვენ მიერ გამოგზავნილი ცნობებიდან აშკარათა სჩანს, რომ საქართველოში მომხდარი ამბები წარმოადგენენ **მენშევიკების ავანტიურისტულ გამოსვლას.**

თქვენ ადვილათ და სწრაფად მოიგერიეთ მენშევიკების „იერიში". ჩვენ გერმანიის ახალგაზრდათა კომკავშირი, მტკიცედ ვართ დარწმუნებული თქვენს ძლიერებაში. ჩვენ ვიცით, რომ კომკავშირს, პარტიის და საბჭოთა ხელისუფლებას მოხვეჭილი აქვს ნდობა მთელი ქართველი ხალხისა.

ჩვენ აღვითქვამთ, რომ შემდეგშიაც ვიმუშავებთ მთელი ჩვენი ძალ-ღონით და მოვახდენთ რევოლიუციას მთელს გერმანიაში.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას!

ახალგაზრდული კომუნისტური სალამით: **ერნსტ ვანდერერ, ფრიც ბრეილ, ალფრედ გინტლერ, ფრანც ფუქს.**

სოფ. ხრეითის კომუჯრედში

(შორაპნის მაზრა)

ა | წ. 5 ოქტომბერს შესდგა ხრეითის თემის კომუჯრედის და კომკავშირის გაერთიანებული კრება საბჭოს წევრების თანდასწრებით. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. პ. მიხეილიძე, მდივნად კი მიხა სოფრომაძე. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის მიერ საჩუქრად გამოგზავნილი დროშის და ქვაციხის თემში რაიკომის დაარსების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გაკეთებულ იქნა ამხ. პ. მიხეილიძის მიერ, რომელმაც ვრცლად აღნიშნა ხრეითის თემის კომუჯრედის მუშაობა მენშევიკ-ავანტიურისტების გამოსვლების დროს და, თუ როგორ გმირულად იბრძოდა ეს უჯრედი მათ წინააღმდეგ, რის გამო პარტიის ცეკამ საჩუქრად გამოუგზავნა მას წითელი დროშა.

მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ფიცს ვსდებთ, რომ ჩვენ ამ ნაჩუქარ დროშას არასოდეს ძირს არ დავხრით და ყოველთვის ვიქნებით ამ დროშის ქვეშ დარაზმული ისე, როგორც ეს შეშვენის მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს".

მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ჭიათურის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კ. გამეზარდაშვილი. ის თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ, ვინაიდან ქვაციხის თემი ითვლება ერთ უდიდეს ცენტრად, რომლის გარშემო თავს იყრის მრავალი წვრილი თემები და სოფლები და ამასთანავე ისინი მოწყვეტილნი არიან მაზრას და რაიონს, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რაიკომის დაარსება ქვაციხის თემში.

ამის შესახებ კრებამ კიდეც მიიღო ერთხმად შემდეგი დადგენილება: „ეთხოვოს ვისაც ჯერ არს, რათა დაარსებულ იქნეს რაიკომი ქვაციხეში".

მ. სოფრომაძე.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ელექტრო-მექანიკური ქარხნის („თემქის") კომკავშირის უჯრედში

„თემქის" კომკავშირის უჯრედში წევრთა რიცხვი 45 კაცამდე აღწევს. მათ შორის 20 ადგილობრივად ქარხანაში მომუშავენია, დანარჩენი 25 კაცი კი მომაგრებულია სხვადასხვა დაწესებულებებიდან. წევრები კრებებს ესწრებიან სისტემატიურად. უჯრედზე პასუხისმგებელ ინსტრუქტორად რაიკომიდან არის მომაგრებული ამხ. არტამ გეურქოვი. იაჩეიკის ბიურო თვითეულ წევრს აძლევს მასალას ამა თუ იმ საკითხის შესახებ და ავალებს მათ მოხსენებების გაკეთებას და მართლაც, თვითეული უჯრედის წევრი სათანადო მომზადების შემდეგ, სისტემატიურად აკეთებს მოხსენებას, რომლის გარშემო იმართება გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლაც.

კულტურული მუშაობა უჯრედში კარგად არის დაყენებული. მუშაობენ დრამატიული წრეები, როგორც რუსულად, ისე ქართულად. მხოლოდ კლუბის სიპატარავის გამო ჩვენ გვიხდება ისეთი პიესების დამზადება, რომლის დადგმა შეიძლება მხოლოდ პატარა სცენაზედ. კარგი იქნებოდა ამისათვის მიექცია ყურადღება როგორც ქარხნის ადმინისტრაციას, ისე კომუჯრედს, რათა გაგვედიდებინა დარბაზი, ან და კლუბი გადაგვეტანა უფრო მოხერხებულ ადგილას, რომ მით მუშებისათვის დაგვედგა რო-

რელიგიოზური ხასიათის წარმოდგენები. მით უმეტეს, რომ ამისათვის ჩვენ ახალგაზრდებში მოგვეპოვება შესაფერისი ძალები.

ჩვენს უჯრედს გამოყოფილი ჰყავს აგრეთვე ერთი ამხანაგი ადგილკომში, რომელიც იცავს ახალგაზრდების ინტერესებს. გვაქვს მჭიდრო კავშირი კომუჯრედთანაც. ჩვენი კავშირის წევრები თითქმის ყველა კომუჯრედების სხდომებს ესწრებიან. კომუჯრედთან ერთად აღებული გვაქვს საშეფოდ სოფელი ქვემოჭალა, სადაც სისტემატიურად მივემგზავრებით და ვაწვდით ლიტერატურას, გაზეთებს და სხვა. უკანასკნელად ახალგაზრდათა საერთაშორისო დღესასწაულის ჩატარების დროს ჩვენმა უჯრედმა ამ დღის აღსანიშნავად გაუგზავნა ქვემოჭალის ახალგაზრდობას დროშა.

დროშის გადაცემას ადგილობრივი კომკავშირელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უჯრედს ამ ახლო მომავალში აქვს მიზნად დასახული დააარსოს ქვემოჭალაში ახალგაზრდა ბავშვთა ორგანიზაცია „სპარტაკი", რომლის ხელმძღვანელად განზრახული გვაქვს „თემქიდან" გავგზავნოთ ჩვენი უჯრედის ერთი წევრი. ამ გზით ჩვენ უფრო მეტად განვამტკიცებთ ჩვენი საშეფო სოფლის ახალგაზრდობასთან კავშირს.

ა. მეუნარგია.

მუშათა ცხოვრება

რკ. გზის მუშათა ფაკულტეტში

რკ. გზის მუშათა ფაკულტეტი არ არის დიდი ხნის დაარსებული. ის ჯერ წერა-კითხვის უცოდინარობის მომსპობი პუნქტი იყო. მხოლოდ მიმდინარე წლის მარტის თვიდან მას დაერქვა სახელად „რკ. გზის მუშათა ფაკულტეტი". უკვე მეორე სამოსწავლო წელია, რაც აღნიშნული მუშფაკი შეუდგა სისტემატიურ მეცადინეობას და ამ ხნის განმავლობაში მან საკმაო რიცხვი მსმენელების აღზარდა და დააყენა განათლების სათანადო დონეზე. გასულ წელს მუშფაკს ჰყავდა ბევრი წერა-კითხვის უცოდინარი მუშა-მსმენელი, მაგრამ ისინი იმყოფებიან 1-ლ და მე-2-რე ჯგუფებში, რომელიც უდრის ძველი გიმნაზიის მესამე და მეხუთე კლასს.

წელს რ. | გ. მუშფაკში სისტემატიური მეცადინეობა დაიწყო 7 ოქტომბრიდან. ახლად მიიღეს 70-მდე მუშები, რომლების სიხარულსაც საზღვარი არა აქვს. სწავლა მიმდინარეობს უფრო გაფართოებული პროგრამით, ვიდრე გასულ წელს. მხოლოდ მუშფაკს აქვს რამოდენიმე ნაკლი, რომელიც უნდა გამოსწორდეს.

გასულ წელს ჩვენ გვქონდა დაარსებული ლენინის წრე, სადაც კვირაში ორჯელ ვმეცადინეობდით, მაგრამ წრეულს ეს არ არსებობს.

საჭიროა წრის განახლება და კარგი ხელმძღვანელის გამოძებნა. საერთოთ მუშფაკისთვის კი საჭიროა შემდეგი:

1) **მუ ფაკი უნდა გაიწმინდოს** არა მუშურ ელემენტებისაგან, თორემ აქ ბევრია კანტორის მოხელეები და მუშები კი არიან დარჩენილები და ალაგს ელოდებიან.

2) საჭიროა კლუბის შეკეთება, სადაც შესაძლებელი იქნება მოეწყოს ხშირად წარმოდგენები და ლიტერატურული გასამართლებანი.

3) **საჭიროა „ლენინის კუთხის"** დაარსება, რევოლიუციის ბელადების სურათების ჩამოკიდება ყოველ ჯგუფში.

4) წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება. კურსკომმა და კომუჯრედმა უნდა მიიღონ ზომები ამ საქმის მოსაგვარებლად.

მუშკორი **ვანა.**

მღვდელი-მემანქანე

ამას წინედ ვიმგზავრე კახეთში — სად. გურჯაანში, იქვე გლეხები ხილს ყიდდენ. ამ დროს მოვიდა მემანქანე, რომლის გვარი, საუბედუროდ არ მემახსოვრება.

გლეხებს აუტყდათ ჩუმი სიცილი.

მე განვცვიფრდი და ვკითხე, თუ რად იცინოდენ ისინი. მათ მომიგეს, რომ ეს მემანქანე ნამღვდლარიაო. მემანქანეც მიხვდა, რომ მასზე იცინოდენ და სთქვა გაწითლებულმა შემდეგი: „ჩემი რა ბრალია, რომ მამაჩემმა მღვდლობა მასწავლაო. აგერ მხედავთ, რომ, როდესაც მივხვდი, რომ ჩვენი ხელობა მშრომელი მასას არ გამოადგება, კიდეც თავი გავანებე და პატიოსან შრომას მივყევი ხელიო. ამით დაამთავრა მან თავისი საუბარი.

მართლაც, მე შევიტყვე, რომ მას ადრე გაენებებინა მღვდლობისთვის თავი.

სხვათა შორის ეს მემანქანე აგრონომიულ ნაწილზედაც ნასწავლი ყოფილა და გლეხებს ჩემ თვალწინ ასწავლა ბევრი წვრილმანი რამეები. მაგალითად: ხილის გაჩირვა, მისი შენახვა როგორც ხმელის, ისე ნედლი ხილის.

მაშინ გლეხები დარწმუნდენ, რომ ის ნამდვილად არის მათი კეთილი ამხანაგი და სერიოზულად დაუწყეს მას ლაპარაკი.

მუშის შვილი **კოტე სვანიძე.**

ასეთი მუშები მადლობის ღირსნი არიან

1-ლ კბილის ამბულატორიაში საქმე ძლიერ კარგათ აქვთ მოწესრიგებული. მოსაცდელი ოთახი კარგად არის მოწყობილი, სადაც მოთავსებული არის „ლენინის კუთხე" და ჟურნალ-გაზეთებიც მუდმივ არის, რითაც ავადმყოფს საშუალება ეძლევა წაიკითხოს გაზეთები.

თვით ექიმებს ეტყობათ უნარიანი მუშაობა და, რაც მთავარია აქ ვერც ერთი პიროვნება პრივილეგიას ვერ მიიღებს, ვინც არ უნდა იყვეს ის. აგრეთვე ავადმყოფებისათვის მთავარი არის კარგი მოპყრობა და მეც სწორედ გაოცებული ვარ ამ მხრივ. ჩემი დღე სულ ავადმყოფობაში გავატარე და თითქმის ყველა საავადმყოფოები დავლილი მაქვს, მაგრამ ასეთი კარგი მოპყრობა და მზრუნველობა ავადმყოფზე მე ჯერ არ მინახავს. ყოველი ავადმყოფის გული გახარებულია. ამხ. ეჯიბოვა დიდი მადლობის ღირსია თავისი სამი ამხანაგით. კარგი ზრუნვა და იმედი ავადმყოფისათვის უდრის მის განკურნებას. ბედნიერია ის ავადმყოფი, ვინც ასეთი საბჭოთა მუშაკების ექიმების ხელში მოხვდება.

ჯანმრთელობის განყოფილებავ, რიგი შენზეა და ვნახოთ, როგორ შეაფასებ მათ მუშაობას!

პარტკურსანტი **ლ. სალაძე.**

ეს სასადილო ვერ სდგას თავის სიმაღლეზე

(მუშკოოპის და გემოკვების კავშირის საყურადღებოდ).

ბევრი ამხანაგები სადილობენ წითელ სასადილოში, განსაკუთრებით კი „შამპანის" სასადილოში. რაც შეეხება სადილს იგი არც ცუდია და არც მაინც და მაინც კარგი.

სადილის მოტანაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ვიდრე მოვა ქალი და გეკითხებათ, თუ რა სადილი გინდათ, უნდა იცადოთ 1 საათი, მერე გავა კიდევ რამდენიმე წუთები. მუშას ჰგონია: აი ეს არის სადილი მოიტანაო, მაგრამ ამაოდ, ქალს მოაქვს ცარიელი ქურჭელი. ბოლოს და ბოლოს მუშას სწყინდება ამდენი ლოდინი და გაჯავრებული ხდება თავი დაანებოს სადილს და წავიდეს. არის კიდევ ასეთი შემთხვევები. მოაქვთ სადილი, ხორცი არ არის შიგ. სხვა წითელი სასადილოებში სადილი ორ კერძით ღირს თავის პურით 50 კ. რაც შეეხება სადილის მომზადებას სხვა სასადილოებში, იქ უკვე 2 საათ.ზე სადილი მზად არის, მაგრამ „შამპანის" სასადილოში ხან 3 საათზეც არ იხარშება ხოლმე კერძები. არის კიდევ ბევრი სხვა დეფექტებიც. საჭიროა ამათი გამოსწორება დაუყოვნებლივ.

მუშკორი **ი. ჯ.**

კალატოზი აფერისტი

(პროფკავშირთა საბჭოს საყურადღებოდ)

თბილისში მუშაობდა კალატოზი, ვინმე მისაკ ბაბაევი, რომელიც ითვლებოდა აღმშენებელთა კავშირის წევრად. მან ბოროტად გამოიყენა კავშირის წევრობა: ეწეოდა სპეკულიაციას და შრომის ექსპლოატაციას, რის გამო ის იყო მიცემული პასუხისგებაში შრომის და სახალხო სასამართლოს წესით.

ბაბაევი გაექცა საბჭოთა სამართალს. გაემგზავრა ფოთში, სადაც ჩაეწერა კიდევ აღმშენებელთა კავშირში. მაგრამ უფროსმა ინსპექტორმა ამხ. მუქერამ მალე შეუტყო მას მისი ოინები, შეუყენა ოქმი და მისცა პასუხისგებაში.

აფერისტი კალატოზი ჩუმად გაიპარა ფოთიდან და კვლავ გაექცა მუშათა სამართალს. მისი საწევრო წიგნაკი ითვლება გაუქმებულად. მასთან ვსთხოვთ ყველა კავშირებს, **რათა მისაკ ბაბაევი, როგორც გაუსწორებელი სპეკულიანტი და ბოროტმოქმედი არ იქნეს ჩარიცხული არც ერთ კავშირში.**

ფოთის აღმ. მუშ. კავშირის

პასუხისმგებელი მდივანი.

მოგვეცით წყალი თავის დროზე!

(წყალსადენის საყურადღებოდ)

ანტონოვის ქუჩაზე სახლი № 7-ში სცხოვრობს უმეტესობა მუშა-მოსამსახურეებისა და დიდ გაჭირებას განიცდიან უწყლობის გამო. ზაფხულში წყალი იხარჯებოდა სხვადასხვა ბაღების მოსარწყავად და მე-2-ე და მესამე სართულებში სრულებით არ ამოდიოდა. მაგრამ ეხლა რა უშლის ხელს? ეხლა ხომ არ ირწყვებიან ბაღები და მტკვარიც ძალიან მომატებულია? საუბედუროდ წყალი მაინც არ მოდის. თუ მოვა მხოლოდ ღამის 12 საათიდან დილის 6 საათამდის და მერე ისევ დაიკეტება. ეს ძალიან ხშირად ხდება. წყალსადენის დირექციავ, ამ სახლში იმყოფებიან საბჭოთა მოსამსახურეები, ნუ დაგვტოვებთ უწყლოდ!.

მუშკორი **ც—ია.**

მოგვაშორეთ ძაღლები!

(მე-9 უბნის მილიციის საყურადღებოდ)

ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ყოფილ ყორღანოვის ეზოში თითქმის თითოეულ მდგმურზე თითო ძაღლი იქნება. ნეტავ, რას უკეთებენ ამ ვაჟბატონებს ეს ძაღლები. ამ ზაფხულზე იყო ასეთი შემთხვევა: მივდიოდი ამხანაგთან, ამ დროს უეცრათ გამოხტა ბატონ სტარიკოვსკის ძაღლი, მკბინა ფეხზედ და ფეხსაცმელის ყელი გამიხია. კიდევ კარგი რომ ყელიანი ფეხსაცმელით ვიყავი, თორემ თქვენი მტერია, მე ის დამასახიჩრებდა. ასეთ შემთხვევებს აქ ხშირად აქვს ადგილი. საჭიროა ეს ვაჟბატონები თავიანთ ძაღლებიანად აღაგმოს ჩვენმა მილიციამ.

მუშკორი **წყაროსთაველი.**

ა.-კ. რესპუბ. საჰაერო ფლოტის მეგობ. საზ-ბის წარმომადგენელთა თათბირი

ა | კავ. რესპუბლიკათა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებების თათბირი შესდგა 23 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე.

დღის წესრიგში იდგა: 1) საჰაერო ფლოტის მიღწევები, 2 ა | კ. ს. ფ. მ. ს. პრეზიდიუმის მოხსენება და 3) მოხსენებები ა | კ. რესპუბლიკებიდან.

საჰაერო ფლოტის მიღწევები

საჰაერო ფლოტის მიღწევებზე მოხსენებას კითხულობს საქ. საჰაერო ფლოტის უფროსი ამხ. მაჭავარიანი, რომელიც ეხება ავიაციის მდგომარეობას მის დასრულების პირველ წლებში და უკანასკნელ პერიოდში. აღნიშნავს რა საჰაერო ტექნიკის გაუმჯობესების სისწრაფეს, მომხსენებელი დაასკვნის, რომ დღევანდელ პირობებში, იმდენად მნიშვნელობა არ აქვს მატორების და აპარატის გაუმჯობესებას, რამდენად საავიაციო ინდუსტრიის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას, რომლისაკენაც უნდა იქნეს მიქცეული საბჭოთა რესპუბლიკების მთავარი ყურადღება. ეხება რა საავიაციო მრეწველობას საბჭოთა კავშირში, მომხსენებელი აღნიშნავს საავიაციო ინდუსტრიის მნიშვნელოვან წარმატებას, რაც გამოიხატა საკუთარი სამატორო ქარხნების შექმნაში, სადაც მზადდება მოტორები უკანასკნელ ტექნიკურ მიღწევების თანახმად.

ამხ. მაჭავარიანის მოხსენება მიღებულ იქნა ცნობად.

ა.-კ. ს. ფ. მ. საზ-ბის მუშაობას და საორგანიზაციო საკითხები

(მომხსენებელი ამხ. პუგაჩევი)

ა | კ. ს. ფ. მ. საზოგადოების პირველი საორგანიზაციო კრება მოხდა 1923 წლის ივლისში. აქედან იწყება საზოგადოების საქმიანობაც. ამ ხნის განმავლობაში — 14 თვეში საზოგადოებამ გააერთიანა დაახლოებით 60—70 ათასი წევრი და თავის გარშემო შემოკრიბა ს. ფ. მ. საზ—ბის 54 უჯრედი. ცალკე რესპუბლიკების მიხედვით საზოგადოებას ჰყავს წევრები შემდეგი რაოდენობით: საქართველოში — 30—35 ათასი, აზერბეიჯანში — 25—30 ათასი და სომხეთში 5 ათასამდე. საქართველოში საზოგადოების მიერ შეგროვილ იქნა სულ 42 ათასი. ამ თანხიდან შეძენილ იქნა ერთი თვითმფრინავი „ილიჩის" ესკადრილიისათვის და შენდება კიდევ ერთი თვითმფრინავი. ამჟამად საქ. საზ-ბის სალაროში ირიცხება 6 ათასი მანეთი, აზერბეიჯანში დაგროვილ იქნა 52 ათას მანეთზე მეტი. ამ ფულის უდიდესი ნაწილი გადაგზავნილ იქნა ცენტრში ჰაეროპლანის შესაძენად. სომხეთში შეგროვილია 9 ათასი მანეთი. წევრთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. ა | კ. საზ—ბის პრეზიდიუმის მუშაობა, მომხსენებლის აზრით ვერ იყო მაინცადამაინც ნაყოფიერი, რადგან პრეზიდიუმი შესდგებოდა პასუხისმგებელ მაღალი თანამდებობის ამხანაგებიდან, რომელნიც დროს ვერ პოულობდენ ამ საზოგადოებაში სამუშაოდ.

ეს იყო აგრეთვე სათანადო ინფორმაცია ადგილებიდან, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ადგილებში ხელმძღვანელობა. შემდეგ მომხსენებელი ეხება მომავალ სამოქმედო გეგმას. მას საჭიროდ მიაჩნია ა | კ. და ცალკე რესპუბლიკების ფუნქციების განსაზღვრა, საზოგადოების მუშაობის გაძლიერება, როგორც ქალაქის და გლეხთა მასებში, ისე წითელ ლაშქარში. ამ მიზნის განსახორციელებლად მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ლიტერატურის გამოცემას სათანადო ილიუსტრაციით. პროვინციებში თვითმფრინავთა ჩამოსაშვები მოედნების მოწყობის მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნენ მუშა და გლეხთა მასების გარდა, კომკავშირელნი ახალგაზრდა პიონერები და ქალები. საზოგადოების ნაყოფიერი მუშაობის პირობაა აგრეთვე სტატისტიკის და ფინანსიური ანგარიშის სიტანადო სიმაღლეზე დაყენება. მომავალ წლისათვის რესპუბლიკის საზოგადოებებმა უნდა შესძლონ ერთი თვითმფრინავის აგება მაინც.

აზ. ს. ფ. მ. საზ-ბის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ალინოვსკაია)

აზერბეიჯანში საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების მუშაობა დაიწყო 1924 წლის მარტიდან. აგვისტოში საზოგადოება უკვე აერთიანებდა 118 წრეს 24,760 წევრით. ამ რიცხვიდან ბაქოზე მოდის 15,560 წევრი. დანარჩენ პროვინციაში საზოგადოების მუშაობაში ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ პარტიული და პროფორგანიზაცია. საზოგადოებამ შეკრიბა 52.794 მანეთი. ამ თანხის უდიდესი ნაწილი გაგზავნილ იქნა ცენტრში თვითმფრინავის შესაძენად. საზოგადოებას აქვს ავიოწრეები, რომლებიც ამზადებენ მიადლებს.

ლიტერატურა, რომელიც უშუა სად ცენტრიდან მოდიოდა, ვრც დებოდა წევრებს შორის. საზ ჩაატარა თავის დღესასწაული, მელმაც საზ—ბის თანხები გა საზ—ბას აქვს თავის კინო. ფიქრობს გამოსცეს ავიოლიტ რა თურქულ ენაზე. ავიოკოდ პულიზაციას აფერხებს საჭ თვითმფრინავ აპარატის უქო

საქ. ს. ფ. მ. საზ—ის მ მიმოხილვას აკეთებს ამხ. მოხსენების ანგარიში უკვე სებული იყო ჩვენი გაზ. 242-ში.

ლენინაკანის ს. ფ. მ. საზოგადოება.

სომხეთის ს. ფ. მ. ს—ის წარმომადგენელი თათბირს არ დასწრებია. მოხსენებას კითხულობს ლენინაკანის წარმომადგენელი, რომელიც აცნობს თათბირს, რომ ლენინაკანის ორგანიზაციას ჰყავს 600 წევრი და დაგროვილი აქვს თანხა 3.000 მანეთი. ამჟამად მუშაობა უფრო გაცხოველებულია, რადგან დიდი დიდება დასტოვა თბილისიდ მფრინავის მოფრენამ.

მოხსენებათა გარშემო კამათი, რომლის შემდეგ იქნა რეზოლიუცია ა.-კ საზ—ის მოქმედების შესახებ ჩეულ იქნა დელეგატები საზ—ის საკავშირო ყრილობ

„კომუნისტი"

მიიღება ხელისმოწერა ნოემბრისათვის
მუშა მოსამსახურეებისათვის, წითელ-არმიელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის თბილისში და პროვინციაში განსაკუთრებით გაზეთი ღირება:
1 თვით 65 კაპ., 2 თვით—1 მან. 10 კაპ., წლის ბოლომდე—1 მან. 80 კაპ.

ყველა დანარჩენებისათვის გამოწერის ფასი

თბილისში (ბინაზე მიტანით)
1 თვით . . . 85 კ.
წლის ბოლომდე 1 „ 60 „

პროვინციაში (გაგზავნით)
1 თვით . . . 95 კ.
წლის ბოლომდე 1 „ 80 „

ყველა ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ „კომუნისტი"-ს ორკვირეულ სალიტერატურო სამხატვრო დამატებას „ჩირაღდანს".

ეკონომიური ცხოვრება

ვერცხლის ფული

სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორაში მიღებულია ახლად მოჭრილი ვერცხლის ფულების პარტია—390.000 მანეთისა და ხურდა ფულიც—190.000 მანეთისა. ვერცხლი განაწილებულია სხვადასხვა განყოფილებათა შორის იმ მიზნით, რომ გავრცელდეს სოფელში.

ახალი კრედიტები

ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორამ ნება დართო თავის სააგენტოს ლენინაკანში გაუდიდოს კრედიტი ლენინაკანის ქალაქს და მაზრას ალმასკომის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებისთვის—15.000 მანეთამდე, მუშკოოპისათვის—2.500 მანეთამდე.

მეღვინეთა და მევენახეთა კავშირს „უნიონს" საოლქო კანტორის მიერ გახსნილი აქვს კრედიტი 15.000 მან. რაოდენობით.

პურით უზრუნველყოფა

ამიერ-კავკასიის პურის ბაზრის მოწესრიგებისათვის, სახელმწ. ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორის მიერ აღებულია წისქვილი № 1, რომელსაც შეუძლიან დაფქვას თვეში 150 ვაგონი ხორბალი.

ქრონიკა

—**წიგნი მეაბრეშუმეობაზე.** გამოვიდა ი. ქუთათელაძის წიგნი „აბრეშუმის ჭიის მოვლის ძირითადი წესი". გამოცემა მიწათ-მოქმედების კომისარიატის სასოფლო-მეურნეობის განყოფილების.

— **სწავლის ფული.** თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმმა განათლების განყოფილების მოხსენების თანახმად, გადასწყვიტა სწავლის ფასი არა მშრომელ ელემენტებისათვის გადიდებული იქნას 100 პროც. განსაზღვრულ ნომინალიდან.

— **სკოლის გარეშე დარჩენილ ბავშვთათვის.** სკოლებისა და ბაღების გასახსნელად ქ. ალმასკომმა გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე დამატებითი დოტაციის 311,072 მან. გახსნის შესახებ.

— **ქ. კომუნალური განყოფილების** პასუხისმგებელ მდივნათ დაინიშნა ამხ. ხუციევი, ამავე განყოფილების კოლეგიაში წევრობის უფლებით

— **სასოფლო-მეურნეობის მუშაობის გეგმა.** მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატი ამჟამად ადგენს სასოფლო-სამეურნეო 5 წლის მუშაობის ვრცელ გეგმას.

— **სოციალურ დამზღვევ სამართველომ** გადასწყვიტა, ხელოვნური ხელფეხის დასამზადებლად საჭირო თანხა გაღებული იქნას მუშათა სამკურნალო დახმარების ფონდიდან.

— **რუსეთში** თბილისის ელექტრო-სადგურების საჭიროებისათვის შეძენილი იქნა 98,016 მ. მასალა.

— **დამზღვევ კასამ დაადგინა.** 1-ლ ნოემბრიდან შემოიღოს პენსიების გაცემის დროს საორდერო სისტემა.

— **დახმარება უმუშევრებს.** 27 ოქტ. დამზღვევი კასა შეუდგება ოქტომბრის დახმარების გაცემას უმუშევრებზე.

— **წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ.** ტფ. პოლიტგანათლებამ ტფილისში გახსნა წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო 56 სკოლა, აქედან 17 ქართულია, 19 სომხური, 11 რუსული, 7 ებრაული და 2 თათრული.

— **ტფ. სტატისტიკური** განყოფილება შეუდგა ტფილისში არსებულ სავაჭრო დაწესებულებების გამოკვლევის მასალათა დამუშავებას.

— **ტფ. განათლების** განყოფილებამ შეიძინა და მაზრაში დაგზავნა სკოლებისათვის საჭირო ხის ავეჯეულობა.

— **მალიარიის წინააღმდეგ.** ჯანსახკომი იმუშავებს პროექტს საქართველოში მალიარიის წინააღმდეგ მებრძოლ დღის ჩასატარებლათ.

— **ჯანსახკომთან** ამ დღეებში შესდგება თათბირი ჯანსახკომთა და ტფ. ჯანმრთელობის განყოფილების შორის დამოკიდებულების პირობათა გამოსამუშავებლათ.

— **დამზღვევ კასამ** გადასწყვიტა საქ. სანატორიუმებში ზამთრის სეზონისათვის აიღოს 40 ადგილი.

— **კრამიტის ქარხანა.** ეკ. საბჭომ გამოჰყო ცალკე კომისია ქსანის კრამიტის ქარხნისათვის ფინანსიური ხელმძღვანელობის გასაწევათ.

— **ტელეფონების დეზინფექცია.** ა/კ. ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატი სპეციალური ლაბორატორიების საშუალებით შეუდგება თბილისში არსებულ ყველა ტელეფონის სასმენ სალაპარაკო მილების დეზინფექციას.

— **რევოლიუციის ბელადთა** სურათების გამოცემის მონოპოლიური უფლება მიეცა საქ. სახელმწიფო გამომცემლობას.

— **თბილ. ჯანმრ. განყოფილებამ** მოსკოვში მიავლინა ექიმი რუსიშვილი მედიკამენტების შესაძენათ.

შემთხვევები.

— **თვითმკვლელობა.** 23 ოქტ., მაჰარის შესახ. № 10 ვიშნევსკის ქალმა მოიწამლა თავი, გვამი გადატანილი იქნა მთ. საავადმყოფოში.

— **შეპყრობა.** 24 ოქტ. შეიპყრეს ქურდი რეციდივისტები გ. უმანიანი და ნიკიტინი.

— **თავდასხმა.** 22 ოქტ. საღამოს, კოჯორიდან მანგლისში ფურგონით მიმავალ 4 მამაკაც და ერთ ქალს თავს დაესხნენ ორი შეიარაღებული ბანდიტი, წაიღეს ორი რევოლვერი, ნივთები და 800 მან. ფულათ.

— **ქურდობა.** 21 ოქტ ყორღანოვის ქ. № 13, გაქურდეს წულაძის ბინა. წაიღეს 110 მან. ნივთები.

— კინო „გლობუსის" კანტორიდან (პლეხ. პრ.) მოიპარეს 91 მან. ნივთები.

რკინის გზებზე

დუქანი დეპოსთან.

დეპოს ადგილკომმა აღძრა შუამდგომლობა ზაკტპოს წინაშე, რათა დეპოსთან გახსნილი იქნას პატარა სავაჭრო.

ბრძოლა წ. კ. უცოდინარობასთან.

თბ. საბარგო სადგურის ადგილკომი გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა ადმინისტრაციის წინაშე, რათა ერთი საათით ადრე განთავისუფლებული იქნან ის მუშები, რომელნიც დადიან წ. კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში.

საურთიერთო დახმარების კასა.

თბ. მთავარ სახელოსნოს ადგილკომი ამ თვის ბოლოს იწვევს საერთო კრებას საურთიერთო დახმარე კასის ბიუროს ასარჩევად.

კედლის გაზეთი.

გამოვიდა თბ. მთავარ სახელოსნოების კედლის გაზეთის „სახელოსნოების საყვირის" პირველი ნომერი.

ვაგონები ბინებით.

უბინაო რკინისგზელებს ამჟამად ბინებათ უკავიათ 383 ვაგონი მთელ ხაზზე.

საბჭოთა სასამართლო

უცაბედი ბოროტმოქმედება

ოლქის სასამართლომ ა. კაჭარავას თავმჯდომარეობით და პროკურორის თანაშემწე არაქელოვის მონაწილეობით 23 ოქტომბრის სხდომაზე მოისმინა მე-8 უბნის მილიციონერ ოგანეზ მიტოიანცის საქმე. მიტოიანცს ბრალათ ედებოდა ს. ს. კ. 13 და 48 მ. ხლებში გათვალისწინებული ბოროტმოქმედებანი.

ხსენებული მილიციონერი მიმდინარე წლის აპრილში სადარაჯოზე იდგა 19 თებერვლის ქუჩაზე. სალამოს ერთერთ სახლთან მან შეამჩნია ვიღაც ქალი მარიამ მანუკოვისა. მილიციონერმა წინადადება მისცა მანუკოვისას შესულიყო შინ და დაეტოვებია ადგილი ქუჩაში. ქალმა უარი განაცხადა და მილიციელს ტლანქათ მოეპყრა. მილიციონერმა მოიწადინა ქალის წაყვანა სამილიციო უბნის სამმართველოში და, როდესაც ქალი ამაზედაც არ დასთანხმდა, ხელი წაავლო ძალით წასაყვანათ. ქალი გაფიცხდა და მილიციონერს ორჯერ სილა შემოჰკრა. უკანასკნელმა პასუხათ რევოლვერი იძრო და დაჰკრა ქალი მუცელში.

სასამართლომ დამტკიცებულათ სცნო ბრალდება და, მიიღო რა მხედველობაში სულიერ მღელვარების მომენტი, რომელშიაც მოხდა ბოროტმოქმედება და აგრეთვე ბრალდებულის სოციალური ვინაობა, მიუსაჯა ბრალდებულს მკაცრი გაკიცხვა.

ფულის გაფლანგვა

ამავე დღეს ოლქის სასამართლომ ცინცაძის თავმჯდომარეობით გაასამართლა ტელეფონის ქსელის კანცელარიის მოსამსახურე გრიგოლ იშვაძე (ს. ს. კ. 116 მუხ. პირველი ნაწილი), რომელსაც წარსული წლის რილში ტელეფონის აბონემენტებისაგან შეგროვებულ ფულიდან მიუთვისებია და გაუფლანგავს დაახლოებით 290 მილიონი მანეთი (ბონით). საქმის გარჩევისას გამოირკვა, რომ იმ ხანად როდესაც მოხდა ბოროტმოქმედება, ბრალდებული განიცდიდა მეტისმეტ ნივთიერ გაჭირვებას, გამოწვეულს ცოლის ავადმყოფობით და დის სიკვდილით. ვინაიდან, გარდა ამისა, ბრალდებულის ხარჯზე არსებობს ოთხი სულიდან შემდგარი ოჯახი და ბრალდებული არ წარმოადგენს საზოგადოებისათვის საშიშ პიროვნებას, სასამართლომ სასჯელი თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით შესცვალა პირობითად და გამოცდის ვადათ ბრალდებულს დაუნიშნა სამი წელიწადი

მეცნიერება-ტექნიკა

უზარმაზარი ხეები.

ჩვენი კუთხის მცხოვრებლებისათვის ძნელი წარმოსადგენია როგორი უზარმაზარი ხეები იზრდება კალიფორნიის შტატში. ყველას უნახავს წითელი ხისაგან დამზადებული ავეჯი. მაგრამ ბევრმა ის კი არ იცის, რომ ეს ხე ცხოვრობს რამდენიმე ათასი წელიწადი და რომ გადაჭრილი ხის ჯირკვზე თავისუფლად დაეტევა 90 კაცი. კალიფორნიაში არის რაიონი, სადაც აღნუსხულია 12 000 წითელი ხე, რომელსაც ხელი-ხელჩაკიდებული 10—15 კაცი ძლივს შემოუწვდება.



წითელი ხე

ხის ძირიდან პირველ ტოტებამდე მანძილი ხშირად 150 ფუტს (20 საჟენზე მეტია) აღემატება ასეთი ხის მოჭრა ძლიერ რთული საქმეა და მოითხოვს რამდენიმე ათეულ მუშა-ხელს. აშენებენ მთელს კიბეებს უზარმაზარი ტოტების მოსაჭრელად, ანთავისუფლებენ ადგილს, რომ ხემ წაქცევის დროს არ დაამტვრიოს სხვა, ნორჩი ხეები. წითელ ხეს ხმარობენ ავეჯის დასამზადებლათ.

განსაკუთრებული სიმაგრისა და სილამაზის გამო, წითელი ხიდან დამზადებული ნივთები ძლიერ ძვირად ფასობენ.

ამჟამად კალიფორნიის ხის მჭრელებმა, რომლებიც მოთმინებიდან გამოიყვანა 10—12 საათის მუშაობისათვის ძლიერ მცირე ხელფასის მიღებამ, გაფიცვა გამოაცხადეს.

პოლიციამ დააპატიმრა გაფიცვის მეთაურები. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ამერიკის მუშათა კლასმა და, განსაკუთრებით, „მსოფლიო ინდუსტრიალური მუშების კავშირის" წევრებმა ბოიკოტი გამოუცხადეს კალიფორნიაში დამზადებულ საგნებს და სასტიკად ატარებენ ამ ბოიკოტს.

რკინის მარაგი ევროპაში.

შეერთებული შტატების გეოლოგიური კომიტეტის ცნობებით, ევროპის სახელმწიფოების რკინის მარაგი უდრის 12405 მილიონ ტონას (769.100.000.000 ფუთს. ამ რკინის მარაგის 35 2 პროც. საფრანგეთს ეკუთვნის, 18,2 პროც—ინგლისს, 12,5 პროც.—შვეციას, 11,1 პროც.—გერმანიას, 8,3 პროც.—რუსეთს უკრაინით, 5,0 პროც.—ესპანეთს, 9,7 პროც.—სხვა სახელმწიფოებს.

მსოფლიოში მთელი რკინის მადანის ერთი მეშვიდედი ევროპაშია. რომ რკინეულობა დაიხარჯოს იმ რაოდენობით, როგორც 1913 წ. იხარჯებოდა, რკინა იკმარებდა 100 წელიწადზე მეტს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ომის წინა წლებში რკინის ხმარება იზრდებოდა 25 პროცენტით, მაშინ რკინის მარაგი იკმარებს მხოლოდ 130 წელიწადს.

„ტელევეზია".

ინგლისელმა მეცნიერმა დ—ბემ, რომელმაც გამოიგონა „ოფტოფონი" („ოფტოფონის" საშუალებით ბრმები კითხულობენ, და „ტონოსკოპი" „ტონოსკოპი"-ით ყრუთ საშუალება ეძლევა გაიგონ, თუ რას ელაპარაკებიან მათ) იუწყება, რომ მან გამოიგონა მანქანა, რომლის საშუალებითაც შეიძლება საგნების დანახვა უშორეს მანძილზე. ამ მანქანას მან უწოდა „ტელევეზია".

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ევგენი ონეგინი"

„ევგენი ონეგინი" მართლაც რომ დაუჭკნობელი ოპერაა. მიუხედავათ იმისა, რომ მას ორმოცდაათი წლის ისტორია აქვს, ამ ოპერას მაინც სიამოვნებით ისმენს ჩვენი საზოგადოება. ეს გასაგებიც არის, რადგან ამ ნაწარმოებში შეერთდა ორი გენიალური ადამიანის პუშკინის და ჩაიკოვსკის შემოქმედება.

ტატიანას პარტიაში გამოვიდა თბილისისათვის უცნობი მომღერალი ქალი რაშელ-პოლიშჩუკი. მომღერალს მსუბუქი და ლამაზი ტემბრის ლირიული სოპრანო აქვს; განსაკუთრებით ლამაზია ხმა მაღალ რეგისტრში. საშუალო რეგისტრი რამოდენიმეთ ღრმა ტემბრისაა და ამის გამო მელოდიური სურათი ყველგან ნათელი ვერ არის. რაშელ-პოლიშჩუკი უეჭველათ მუსიკალური მომღერალია. სცენიური გადმოცემა ბუნებრივი და მოფიქრებულია. საუკეთესო სცენებია: პირველი შეხვედრა და უკანასკნელი შეხვედრა ონეგინთან, რომელშიც ბევრი გულწრფელობა და ტემპერამენტი ჩაქსოვა მსახიობმა.

წერილის დაწერის სცენაში საჭირო მეტი ინდივიდუალობა და მეტი სიცხადე სულიერი განწყობილების შეცვლაში; ვოკალურის მხრივ კი სასურველია მეტი ხმოვანება და დინამიური დასურათება.

ევგენი ონეგინის პასუხსაგებ და ძნელ პარტიაში გამოვიდა მომღერალი ჟურავლიოვი (ბარიტონი), რომელმაც ამ პარტიაშიც გამოააშკარავა თავისი ძლიერი ლირიული ტემბრის ლამაზი ხმა და მუსიკალობა. სცენიურის მხრივ არის ზოგიერთი დეფექტები. ალაგ-ალაგ ახალგაზრდა მსახიობი მეტათ უბრალოთ და ბუნებრივათ თამაშობს (პირველი აქტი და სცენა ტყეში. ჟურავლიოვი საუცხოო მომღერალია და ის ძვირფასი მონაპოვარია ჩვენი სცენისათვის.

მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ლენსკის პარტიის შესრულებით მომღერალმა კულაგინმა. ვოკალური ნაწილი მუზიკალურათ იყო შესრულებული ბევრი გულწრფელობა და ტემპერამენტი ჩააქსოვა. მომღერალმა მშვენიერ არიაში დუელის წინ და დუეტში ონეგინთან. კარგათ იყო აგრეთვე შესრულებული პირველი არია და დიალოგი ოლღასთან და ონეგინთან.

მომღერალ ვოლჩანეცკაიას (ოლღა) ლამაზი და საკმაოთ ხმოვანი მეცოსოპრანო აქვს. მომღერალი მუსიკალურათ და მოფიქრებით მღერის.

მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა ბაბკინამ ძიძას პარტიაში. ბაბკინა მეტათ მუსიკალური მომღერალია, ლამაზია მისი ხმაც, განსაკუთრებით ქვედა რეგისტრში. გრიმი ვერ არის მოხდენილი, ძიძა უფრო ხნიერი უნდა იყოს.

კარგია ნეიმანი ლარინას პარტიაში. მეტათ დამახასიათებელია როგორც გრიმის, ისე სცენიურისა და ვოკალურის მხრივ კურბატოვი—ფრანგ ტრიკეს პარტიაში.

მხატვრულათ, მკაფიო დინამიური სურათებით და დამთავრებული ფრაზიროვკით მიყავს ორკესტრი სტოლერმანს.

კარგათ არის დადგმული რუსული ცეკვა პირველ მოქმედებაში. მწყობრათ და სტილიურათ ცეკვავენ ქალები.

საუცხოოა თავად გრემინის პარტიაში შარაშიძე. მას ისევ მშვენიერი და მძლავრი ხმა აქვს. არია შესრულებული იყო კარგი ფრაზიროვკით. მუსიკალური ტექსტის (ნოტების) შეცვლა არიაში, რასაკვირველია, შემთხვევითი მოვლენაა.

გუნდი კარგია ყველგან. რამოდენიმეთ მოიკოჭლებს ქალთა გუნდი ტყეში.

პ. ბ.

ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში.

22 ოქტომ. ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში ადგილობრივმა დრამ-წრემ წარმოადგინა ი. გედევანიშვილის დრამა დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყებიდან „მსხვერპლი"-ს 1-ლი და მე-3 მოქ. მთავარ როლებს ასრულებდნენ ბოქაულისას—გუგუნავა, სუსტი იყო. საქოს—ხოჯაევი, დამაკმაყოფილებელი იყო. ვანო—მურგულია, კარგა ასრულებდა თავის როლს დედა ვანოსი—ბარათაშვილი, ჩვეულებრივად კარგი იყო. გიგო—გოგოლაძე, არა უშავდა. დანარჩენები ხელს უწყობდნენ წარმოდგენის მწყობრათ ჩატარებას.

პიესაში მასიური სცენები ძალზე სუსტათ იყო შესრულებული.

კლუბში არ არის წეს-რიგი, სცენაზე ადის და ჩამოდის ხალხი.

წარმოდგენას ხალხი ცოტა დაესწრო, იმიტომ რომ აფიშები დაწერილი იყო რუსულად. ბევრმა ვერ წაიკითხა. საჭიროა მომავალში აფიშები რამდენიმე ენაზე იწერებოდეს.

კინო.

სახელმწიფო ოპერა.

დღეს, შაბათს, 25 ოქტომბერს, მიდის ოპერა „აიდა" ბარტოშ-სერდენკოს, ტოვსტოლუჟსკასა, მოსინის, ქარციეძის, ისეცკის და ბლაგოობრაზოვის მონაწილეობით. დირიჟორობს სახალხო არტისტი ივ. ფალიაშვილი. ხვალ, კვირას, 26 ოქტომბერს წავა პირველად ამ სეზონში ოპერა „დემონი" ბოგოლიუბოვის, ბაბკინასი დობროვანსკაიას, კავსაძის, ალექსანდრის, შარაშიძის, ბლაგოობრაზოვის და იგონინის მონაწილეობით. დირიჟორობს სახალხო არტისტი ივ. ფალიაშვილი.

სახელმწიფო დრამა.

სამშაბათს, 28 ოქტომბერს პირველად ამ სეზონში წავა „მალშტრემ" პიესა გრიგოლ რობაქიძის, დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელისა.

— **კონსტანტინე გამსახურდიას** მესამე წიგნი „Aurora" (კრიტიკული წერილები) იბეჭდება და მალე გამოვა. წიგნი შეიცავს 200-ამდე გვერდს.

— **კინო-მრეწველობა.** საქართველოს კინო-მრეწველობამ დაამთავრა და ახლო მომავალში გამოუშვებს შემდეგ სურათებს, „სამი სიცოცხლე" 2 სერიად პერესტიანის დადგმით, „ტარიელ მკლავაძის მკვლელობა" და „რკინის რაზმი"".

— **საქ. სამხატვრო აკადემია.** აკადემიაში მისაღები გამოცდები დამთავრდა. 100 მთხოვნელთაგან მიღებული იქნა 56 კაცი.

— **აკადემია ახალ ბინაზე.** საქ. სამხატვრო აკადემია გადავიდა ახალ ბინაზე (გრიბოედოვის ქ. № 22).

წერილები პროვინციიდან

ნუ მოსპობთ ტყეებს

(რაჭის მაზრაღმასკომის საყურადღებოდ)

ტყე საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა ერთი ნაწილია.

ეს სიმდიდრე მოურიდებლად ისპობა საქართველოს ზოგ ადგილებში. მაგალითისათვის ავიღოთ რაჭა. რაჭის ბუნება მდიდარია. ტყეები რომ მოისპოს დაგვრჩება კლდეები, შიშველი მთა-გორაკები, რომელთაც არც სილამაზე და არც სარგებლობა ექნება.

ტყეს გლეხები მოურიდებლად სპობენ „ჩვენია, ვინ დაგვიშლისო". არის ზედამხედველობა, მაგრამ ძლიერ სუსტი. აქაც არის ნაცნობ-მეგობრობა. მთებში სჭრიან ნორჩ ხეებს და სტოვებენ ძველ, გამოფიტულ, ნახევრად გამხმარ ხეებს. არის შემთხვევები, რომ გლეხები პირწმინდათ სპობენ ძვირფას მთას და აკეთებენ ახოებს, სახნავ ყანებს, საიდანაც, რასაკვირველია, გლეხებს მოსდით ბლომათ მოსავალი—სიმინდი, მაგრამ ფუჭდება მომავალი საქმე.

ამას დაუმატოთ ის გარემოება, რომ ხარითვალის სახერხი ქარხანა სწრაფი ნაბიჯით ამზადებს მასალას. აუარებელი ხე იჭრება და იგზავნება ქუთაისისკენ. ეს ერთი მხრით კარგი საქმეა, მაგრამ ტყე სულ ერთიანად მოისპობა. საჭიროა ამ ქარხანამ არ მოსპოს ნორჩი ხეები და ხანში შესულ ხეებით ისარგებლონ. ყოველ შემთხვევაში, აუცილებლად საჭიროა რაჭის მაზრაღმასკომის მიერ მიექცეოდეს განსაკუთრებული ყურადღება ტყეებს, რათა დაუზოგავად არ იჭრებოდეს და არ იჩეხებოდეს ის. გლეხი, რომ ბილეთს აიღებს ძველ ხეზე საშენათ, ან საყავრეთ, ის ირჩევს: ერთს მოსჭრის არ მოეწონება—მეორეს წააქცევს, თუ არ მოეწონა მესამეს და მეოთხესაც თან მიაყოლებს; რომ ეს არ მოხდეს, უნდა იყოს კონტროლი ფხიზელი და ყოველი წესის დამრღვევი შესაფერისად ისჯებოდეს.

არ იქნებოდა ზედმეტი, რაჭის აღმასკომის ხელმძღვანელობით და ინიციატორობით მოეწყობილიყო რაჭაში აგურის და კრამიტის, განსაკუთრებით ამ უკანასკნელის, ქარხანა, რაც ცოტათ მაინც შეანელებდა ტყის ხარჯს.

ამ გარემოებებს უნდა სასწრაფოდ მიექცეს ყურადღება და იქნას მიღებული შესაფერი ზომები.

გლეხი ა. გ—ძე.

მოგვაშორეთ ასეთი მასწავლებელი

სოფ. თვალივი (გორის მაზრა)

ცუდ მდგომარეობაშია სწავლის საქმე ჩვენს სოფლებში. ჩვენი სკოლის მასწავლებელია იოსებ ცხვედაძე. გარდა ამისა, რომ ის ძლიერ მოხუცებულია, სრულებით ყურადღებას არ აქცევს ჩვენს შვილებს, სამი წელიწადია მასთან დაიარებიან და ბავშვები გვარის ხეირიანათ მოწერასაც ვერ ახერხებენ.

გლეხები ითხოვენ ან გამოცვალონ ის ან სრულიად დახურონ სასწავლებელი, რადგან დროის დასაკარგავათ სკოლაში ბავშვების გაშვება მათ არ სურთ.

მოქ. ცხვედაძემ უკანასკნელ ხანებში არაყის გამოხდას მიჰყო ხელი და ჩვენი შვილებისათვის აბა სად ეცლება.

გორის განათლების განყოფილებავ! მოგვაქციე ყურადღება.

ხელს აწერს 15 კაცი.

გაგვიხსენით სკოლა

სოფელი წერაქვი და სიონი (ოფრეთის თემი)

სოფელი წერაქვი (ოფრეთის თემი), მოშორებულია ქალაქ შაუმიანიდან (შულავერი) 12 ვერსით. ეს სოფელი დასახლებულია ქართველებით. 50 კომლამდე მცხოვრებია. ამ სოფელს აქვს საკუთარი სკოლა სრული მოწყობილობით, სადაც წინათ დანიშნული იყო მასწავლებელი და სწავლის საქმეც მშვენიერათ მიდიოდა. ეხლა ეს სკოლა, როგორც მიამბო ამ სოფლის გლეხმა ლევან ჟუჟუნაშვილმა, დიდიხანია დაკეტილია და ამ სოფლის 60-70 ბავშვი, ქალ-ვაჟი, უსწავლელნი რჩებიან; თუ კი დაგვინიშნავენ მასწავლებელს ჩვენ დიდ დახმარებას გაუწევთ მასო ამბობენ გლეხები. ამ სოფლის ახლოს 5—6 ვერსით მეორე სოფელი სიონი, ისიც ქართველებითაა დასახლებული. ამ სოფელში არასდროს არ ყოფილა სკოლა და არც სხვა რამე გონების გასახსნელი დაწესებულება, ეს სოფელი კიდევ მეტი სიბნელით არის მოცული.

ამ მდგომარეობას დროა მიექცეს ყურადღება ვისიც ჯერ არს.

ს. კ—ძე.

საბჭოთა აღმშენებლობა ჩვენში

ხობის რაიონი (ზუგდიდის მაზრა)

ხობის რაიონის აღმასკომის ხელმძღვანელობით დაარსებული იქნა გლეხ-კომები, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ ღარიბ გლეხობას და აგრეთვე ქვრივ-ობლებს. ყაჩაღური ბრბოების გამოსვლის შემდეგ მშრომელი გლეხობა ყველა თემებში აწყობს საპროტესტო დემონსტრაციებს, სადაც ერთხმად წყევლა-კრულვას უცხადებენ ამ აჯანყების ინციატორებს. ამ საერთო კრებაზე, გამოდიან თვით ყოფილი მენშევიკები, რომლებიც გმობენ თავიანთ მოღალატე-გამცემლურ პოლიტიკას.

ხობის რაიონში არის დაარსებული კლუბი, სადაც ადგილობრივი დრამწრის მიერ იმართება წარმოდგენა, აგრეთვე არსებობს სამკითხველო.

ამავე რაიონში არის მომხმარებელი საზოგადოება (ეპო), რომელიც აწვდის ადგილობრივ გლეხებს პირველ მოთხოვნილების საგნებს. ეპოს აქვს საუკეთესო სასადილო, სადაც დღეში სადილობს 100 კაცამდე. ეპოს აქვს აგრეთვე განყოფილებები:

აბრეშუმის პარკის ფარდული, სადაც ამზადებენ აბრეშუმს. ადგილობრივ გლეხებს აბრეშუმის ფასიდან ნახევრად მიღებული აქვთ თავიანთი ხვედრი საფასური ფართლეულობის სახით.

გლეხ-კომს, თუმცა დიდი ხანი არაა რაც არსებობს, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაში მან უკვე მიიპყრო გლეხების ყურადღება. დღეს ას დიდის ნდობით ეკიდებიან.

ა. იოხავა

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეკრების კამპანია

საგარეჯო გარე-კახეთი)

ა/წ. 19 ოქტომბერს საგარეჯოს თემის სოფლებში მოხდა მრავალრიცხოვანი ყრილობები, სადაც ვრცელი მოხსენებები მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გააკეთა ამხ. სამსონ აბრამიშვილმა, რომელმაც ნათლად განუმარტა გლეხობას მნიშვნელობა მთლიან სამეურნეო გადასახადისა. გლეხობამ გულმოდგინედ მოუსმინა ამხ. ს. აბრამიშვილს და აღუთქვა მთავრობას, რომ გადასახადი დროზე და მთლიანად იქნება შეტანილი.

გ. გ—ლი.

ჩვენც მოგვაქციეთ ყურადღება

ჩხარი (შორაპნის მაზრა)

პირველ და დიდ საჭიროებას წარმოადგენს ჩხარის რაიონის მუშა-მოსამსახურეთათვის და მშრომელი გლეხობისათვის კბილის ექიმი.

ჩხარის მუშა - მოსამსახურეებს უხდებათ წასვლა კბილის საექიმოთ ზესტაფონში და ქუთაისში, რომლებიც ჩხარზე კარგა დაშორებით არიან.

იქ უხდებათ დარჩენა ხან ერთ, ხან ორ კვირას და ზოგს მშრომელ გლეხს არც აქვს საშუალება წავიდეს აღნიშნულ ალაგას და იექიმოს. ასე, რომ ჩხარის რაიონი დიდ გაჭირვებას განიცდის კბილის ექიმის უქონლობის გამო.

შორაპნის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებავ! ჩვენც მოგვაქციეთ ყურადღება და მოგვეცით ერთი კბილის ექიმი.

სხივი.

ვსპობთ წერა-კითხვის უცოდინარობას

ხიდისთავის რაიონი (ოზურგეთის მაზრა)

ხიდისთავის რაიონში, სოფ. მეწიეთში 5 ივლისს გაიხსნა წ. კ. უ. სალიკვიდაციო სკოლა, რომელშიაც მსმენელები დიდი ხალისით და მუყაითობით შეუდგნენ მეცადინეობას. მეცადინეობა სწარმოებდა სრული ორი თვე. ამ ხნის განმავლობაში მსმენელებმა გაიარეს მთელი კურსი და დაამთავრეს კიდეც სკოლა. ხსენებულ სოფლის სკოლის მსმენელები უდიდეს მადლობას უცხადებენ სამაზრო პოლიტ-განს, რომელიც არ ზოგავდა სალიკვიდაციო სკოლისთვის არავითარ სასწავლო ნივთებს. აგრეთვე მადლობის ღირსია ხიდისთავის რაიონის აღმასკომი, რომელიც აქცევდა სკოლას განსაკუთრებულ ყურადღებას.

ამავე თემში ა. წ. 27 მარტს სოფელ წიფნაგვა-პაიჭესეულში გაიხსნა წ. კ. უ. სალიკვიდაციო სკოლა, რომელშიაც მეცადინეობა დასრულდა ივნისში. სკოლის მსმენელები მადლობას უცხადებენ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც მისცა საშუალება სკოლის მსმენელებს საბჭოთა სახელმწიფოს შეგნებული მოქალაქეები გამხდარიყვნენ.

მასწავ. ნ. გოგიტაური.

კულტ-სექციავ, ნუ გძინავს!

საგარეჯო (გარე-კახეთი)

აგერ უკვე ორი თვეა არის, რაც საგარეჯოს სახალხო თეატრში წარმოდგენები აღარ იმართება. სანამდის აქმეს რეჟისორი ამხ. ალ. ბურთიკაშვილი ხელმძღვანელობდა. საქმე ასე თუ ისე კარგათ მიდიოდა. დღეს ის კაცი ჩვენ შორის აღარ-არის, მაგრამ ეს მაინც იმას არ ნიშნავს, რომ საგარეჯოს თეატრმა უნდა მიიძინოს. საჭიროა ადგილობრივი ინტელიგენტური ძალების ამუშავება. ჩვენ გვგონია, რომ კულტსექცია, რომელიც კვირას 19 ოქტომბერს იქნა არჩეული სათანადო ზომებს მიიღებს და კვლავ საგარეჯოს [illegible] იმსახურებს, რა სახელიც [illegible] ჰქონდა.

მ. გარსიაშვილი.

პროვინციის ქრონიკა

— **სათესლე მასალა გლეხებს.** სიღნაღის აღმასკომმა გადასწყვიტა სოფ. არხილოს კალოს გლეხებს მისცეს სესხათ სათესლე მასალა.

— **მეფუტკრეობა.** სიღნაღის აღმასკომის დადგენილებით მეფუტკრეთა ამხ. „თაფლის წყაროს" გადაეცა 12 დესეტინა ადგილი სოფ. ბოდბეში თაფლოვან მცენარეებისა და ტყის მოსაშენებლათ.

— **ბრძოლა საქონლის ჭირთან.** გორის მაზრის [illegible] რაზმმა ივლის-აგვისტო-სექტემბერის განმავლობაში აუცრა 4390 სულ საქონელს.

— **მინდი.** გორის მეურნეობის განყოფილებას წისქვილებიდან მინდის სახით სექტემბერში შემოუვიდა 320 ფ. ხორბალი.

— **თხილის დამზადება.** ოზურგეთის მაზრის გლეხკომებმა და ადგილობრივმა კოოპერატივებმა დაამზადეს 2 ათასი ფუთი თხილი.

— **აბულაძეში**, და პატარძეულში დამთავრდა სკოლების აგება.

— **მეღვინეთა კავშირი.** სიღნაღში დაარსდა მეღვინეთა კოოპერატიული კავშირი.

— **ელექტრონი პროვინციაში.** სიღნაღში ამჟამად უშაობს კარგათ მოწყობილი ელექტ.-სადგური, ერთი მატორი არის 40 ცხენის ძალიანი ხოლო მეორე—20.

გლეხთა ამხ. „ვაზის მეგობარი". სოფ. ზემო-ხოდაშენში დაარსდა მევენახე გლეხთა არტელი „ვაზის მეგობარი".

— **მოწაფეთა რიცხვი ზუგდიდში.** ზუგდიდის მაზრაში სკოლებში ამჟამად ირიცხება 12,530 მოწაფე.

— **გზის შეკეთება.** შეკეთებულ იქნა მარტვილ-გაჭედილის გზა (ახალსენაკის მაზრა).

— **გორის ტყავეულობის ქარხანამ** ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის განმავლობაში დაამზადა 12,170 მანეთის ტყავეულობა.

— **ოზურგეთის მაზრის** გლეხკომებმა თვით დაბეგვრის საშუალებით შეაგროვეს 3,800 მან.

— **შორაპნის მაზრის აღმასკომმა** გადასწყვიტა ზესტაფონის ელექტრო-სადგურისათვის შეიძინოს კიდევ ერთი დინამო-მანქანა.

— **გორის მაზრის** აგრო-დახმარებამ მანქანებით დათესა 100 დესეტინა მიწა.

ბიბლიოგრაფია

ფრიდრიხ ენგელსი ლუდვიგ ფეიერბახი

კ. მარქსის დამატებანი. წინასიტყვაობა და შენიშვნები გ. ვ. პლეხანოვისა

თბილისის ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა. 1923 წ. გვ. 124.

ამ წიგნის გამოცემა სახელმწიფო გამომცემლობას დიდ დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს. არასოდეს ისეთი დიდი არ იყო, თუ მარქსიზმის გამომუშავების პროცესს არ ვიქონიებთ მხედველობაში, ამ წიგნის მნიშვნელობა, როგორც დღეს, ჩვენს დროში. რით აიხსნება ასეთი მნიშვნელობა ამ წიგნის და რაში მდგომარეობს იგი? ეს აიხსნება თანამედროვე ფილოსოფიურ სიტუაციით. ევროპის ფილოსოფიამ კანტისაკენ შებრუნების შემდეგ თანდათან იწყო **იმავე გზით** სვლა, რომელიც მან ერთხელ განვლო კანტიდან მატერიალიზმამდე. ცნობილია, რომ მაშინ ამ გზაზე, თუ შემოკლებულად ავიღებთ, კანტი, ჰეგელი, ფოიერბახი და მარქსი იყვნენ მოთავსებული, ეს ეპოქა საინტერესო და მრავალის მაჩვენებელი ნაკვეთია ფილოსოფიის ისტორიაში. იდეალისტურ მეთოდოლოგიიდან-მატერიალისტურ მეთოდოლოგიამდე—ასეთია ამ გზის შინაარსი, რომელთა შუაში მოთავსებულია ორი **სისტემა** (და არა მეთოდოლოგია): იდეალისტური ჰეგელის და მატერიალისტური ფოიერბახის. ამ პროცესის ცოცხალი განსახიერებაა და ნათელი მაჩვენებელი აღნიშნული წიგნი.

მაგრამ ამ წიგნის მნიშვნელობა ამით როდი ამოიწურება. მთავარი ის არის, რომ რამოდენიმე ათეული წელი კანტის ნიშნის ქვეშ მდგომი ევროპის ფილოსოფია დღეს ისევ დაიძრა ჰეგელისაკენ. დღეს ჰეგელი ევროპის ფილოსოფიურ ცენტრშია მოთავსებული. არა მარტო ეს არის იმის მაჩვენებელი, რომ ევროპის აზროვნება ძველ გზას იმეორებს, არამედ ისიც, რომ ჰეგელის რადიკალურ-რეალისტურ გადამუშავების ნიშნებიც საკმაო სიცხადით ისახება. ეს თავისებური „მემარცხენე" ჰეგელიანიზმია აი სწორედ ასეთ ფილოსოფიურ პირობებში ენგელსის წიგნი და განსაკუთრებით მარქსის თეზისები დიდი მნიშვნელობისაა.

ჩვენის აზრით, მარქსის თეზისების ნიადაგზე რომ ხორცშესხმული შრომა დაწერილიყო, აზროვნების ისტორიას მეტად მნიშვნელოვანი ნააზრევის ნიმუში ექნებოდა ხელთ. ის, რაც ჰეგელის ფილოსოფიაში ცნობილია როგორც ობიექტის სუბიექტად გახდომა და რაც თავბრუს ასხამს ყველას, ვისთვისაც დაკეტილია კარი ჰეგელის ფილოსოფიაში შესასვლელი, მარქს კიდევ უფრო მკვეთრად აქვს გამოთქმული. ეს არის თეზისი მატერიის, როგორც ობიექტის, მატერიად, როგორც სუბიექტად გარდაქცევის შესახებ. ჩვენის აზრით მთელი თანამედროვე ფილოსოფიის უდიდესი პრობლემა ამ თეზისშია მოთავსებული, რომელიც მრავალ უცნობთა შემცველი ფორმულის სახითაა გამოთქმული და რომლის გაშლისათვის დიდი ფილოსოფიური კულტურაა საჭირო.

ყველა ამ საკითხებზე შეჩერება აქ, რა თქმა უნდა, უადგილოა. ქართველ მარქსისტულ ახალ თაობას ენგელსის წიგნის ქართულ ენაზე გამოცემით (მარქსის დამატებითურთ) საშუალება ეძლევა ამ ამოცანის გასაშუქებელი [illegible], მაგრამ მადლიანი მიზანი დაისახოს. ტყუილად ხომ არ სთქვა მარქსმა სხვა ადგილას (ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკაში), რომ ფილოსოფია თავია საზოგადოების, გული კი პროლეტარიატი.

ქართული თარგმანი საერთოდ კარგია, თუმცა თარგმანიდან თარგმნა მაინც და მაინც სწორი გზა არაა. ეს თუნდაც სათაურიდან სჩანს: „ფოიერბახი" და არა „ფეიერბახი", როგორც ამას რუსები ხმარობენ. მთარგმნელს რუსული „გიოტე" შეუსწორებია „გოეტე"-თ, მაგრამ გერმანულად მაინც „გოეთე" იქნებოდა.

მიუღებელია ფილოსოფიური ტერმინოლოგიაც მრავალ შემთხვევაში. მთარგმნელს ანგარიში არ გაუწევია იმ უბრალო ამბავისათვის, რომ საქართველოში „წყალობითა რევოლიუციისათა" უკვე ექვსი წელიწადია უნივერსიტეტი არსებობს, რომლის მიერ შემოღებული ფილოსოფიური ტერმინოლოგია უკვე საერთო ხმარებაში შესული.

მიუხედავათ ამისა თარგმანი ჩინებულია. კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ წიგნს აუცილებლად უნდა თან ახლდეს შეცდომების გასწორება.

შ. ნ.

სპორტი

ფიზკულტურის საბჭოში

საზამთრო მუშაობის გეგმა.

საქართველოს ფ. კ. უ. ს. პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სამთვიროს და სამეცნიერო-სასწავლო კომიტეტს შეიმუშაონ საზამთრო მუშაობის გეგმა ტექნიკური კომიტეტის მუშაობის გეგმა უკვე დამტკიცებულია პრეზიდიუმის მიერ.

ინსტრუქტორთა თათბირი.

შესდგა ფიზიკურ კულტურის ინსტრუქტორთა თათბირი, რომელზედაც უნდა გამორკვეულიყო სასპორტო წრეების მდგომარეობა. ინსტრუქტორთა მოხსენების მიხედვით. ამჟამად სასპორტო წრეების რიცხვი თბილისში უდრის 60, აქედან 45 ფეხბურთელთა კომანდაა.

ქალთა წრე.

ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონთან დაარსდა ქალთა სასპორტო წრე რომელიც მეცადინეობას აწარმოებს მეორე სასპორტო დარბაზში ა/კ კომუნისტური უნივერსიტეტის მსმენელთა საერთო ბინაზე სამშაბათობით და შაბათობით.

ახალი სასპორტო დარბაზი.

არსენალის რაიონის კლუბთან გაიხსნა ახალი სასპორტო დარბაზი, რომელშიაც უკვე დაიწყო მეცადინეობა.

ფიზკულტურის თბილისის საბჭო.

ფ. კ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა ხელმძღვანელობა გაუწიოს ფიზკულტურის თბილისის საბჭოს მუშაობას. ფ. კ. თ. ს. ყველა ძირითადი საკითხები უნდა დაამტკიცოს საქართველოს ფ. კ. უ. ს. პრეზიდიუმმა ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეთ დამტკიცებულია ამხ. სუხიშვილი მდივნათ—ამხ. კვინიხიძე.

ფეხბურთელთა ლიგის რეორგანიზაცია.

საქართველოს ფ. კ. უ. ს. სასპორტო თამაშობათა სექციის დადგენილებით მოხდა ფეხბურთელთა ლიგის შემადგენლობის რეორგანიზაცია; გამოყოფილია ახალი პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან: ამხ. კვინიხიძე—თავმჯდომარე, სკოლზნევი—მდივანი და კუზნეცოვი, სამუშია და ფილიპოვი—პრეზიდიუმის წევრები.

ახალი კომანდა.

ფეხბურთელთა ლიგის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ფეხბურთელთა ახალი კომანდა თ. ფ. კ. (თბილისის ფეხბურთელთა კომანდა).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ შაბათს 25 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება რაიკომის ახლად არჩეული პლენუმის სხდომა. სავალდებულოა რაიკომის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

მდივანი: მაშკევიჩი.

— ს. კ. პ. ლენრაიკომთან არსებული ქუთაისის მაზრის **თანამესოფლეობის მომწყობი კომისია** კვირას, 26-ს ამა ოქტომბერს, დილის 10 საათზე, ნაძალადევის რაიონში, პლეხანოვის სახელობის კლუბში იწვევს **საერთო კრებას** ყველა იმ ამხანაგებისას, რომელნიც წარმოადგენენ ქალაქ ქუთაისის და მისი მაზრის მკვიდრ მცხოვრებლებს.

დღის წესრიგი:

1. სოფლად მუშაობის შესახებ. 2. თანამესოფლეობა და მისი ამოცანები. 3. ქუთაისის მაზრის თანამესოფლეობის კომიტეტის არჩევნები. ვთხოვთ ამხანაგებს უსათუოდ გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

პარტ-ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

კომისია.

— ორშაბათს, 27 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე ცენტრალურ პარტიულ კლუბში გაიმართება კამათი „საბინაო პოლიტიკაზე".

მოწვეულ არიან თბილისის ალმასკომის ფრაქციის წევრები და პროფკავშირის ფრაქციები. აგრეთვე მეურნეობის დარგში მომუშავე კომუნისტები და სხვანი

კლუბის გამგეობის თავმჯდომარე: არუსტანოვი.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტ.-საპროპაგანდო განყოფილება აუწყებს პოლიტ-ცოდნის და სარაიონო პარტ-სკოლებში სამუშაოთ მობილიზაციით გაწვეულ ამხანაგებს, რომ შაბათს 5 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე ცენტრალურ პარტიულ კლუბში ამხ. მედვედევა გააკეთებს მოხსენებას სარაიონო პარტიულ და პოლიტ—ცოდნის სკოლების პროგრამის შესახებ. ყველას დასწრება სავალდებულოა.

პროფესიული

— განმუშკთა სახლში შაბათს, 25 ოქტ. სად. 6 საათზე შესდგება თბილისის ადგილკომების კულტკონფერენცია. კულტკომისიების ყველა წევრებისათვის დასწრება სავალდებულოა

დღის წესრიგი: 1. კულტმუშაობის გეგმა. (თბილისში, გან. მუშ. სახლში და ადგილკომებში).

— კვირას, 26 ოქტ. სად. 5 ს. შესდგება ყველა თვითგანვითარების ჯგუფებში მომუშავეთა საერთო კრება.

დღის წესრიგი: 1. თვითგანვითარების მუშაობის მეთოდები და აღრიცხვა.

ადგილკომების მდივნების დასწრება სავალდებულოა.

განცხადებები

ბესარიონ გრიგოლის ძე, ცაცო ანტონის ასული, შალვა და ჰიჰიკო ბესარიონის ძენი გაბუნიები, ეფრემ და ტატიანა ბესარიონის ასული ზაქარაიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი რძლის

არდალიონა ივანეს ასული

ანჯაფარიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 26 ოქტომბერს, დღით კვირას, ქ. ქუთაისში, პუშკინის ქ. საკუთარ სახლიდან

ცოლი ელენა გრიგოლის ასული, ძმა მიხეილ დიმიტრის ძე ცოლით და შვილით, დები მარიამ დიმიტრის ასული ყარალაშვილი, ანა დიმიტრის ასული მიქაძე ქმრით და შვილით და სიდედრი ნინა ალექსის ასული პაპოვი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას 26 ოქტომბერს შუა დღის 11 საათზე ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი საყვარელი და დაუვიწყარი

ალექსანდრე დიმიტრის ძე

ჯავახიშვილისა

1—1 № 2541

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: დედა ლიზა, მამა სიმონ, ძმები ბიკტორ და პროკოფი, დები ნინო და ლუბა ვაუწყებთ ნათესავ-ნაცნობ-მეგობართ, რომ ამა წლის 26 ოქტომბერს ქალაქ ბათუმის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ ახალგაზრდა სტუდენტის

ბენიამენ (ბენია) სიმონის ძე

მორგოშიძის

გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად.

2498—1—1

ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილება

იწვევს ერთ ექიმს მეანს-გინეკოლოგს ქალაქის ცენტრალური სამკურნალოს ორდინატორად.

განცხადებანი მიიღებიან ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილებაში ა/წ. 18 ნოემბრამდე. განცხადებასთან ერთად უნდა იქნას წარმოდგენილი დაწვრილებითი „Curriculum vitae".

ნ. 65 3—2. ტფილისის ჯანმრთელობის გან ყოფილება

ქართული დრამა
1924—25 წ. სეზონი

შაბათს, 25 ოქტომბერს

სეზონის გახსნა

„მათრახის პანაშვიდი"

დრამა 5 მოქმედებათ **ალ. შანშიაშვილისა** (სიუჟეტი ნასესხებია)

მონაწილეობს მთელი დასი

პიესას დასდგამენ: **კ. მარჯანიშვილი და ალ. ახმეტელი.**

2—2 № 30

სახელმწიფო ოპერა

დღეს, შაბათს 25 ოქტომბერს

„აიდა"

ხვალ, კვირას 26 ოქტომბერს

„დემონი"

83. ნ. 2—1.

---

10 მანეთად თვეში ვაძლევ

მათემატიკის

(არითმეტ., ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია) და რუსული ენის გაკვეთილებს საშუალო სასწავლებლის პროგრამით.

პლეხანოვის ქ. № 25 შესავალი ალექსის ქ. № 5 ნახვა 2—6 ს.

ნის. 5—2

„კომუნისტი"-ს რედაქცია

პროვინციელ სხვადასხვა ორგანიზაციების და კერძო პირთა საყურადღებოდ ცხადდება, რომ განცხადებები მოწმობების დაკარგვის (და აგრეთვე სხვა ხასიათისაც)

უფასოდ არ დაიბეჭდება

ნ—1

ბაზრის ქუჩაზე № 14

სასადილო

„თელავი"

25 ოქტომბერს დილის 10 საათ. დანიშნულია საჯარო

ვაჭრობა

სხვადასხვა ავეჯეულობის გასაყიდათ

2504 1—1

„იუვა-ტორგ"-ის

თბილისის სააგენტოს ყოფილი გამგის

ამხ. გ. დ. პოპოვის

ახალი სამსახურის ადგილას გამგზავრების გამო, მე,

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე პირგულოვმა

ჩავიბარე თბილისის სააგენტოს მმართველობა. მინდობილობა მიცემული „იუვაკტორგ"-ის გამგეობის მიერ თბილისის სააგენტოზე ამხ. პოპოვის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად

იმ საქმეების შესახებ, რომლებიც შეეხება თბილისის სააგენტოს უნდა მომმართოთ მე

1—1 ნ. 78. ნ. ა. პირგულოვი

აჭარისტანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული

მთავარი საკურორტო სამმართველო

აცხადებს რომ 10 ნოემბრიდან **იხსნება**

შემოდგომის-ზამთრის-გაზაფხულის სეზონი

ქობულეთში სანატორიუმი სრული პანსიონით

ძვლის, ჯირკვლების და კანის ჭლექით დაავადებულთათვის, ფილტვების ჭლექით პირველ სტადიაში, ემფიზემით, ასთმით, სასუნთქავ გზების ბრონქიალურ კატარით, გულის კომპენსატორულ მანკით, გულის ასთმით და რევმატიზმით, იმ რეკონვალესცენტებისათვის, რომელნიც დაავადებული არიან დაქანცულობით და ნევრასტენიით

სეზონი გრძელდება, მთელი წელიწადი სანატორიუმი საუცხოვოდ არის მოწყობილი, უხვი მზე, ზღვის საბანაოები.

გადასახადი: თვეში სრული პანსიონით—მკურნალობით და გარეცხვით კერძო პირებისათვის 150 მანეთი, კავშირის წევრებისა და მოსამსახურეებისათვის 115 მანეთი.

გადასახადი შეტანილი უნდა იქნეს ერთი თვის წინდაწინ ჯანმრთელობის კომისარიატის სალაროში.

სანატორიუმში სამკურნალოთ ჩამოსულთ დახვდება მთავარ საკურორტო სამმართველოს წარმომადგენელი ავტომობილით. ცნობებისათვის უნდა მიმართონ: ბათუმი, აჭარისტანის მთავარი საკურორტო სამმართველო. ლენინის ქუჩა. ■ აჭარისტანის კურორტების მთავარი სამმართველო. 6—1

ქ. თბილისის მე-XI უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

ი. გეგელაშვილი აცხადებს, რომ 31 ოქტომბერს 1924 წ. დილის 10 საათზე იურევის ქუჩ. № 70

საჯარო ვაჭრობით

იქნება გაყიდვა ქონებისა გარდაცვალებულ ილარიონ ყარამანის ძე ჩიხლაძის, რომელიც შესდგება სახლის და დუქნის ავეჯიდან—დასაკმაყოფილებლად მართა ჩიხლაძისა, თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლისა 18 აპრილიდან 1924 წ. № 22591. ქონება შეფასებულია 179 მან.

2534—1—1 სასამართლოს აღმასრულებელი ი. გეგელაშვილი.

18 ოქტომბერი 1924 წ.

სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობა

თბილისის განყოფილება

გაიხსნა ველიამინოვის ქუჩაზე, № 14

წიგნის მაღაზია

იყიდება როგორც თავისი, აგრეთვე რ. ს. ფ. ს. რ. და ს. ს. ს. რ. და სხვა სახგამთა გამოცემანი.

3—2

საზ. „ხლებოპიტოკი"

გამგეობის მისამართი: თბილისი, ლადო დუმბაძის ქ. № 12. ტელეფ. 8—32.

ტელეგრ. მისამართი: თბილისი —„ხლებოპიტოკი"

აუწყებს ყველა წევრებსა და საზოგადოებას [illegible] ორ [illegible], რომ საზოგადოებისაგან იღებს ყველა ხარისხის

ფქვილი

იაფ ფასებში

ყიდვა შეუძლიათ კერძო მომხმარებლებსაც

1—1 ნ. № 79 გამგეობა

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეჰრაბიანცი

გულის, ფილტვების ავადმყოფობა და ტუბერკულიოზი. მალარიის სპეციალური ექიმობა 914 შეშხაპ. ფილტვების, გულის და სხვა ორგანოების განჭვრეტა, სურათის გადაღება და ექიმობა

რენტგენის სხივებით

მიღება ყოველდღე 9—1 საათამდის და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

ქ. 2507 13—2

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

მოზრდილების და ბავშვების შინაგან და ნერვიული სისტემის სნეულებათა მკურნალობა

ელექტრო-სინათლით ■ ■

■ ■ სამკურნალო კაბინეტი

მიღება: დილით 10—12 საათ. საღამოთი 5—7 საათ. (გარდა კვირა დღისა) პლეხანოვის პრ. (ყოფ. მიხეილოვის) № 111 ბ. № 2

ქვ. № 2531—25—1

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

№ 2095—25—4

აზერბაიჯანის თევზის სამრეწველოების სამმართველო

(АЗРЫБУПРАВЛЕНИЕ)

გაუწია რა ანგარიში მცხოვრებთა მოთხოვნილებას

პუშკინის ქუჩაზე **გახსნა**

თევზის წვრიმალათ გასაყიდი მაღაზიები და საქართველოში წარმომადგენლობის მთავარი კანტორა თევზისა და თევზის პროდუქტების ბითუმათ და წვრიმალათ გასაყიდათ **იაფ ფასებში**

სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს თევზი დაეთმობა **განსაკუთრებით შეღავათიან პირობებში**

ცნობებისათვის უნდა მიმართონ მთავარ კანტორაში—პუშკინის ქ. № 2, ყოფ. თამამშევის ქარვასლა.

ნ. 76 2—2

---

1 ნოემბრიდან დაიწყება მეცადინეობა სახალხო განათლების კომისარიატის პრ. ტეხნ. გან. მთავ. მმარ. გამგ-ში არსებულ

პ. ზუმბაძის და ზ. ინწკირველის

საბუხჰალტრო კურსებზე

კეცხოველის ქ. № 12 (ყოფილი ქალ. 1-ლი გიმნაზ. ლორის-მელიქოვის ქ.)

მეცადინეობა იწარმოებს ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე სრულიად ახალი მეთოდით საუკეთესო თეორეტიკოს და პრაქტიკოს ბუხჰალტრების ხელმძღვანელობით.

მსმენელნი შეისწავლიან ქართულ ენაზე ბუხჰალტერიის საფუძველს (მარტივ, ორმაგ ანუ იტალიურ და ამერიკულ სისტემას) და სპეციალურ დარგებიდან: საბანკო, საფაბრიკო-საქარხნო, მუნიციპალურ (სამაზრო ალმასკომებში ანგარიშების წარმოება), სავაჭრო, დაზღვევის კასების, საქალაქო საზოგადოების, სამომხმარებლო-საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ბუხჰალტერიას, კომერციულ არითმეტიკას, პოლიტიკურ ეკონომიას, სავაჭრო უფლებას, საბჭოთა აღმშენებლობას და სავაჭრო კორესპონდენციას (მიმოწერას).

მეცადინეობის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საგნის პრაქტიკულად შესწავლას.

ჩაწერა, პროგრამის გაცნობა და დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე წიგნის მაღაზია „განათლება"-ში, ლენინის (ყოფ. ოლღის) ქ. № 6 ს. თაყართქილაძესთან. ნის. 57 9—.

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ საღამოს 5—7 საათამდე. ვენერიულ და სიფილისით ავადმყოფთ დილის 7—8 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩის დასაწყისში.

25—21

ექიმი

ს. ა. გალუსტიანცი

შინაგანი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი; ქრონიკული და მწვავე ტრიპერი, სიფილისი

ავადმყოფების მიღება დილის 25—4 საათ. და 4—7 საათ. ქალების მიღება 2—4 საათ. ელისაბედის ქ., 77 მეორე სახლი კირკის კუთხიდან.

25—21 ქ. № 2320

დავკარგე პირადობის მოწმობა შ ვა ჭავჭავაძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ.

2539 1—1

დავკარგე პირადი წიგნაკი № 4[illegible] მოცემული ჩხარის ალმასკომთან არსებული სამხედრო მაგიდის გამგისაგან ნიკიფორე ეფრემის ძე დოლაბერიძეს სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ.

2536 1—1

დავკარგე ავეტიკ დავითის ძე ოგანეზოვის სახელზე პასპორტი და საარიცხვო ბარათი ყაზახის ალმასკომისაგან მოცემული. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

2540 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული სუფსის რაიალმასკომის მიერ სიმონ იკნოიანცის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ.

2538 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 256, მიღებული არსენალთან არსებულ საქარხნო სკოლიდან შალვა შველიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

2537 1—1

დავკარგე კავშირის სიგნაკი სამტრედიის რკ. გზ. მე-2 შრომის სკოლის მასწავლებელის ლიდია კოხრეიძის სახელზე № 573. ჩაითვალოს გაუქმებულად.

2529 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა და სარეგისტრაციო ფურცელი თედორე ზაქარიასძის მინდელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

2528 1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 3396 1920 წ. ალექსანდრე ივანეს ძე ჯორჯაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

2540 1—1

დავკარგე ლომბარდის კვიტანცია № 1950. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

2535 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული ქუთაისის მილიციისაგან, სამხედრო ბარათი მოცემული ქუთაისის სამხ. კომისარიატისაგან, აღმასრულებელი ფურცელი ედუკი გვენეტაძესთან უძრავ მამულის შესახებ და ჩაბარების ფურცელი ამავე უძრავ ქონებისა ნიკოლოზ გლადიმერის ძე იაშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ.

2529 1—1

დავკარგე თელავის მაზრის საბჭოთა მუშაკების საწევრო წიგნაკი № 120 ერმილე სიმონის-ძე ხავთასის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

2534 1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 3028 გიორგი ერისთავის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

2535 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა თამარა მიხეილის ასული ხიმჩილაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

2533 1—1

დავკარგე ერთდროული ბილეთი № 2527085. წლოვანობის მეტრიკული ამონაწერი და პირადობის მოწმობა № 5656 ქითესი იერემაშვილის სახელზე და პირადობის მოწმობა № 475 ბარბარე იერემაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

253[illegible] 1—1

დავკარგე მოწმობა კეთილსაიმედობის მოცემული სამტრედიის რაიალმასკომისაგან ალექსანდრე ფრანგიშვილის სახელზედ № 11897. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

2495 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 1193, გაცემული ამ. კავ. რკ. გზის დამზღვევ კასის მიერ კონსტანტინე დავითის ძე შენგელაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

უ. 1—1

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს ამიერ-კავკასიის განყოფილება, მისი კანტორები და სააგენტოები იღებენ

ცეცხლისაგან

დასაზღვევათ სახელმწიფო, კომუნალური და ყოველგვარი სხვა დაწესებულებების, წარმოებების, და აგრეთვე კერძო პირების შენობებს, ფაბრიკებს და სხვა ქონებას.

საქონელს

და

ტვირთებს

მათთვის მოწყობილ შენობებში, ნავთსადგურების და რკინისგზის სადგურების საწყობებში და სხვაგან.

საგზაო ხიფათისაგან

დასაზღვევათ.

1. ყოველგვარ ტვირთებს,

რომლებიც იგზავნება რკინისგზით და გზატკეცილებით, მდინარეების და საზღვაო გზებით, და აგრეთვე იმ ტვირთებს, რომლებიც იგზავნება ფოსტით ამანათების სახით.

საექსპორტო და საიმპორტო ტვირთებს.

2. საზღვაო და მდინარეების გემების კორპუსებს (კასკო)

დაკარგვისა და მოპარვისაგან

ყოველგვარ ტვირთებს, რომლებიც დაზღვეულია საგზაო ხიფათისაგან რკინისგზებზე, საზღვაო გზებზე და საფოსტო ამანათებში

დაზღვევა:

სიკვდილისა და უბედურ შემთხვევისაგან—მსხვილფეხა საქონლის და ცხენების.

სეტყვისაგან—მინდვრის ნათესების და სხვა მცენარეულობათა კულტურების.

სიცოცხლის დაზღვევა

ა) **ჩვეულებრივი** (პერსონალური) დაზღვევა **სიკვდილის** შემთხვევისაგან და შერეული გეგმით (სიკვდილის შემთხვევისაგან და სიბერისაგან) წინასწარი საექიმო შემოწმებით და **დაუყოვნებლივი პასუხისმგებლობით**

ბ) **ხალხური** (ჯგუფური) დაზღვევა საექიმო შემოწმების გარეშე და **დაუყოვნებლივი პასუხისმგებლობით.**

დაზღვევის მიღებას აწარმოებს:

თბილისში: სამმართველოს საოპერაციო განყოფილება (სოლოლაკის ქ., № 8).

პროვინციაში: სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს ამიერ-კავკასიის განყოფილების კანტორები და სააგენტოები ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში.

წარმომადგენლები ყველა საბანკო, სატრანსპორტო და სხვა დაწესებულებებში.

ნ. 70 1—1